

## თავისუფლება და უსაფრთხოება

### გერმანიისთვის მოქმედი ძირითადი პრინციპები

2007 წლის 3-4 დეკემბერს, ჰანოვერში, პარტიის 21-ე ყრილობაზე დამტკიცებული ძირითადი პრინციპების პროგრამა

სარჩევი	2
პრეამბულა: 21-ე საუკუნის გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პოლიტიკა	4
I. ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატები	6
1. ვინ ვართ ჩვენ – ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებებისა და ძირითადი ფასეულობების ქრისტიანდემოკრატიული ხედვა	6
2. ჩვენი საზოგადოების იერ-სახე	11
• პიროვნების თავისუფალი განვითარება	11
• ჩვენი საზოგადოების ერთობა	13
II. ჩვენი დროის გამოწვევები – ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მოწყობის მოთხოვნა	15
1. ჩვენი დროის გამოწვევები	15
• საფრთხის წინაშე მდგარი სამყარო	15
• გლობალური სამყარო	16
• განათლებული საზოგადოების წინაშე მდგარი მოთხოვნები	17
• საფრთხის წინაშე მდგარი მსოფლიო უსაფრთხოება	17
• დემოგრაფიული ცვლილებები	18
2. გერმანია, როგორც თანასწორუფლებიანი საზოგადოება – თავისუფალი და უსაფრთხო ცხოვრება	19
III. ძლიერი ოჯახები – ადამიანზე ორიენტირებული საზოგადოება	21
1. ცხოვრების ახალი წესი – თაობათა ახლებური ურთიერთდამოკიდებულება და თანაარსებობა	21
2. ჩვენი საზოგადოების ქვაკუთხედის გაძლიერება – ოჯახებისთვის არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფა	23
IV. გერმანია, როგორც განათლებული და კულტურული ერი – განათლებული საზოგადოების მოთხოვნებზე გაცემული პასუხები	28
1. უკეთესი განათლება ყველასთვის: დაბადებიდან მთელი ცხოვრების მანძილზე	28
2. ცნობისმოყვარე გერმანია: კვლევები უზრუნველყოფს კეთილდღეობას	35
3. კულტურა: ეროვნული თვითმყოფადობისა და მსოფლიო გახსნილობის გამოვლინება	37

V. სოციალური საბაზრო ეკონომიკის განახლება გლობალურ სამყაროში	40
1. კეთილდღეობის, თანამონაწილეობისა და უსაფრთხოების მოწყობის ძირითადი პრინციპები	41
2. სოციალური საბაზრო ეკონომიკა გლობალურ სამყაროში	43
3. ეკონომიკა და დასაქმება	46
4. დემოგრაფიული ცვლილებები – ყველა თაობის სოციალური უსაფრთხოებისთვის	51
5. სოლიდური ფინანსები, სოლიდური გერმანია	57
6. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება – გერმანიის ახალი ფედერალური მხარეების განვითარების ხელშეწყობა	60
VI. სამყაროსა და სიცოცხლის დაცვა – ეკოლოგიურად სუფთა გარემოსთვის	62
1. ადამიანის ღირსების დაცვა – მისი დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე	62
2. ბუნებრივი სასიცოცხლო პირობების დაცვა	63
3. სოფლისა და სოფლის მეურნეობის მომავალი განვითარებისთვის	68
VII. აქტიური მოქალაქე, აქტიური სახელმწიფო, მსოფლიოსთვის გახსნილი ქვეყანა	70
1. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება – კერძო ინიციატივების ხელშეწყობა	70
2. ძლიერი სახელმწიფოსთვის: მოქალაქეთა თავისუფლება და უსაფრთხოება	72
3. გერმანია, როგორც საინტეგრაციო ქვეყანა	78
VIII. გერმანიის პასუხისმგებლობისა და ინტერესების შეცნობა	80
1. გერმანიის, როგორც ევროპის ნაწილის წარმატებული განვითარების საწინდარი	80
2. თავისუფლებისა და მშვიდობის მხარდაჭერა – გერმანიის როლი მსოფლიოში	87
საკვანძო სიტყვათა საძიებელი	93

## პრეამბულა

### 21-ე საუკუნის გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პოლიტიკა

ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატები, ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას ღვთისა და ადამიანების წინაშე და წინამდებარე პრინციპების პროგრამით გამყარებული ჩვენი ფასეულობებითა და მიზნებით ვპასუხობთ ჩვენი დროის გამოწვევებს.

ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ცენტრისტული სახალხო პარტიაა. მასში დღესაც ცოცხლობს ის ქრისტიანულ-სოციალური, ლიბერალური და ფასეულობებისადმი კონსერვატიული მიდგომის პოლიტიკური მიმდინარეობები, რომლებმაც 1945 წლის შემდეგ ბიძგი მისცა პარტიის დაფუძნებას. ჩვენ ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებებზე, ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობასა და, აქედან მომდინარე, ძირითად ფასეულობებზე – თავისუფლებაზე, სოლიდარობასა და სამართლიანობაზე ვართ ორიენტირებულნი და ძირითადი ფასეულობების მართებული ურთიერთდამოკიდებულებისკენ მივიღტვით.

დღევანდელ მუდმივად ცვალებად სამყაროში ჩვენ ამოცანად ფასეულობებისა და სინამდვილის ერთად გააზრება და შესაბამისი მოქმედება რჩება. ადამიანის არასრულყოფილების გააზრება პოლიტიკის იდეოლოგიზაციის საშიშროებისგან გვიცავს და მოქმედების ფარგლებსაც გვიწესებს.

ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს მნიშვნელოვანი წვლილ აქვს შეტანილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში და დღევანდელ, 21-ე საუკუნის გამოწვევებსაც ჩვეული პრინციპულობით ხვდება.

1949 წლის შემდეგ, ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ქვეყნის თავისუფალ, სამართლიან და დინამიკურ განვითარებას და ხელი შეუწყო ფუნდამენტური მიმდინარეობების – სოციალური საბაზრო ეკონომიკის, დასავლეთის ერთიანობისა და ევროპის გაერთიანების ჩამოყალიბებას.

უდიდესი წინააღმდეგობების მიუხედავად, ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა მტკიცედ იბრძოლა გერმანიის გაერთიანებისთვის და როცა ამის რეალური შესაძლებლობა გაჩნდა, უდიდესი წვლილიც შეიტანა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანად აღდგენის საქმეში.

გერმანია თავისი ისტორიის მანძილზე პირველად მხოლოდ მეგობრებითა და პარტნიორებით გარემოცული, რაც ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრების დიდი დამსახურებაა. ევროპის დამფუძნებელთა ოცნება მშვიდობიან, თავისუფალ, გაერთიანებულ, სოციალურად და ეკონომიკურად მძლავრ და მსოფლიოში მეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისთვის მზადყოფნაზე ევროპაზე რეალობასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა. ნდობა და სანდოობის მაღალი ხარისხი ხელს უწყობს ჩვენი კონტინენტის გაერთიანებასა და განვითარებას.

თავისუფლების ეს ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოწყობა წარმოადგენს საერთაშორისო წესრიგის პოლიტიკის ჩვენეულ მოდელს. გლობალიზაცია სოციალური საბაზრო ეკონომიკის ახალ განზომილებებს მოითხოვს და

გლობალური სოციალურ-ეკოლოგიური სტანდარტების დანერგვის საშუალებას იძლევა.

21-ე საუკუნის გამოწვევათა ფონზე აუცილებელია უსაფრთხოების ფაქტორის ახლებურად გააზრება: თანამედროვე მზარდი საფრთხეების სამყაროში მან თანაბრად უნდა მოიცვას როგორც შიდა, ისე გარე უსაფრთხოება და სოციალური უსაფრთხოება გლობალური ეკონომიკისა და დემოგრაფიული ცვლილებების პირობებში. მან ასევე უნდა მოიცვას ჩვენი საზოგადოების ერთიანობის კომპონენტი და კიდევ ისეთი უსაფრთხოება, რომელიც მომავალშიც უზრუნველყოფს ფასეულობებით განმსჭვალული გარემოს პირობებში ცხოვრებას და რომელსაც ყოველი თაობა შემდგომ თაობებს შეუნარჩუნებს.

ჩვენ გვსურს ისეთი გერმანია, სადაც გავაძლიერებთ სამოქალაქო ფასეულობებსა და სათნოებას, რომელიც წარმატებულს გახდის ჩვენს ქვეყანას.

გერმანიისათვის ჩვენს იდეალს წარმოადგენს თანასწორუფლებიანი საზოგადოება, რომელშიც ყოველი მოქალაქე თავისუფლად და უსაფრთხოდ იგრძნობს თავს და რომელიც პატივს სცემს შრომასა და წარმატებებს. ჩვენ ასევე გვსურს სოციალური გარანტიები საზოგადოების საშუალო ფენებისთვის, მათთვის, ვინც ბოლო დრომდე თავს გარიყულად გრძნობდა. შრომის ბაზარზე უკეთესი შესაძლებლობების განსაკუთრებული გასაღები განათლების მიღების თანაბარი შანსები და უწყვეტი სწავლებაა.

ჩვენი ეთიკური წარმოდგენები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავისუფალ, სამართლიან, უსაფრთხო და ყველა ადამიანისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ ქვეყნად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ძალასა და გამჭრიახობას გვძენს. სწორედ ამის საფუძველზე ვმოქმედებთ ჩვენს მოქალაქეებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის.

## I. ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატები

1. ვინ ვართ ჩვენ – ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ხედვა ადამიანის ბუნებისა და ძირითადი ფასეულობების შესახებ

### ცენტრისტული სახალხო პარტია

1. გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი არის ცენტრისტული სახალხო პარტია, რომელიც ეხმიანება ჩვენი ქვეყნის ყველა ფენისა თუ ჯგუფის ნებისმიერ ადამიანს. ჩვენი პოლიტიკა ეფუძნება ადამიანის ქრისტიანულ გაგებასა და ღმერთის წინაშე მის პასუხისმგებლობას.
2. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ქრისტიანული გაგება პასუხისმგებლობით აღსავსე პოლიტიკის ეთიკურ საფუძველს გვაძლევს, იმასაც კარგად ვუწყოთ, რომ ქრისტიანული რწმენიდან რაიმე სახის პოლიტიკური პროგრამის ჩამოყალიბება შეუძლებელია. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ღიაა ნებისმიერი ადამიანისათვის, ვინც აღიარებს ყველა ადამიანის ღირსებას, თავისუფლებასა და თანასწორობას და აქედან მომდინარე ჩვენი პოლიტიკის ძირითად დებულებებს ეთანხმება. სწორედ ამ ფუნდამენტს ეფუძნება ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირში ჩვენი ერთობლივი მოქმედებებიც.
3. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი დააფუძნეს მოქალაქეებმა, რომელთაც ვაიმარის რესპუბლიკის მარცხის, ნაციონალ-სოციალიზმის დანაშაულებრივი ქმედებებისა და 1945 წლის შემდეგ კომუნისტური მმართველობის რეალურად არსებობის გამო ისურვეს გერმანიის მომავლისათვის ქრისტიანულად ორიენტირებული სახალხო პარტიის დაფუძნება. მასში თავი მოიყარეს კათოლიკე და პროტესტანტმა ქრისტიანებმა, ყველა რელიგიური მიმდინარეობისა თუ სოციალური ფენის ქალებმა და მამაკაცებმა. ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს აქვს კონსერვატიული, ლიბერალური და ქრისტიანულ-სოციალური ფესვები. საერთო ფასეულობების საფუძველზე, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონსტიტუციის შემუშავებაში და ათწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდნენ გერმანიის თავისუფალი ნაწილის ისეთ ძირითად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, როგორებიც, მაგალითად, სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ყველა მსხვილი სოციალური კანონი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩართვა ფასეულობათა თუ თავდაცვის დასავლურ გაერთიანებებში და გერმანიისა და ევროპის გაერთიანებაა. იმავე ზომების განხორციელება შეუძლებელი იყო ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მიერ გერმანიის საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებული ნაწილის ტერიტორიაზე.
4. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სულიერი და პოლიტიკური საფუძველებია ქრისტიანული ეკლესიების სოციალური ეთიკა,

განმანათლებლობის ლიბერალური ტრადიციები და კავშირებსა და კონსერვატიულ ფასეულობებზე ორიენტირებული ზრუნვა. ასევე იმის ცოდნა, რომ სახელმწიფო არ უნდა იყოს ძლევამოსილი და ყოველთვის უნდა არსებობდეს ნაციონალ-სოციალიზმის მიმართ ქრისტიანულ-პატრიოტულად მოტივირებული წინააღმდეგობა. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თვითმყოფადობის გამომხატველია 1989 წლის მშვიდობიანი რევოლუციაც, რომელმაც დაამხო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტური დიქტატურა და ხელი შეუწყო ჩვენი სამშობლოს გაერთიანებას. გერმანიის ახალი ფედერალური მხარეების მოქალაქეთა წარმატებები და გამოცდილება ამდიდრებს ჩვენს ერთიანობასა და თავად ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს. ეს უკანასკნელი არის გერმანიის გამაერთიანებელი პარტია.

## ქრისტიანობის შეხედულებები ადამიანის შესახებ

5. ღმერთმა შექნა ადამიანი ხატად თვისად და ჩვენც სწორედ აქედან გამომდინარე ვაღიარებთ მის ხელშეუხებელ ღირსებას. ყველა ადამიანი, განურჩევლად მისი სქესისა, კანის ფერისა, ეროვნებისა, ასაკისა, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებისა, უნარშეზღუდულობისა, წარმატებისა თუ წარუმატებლობისა და სხვების შესახებ არსებული შეხედულებებისა, თანაბრად ღირსეულია. ჩვენთვის ადამიანი წარმოადგენს ერთადერთ და განუკარგავ პირს სიცოცხლის ყველა სტადიაში. თვით დაუბადებელი და მომაკვდავი ადამიანის ღირსებაც ხელშეუხებელია.
6. ადამიანის ღირსებიდან მოდის მისი პიროვნების თავისუფლად განვითარების უფლებაცა და მისი ახლობელი ადამიანების მიმართ პასუხისმგებლობაც. ადამიანს მორალური გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება გააჩნია. ქრისტიანული გაგებით, ადამიანი პასუხისმგებელია ღმერთისა და საკუთარი სინდისის წინაშე და დამოკიდებულია სხვა ადამიანების გარემოცვაზე.
7. არც ერთი ადამიანი არ არის დაზღვეული შეცდომებისა და გარკვეული ბრალეულობისგან. ამიტომაც პოლიტიკაში დაგეგმვისა და ჩამოყალიბების უნარის გარკვეული ფარგლები არსებობს. ეს მოსაზრება გვიცავს ჩვენ იდეოლოგიური დოქტრინებისა და პოლიტიკის ტოტალიტარული გაგებისგან და შერიგებისთვის მზადყოფნას უზრუნველყოფს.
8. ჩვენ ადამიანს კაცობრიობის ნაწილად აღვიქვამთ. მისი საქმე არ არის ბუნების ნებისმიერი სახით განკარგვა, რადგან ბუნება ჩვენი ზრუნვისა და დაცვის ობიექტს წარმოადგენს და პასუხს ვაგებთ იმაზე, თუ როგორ შევუნარჩუნებთ მას შემდგომ თაობებს.
9. სწორედ ადამიანის ასეთ გაგებას ეფუძნება დემოკრატიული სამართლებრივ-კონსტიტუციური სახელმწიფოების ძირითადი საფუძვლები. იგივე პრინციპი ვრცელდება იმ ადამიანებზეც, ვისთვისაც ადამიანის ღირსება, თანასწორობა და თავისუფლება ქრისტიანულ სარწმუნოებას არ უკავშირდება.

**ჩვენი ძირითადი ფასეულობები: თავისუფლება, სოლიდარობა და სამართლიანობა**

10. ჩვენი საზოგადოება ხელმძღვანელობს იმ სულიერი ფასეულობებით, რომლებიც არც თავისთავად ცხადი და არც ყველა დროისთვის გარანტირებული არ არის. ეს არის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის განსაკუთრებული ვალდებულება, დაიცვას და გააძლიეროს ჩვენი თავისუფალი დემოკრატიის წიაღში გამობრძმედილი ძირითადი ფასეულობები, რამეთუ სწორედ ისინი განსაზღვრავს ჩვენი პოლიტიკური მოქმედების მასშტაბსა და ორიენტაციას. სწორედ მათგან მომდინარეობს ჩვენი ძირითადი ფასეულობებიც: თავისუფლება, სოლიდარობა და სამართლიანობა. ისინი თანაბარ ცნებებს წარმოადგენს და ერთმანეთს ზღუდავს და განაგრცობს. თითოეული მათგანის გონივრულად ჩამოყალიბება წარმოადგენს პოლიტიკური ცხოვრების ჩვენეულ ამოცანასა და საფუძველს. ძირითადი ფასეულობები, როგორც ადამიანის განუყოფელი უფლებები, უნივერსალურად და ჩვენი ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ არსებობს.

**თავისუფლება**

11. ადამიანი შექმნილია თავისუფალ არსებად და, როგორც მორალურმა არსებამ, გონივრულად და პასუხისმგებლობით უნდა იმოქმედოს. ადამიანს თვით ტოტალიტარული სისტემის პირობებშიც კი ვერ წაართმევ შინაგან თავისუფლებას. სხვა ადამიანის თავისუფლება კი მის პირად თავისუფლებას განაპირობებს და ზღუდავს. ვინც საკუთარი თავისთვის ითხოვს თავისუფლებას, სხვა ადამიანების თავისუფლებაც უნდა აღიაროს. თავისუფლება მოიცავს უფლება-მოვალეობებსაც. ის ყოველთვის დაკავშირებულია პასუხისმგებლობასთან. პოლიტიკის დანიშნულება ადამიანისთვის თავისუფლების აუცილებელი ფარგლებისა და საზოგადოებისთვის მათი ვალდებულებად ქცევის უზრუნველყოფაა.
12. ადამიანი საზოგადოებაში ვითარდება. ის, ვინც სხვა ადამიანების წინაშე ვალდებულებებისგან თავისუფლდება, თავისუფალი კი არა, ღარიბი და მარტოხელა ცხოვრებისთვის იმეტებს თავს. ადამიანისთვის ვინმეზე ან რამეზე დამამცირებელი დამოკიდებულებების მსგავსად, არსებობს გარკვეული ვალდებულებებიც, რომელთა განხორციელების დროსაც თავისუფლება ჭეშმარიტად ვითარდება.
13. სამართალი თავისუფლებას ადამიანის პირადი ღირსების დაცვით უზრუნველყოფს. ის ადამიანების ორგანიზებულ და მშვიდობიან თანაცხოვრებას აწესრიგებს. ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ თავისუფლების დაცვის აუცილებლობის შემთხვევაშია დასაშვები. თავისუფლების განსახორციელებლად აუცილებელია სოციალური სამართლიანობა. თავისუფლება არ უნდა იზღუდებოდეს იმ ურთიერთობებით, რომელთა პირობებშიც უწევს ადამიანს ცხოვრება. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი ცხოვრების განსაზღვრის შესაძლებლობა. დაცული უნდა იყოს მისი შრომისა და საკუთრების უფლებები. ასევე უზრუნველყოფილ უნდა იყოს თავისუფლების მატერიალური საფუძველები.
14. თავისუფლება ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვის შესაძლებლობასა და საჭიროებასაც მოიცავს. ამიტომაც საზოგადოებრივი ცხოვრება სუბსიდიურობის პრინციპის საფუძველზე უნდა დახარისხდეს. მისი ამოცანა უნდა იყოს ის, რისი გაკეთებაც მოქალაქეს ოჯახში



მარტოს და სხვებთან ერთად ნებაყოფლობითი ერთიანობის ფარგლებში უკეთ ან ისეთივე წარმატებით შეუძლია. სახელმწიფომ და მუნიციპალიტეტებმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აიღონ საკუთარ თავზე კომპეტენციები თუ მათ ცალკეული მოქალაქეები თუ პატარა გაერთიანებები ვერ უმკლავდებიან. სუბსიდიურობის პრინციპი მცირე და დიდ გაერთიანებებსა და, აგრეთვე, თავისუფალ გაერთიანებებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორისაც მოქმედებს. სუბსიდიურობის პრინციპი მსხვილი გაერთიანებების, მათ შორის სახელმწიფო დონეზე მოქმედებასა და კიდევ იმასაც ითხოვს, რომ საზოგადოების პოლიტიკური მოთხოვნები ცალკეული პირებისა თუ მცირე გაერთიანებების შესაძლებლობებს აღემატებოდეს.

15. თავისუფლება პრაქტიკულ ცხოვრებაში საკუთარი პასუხისმგებლობითა და თანაპასუხისმგებლობით ხორციელდება. მოქალაქე თავისუფლებას ოჯახში, სამეზობლოში, სამსახურში და თავისუფალ დროს უნდა ეზიაროს და ის მუნიციპალურ თუ სახელმწიფო დონეზე განიცადოს. ის უნდა მონაწილეობდეს და იყოს თანაპასუხისმგებელი, უნდა აირჩიოს და გადაწყვიტოს. ის არც მზრუნველობის ობიექტად უნდა იქცეს და არც სახელმწიფო დახმარების მიმღების დონემდე დაკნინდეს. მხოლოდ საკუთარი ხედვები და პასუხისმგებლობით აღსავსე თანამშრომლობა თუ იხსნის მას იდეოლოგიური ცდუნებისაგან. ჩვენ პასუხისმგებლობისა და კეთილდღეობის, ვალდებულებებისა და მოქალაქეთა სათნოების დედააზრის გაძლიერება გვსურს.
16. პიროვნული წარმატებები პიროვნების თავისუფალი განვითარების შემადგენელი ნაწილია. ადამიანის ღირსება და უფლებები არ უნდა იყოს დამოკიდებული მისი ცხოვრების წარმატებულობაზე. თუმცა საკუთარი წარმატების უნარის განცდა ადამიანისთვის მისი სასიცოცხლო პოტენციალის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. წარმატება ადამიანის აუცილებელი მამოძრავებელი ძალაა. ამიტომაც პიროვნული წარმატებების მიღწევის ნება და ინიციატივების გამომჟღავნება მას ცოდნის გამდიდრებაზე ორიენტაციის არსებობა-არარსებობის მიუხედავადაც სჭირდება. პიროვნული წარმატების გარეშე საზოგადოება ვერ განვითარდება, ვერ მიიღწევა და შენარჩუნდება კეთილდღეობა.
17. თავისუფლებას მისთვის საკუთარი თავის მიძღვნისა და მისი შინ და გარეთ დაცვისთვის მზაობა სჭირდება. ჩვენ ჭეშმარიტ დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას ვაღიარებთ. თავისუფალი ადამიანის მოვალეობა თავისუფლებაშელახული ადამიანების დაცვაა. თავისუფლება არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ მცირერიცხოვანი ხალხების ან საზოგადოებრივი ჯგუფების საკუთრებას. ჩვენ გვსურს თავისუფლება ყველა ადამიანისთვის და ხელს ვუწყობთ ამას.

## სოლიდარობა

18. სოლიდარობა მოყვასის სიყვარულს ნიშნავს და ადამიანის სოციალურ ბუნებას შეესაბამება. ჩვენი მიზანია ყველა ადამიანისათვის საკადრისი ცხოვრების შექმნა, რაც სოლიდარულ მოქცევას გვავალებს. სოლიდარობა, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანებზე უნდა ვრცელდებოდეს, რომლებსაც საკუთარი თავისთვის ჯერ ვერ, აღარ ან ვერ შეუქმნიათ პერმანენტულად თავისუფალი ცხოვრების საფუძვლები.
19. ნებისმიერ ადამიანს აქვს სოლიდარობის უფლება და ვალდებულება და საკუთარი შრომითა და წარმატებით შეაქვს წვლილი საზოგადოების მიერ თითოეული ინდივიდის დახმარების საქმეში. ჩვენ ვაღიარებთ ამ

- ორმხრივ პასუხისმგებლობას. სოლიდარობის ელემენტარული ფორმები როგორც უშუალოდ პირად თანაცხოვრებაში – ოჯახში, მეგობრებსა თუ მეზობლებში, ასევე კერძო წრეებში თანადგომა და დახმარებაა. იქ კი, სადაც თითოეული მათგანის ძალები ამოწურულია, მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს დახმარებაა საჭირო.
20. სოციალური უსაფრთხოება სოლიდარობის ძირითად პრინციპებს ეფუძნება. საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი რისკებისაგან თავის დაზღვევა ხდება. ეს ის რისკებია, რომლებსაც ცალკე ადამიანი ინდივიდი თავს მარტო ვერ გაართმევს. ამ დროს არც მოწყალება გაიღება და არც უფასო უზრუნველყოფას ექნება ადგილი, თუმცა შესაძლებელი იქნება სოციალური უსაფრთხოების გარემოში ცხოვრება. მას, ვინც სოლიდარულია, გარკვეულ ფუფუნებაზე უარის თქმაც შეუძლია. ვისაც სახელმწიფოს მხრიდან სოლიდარობის აღმოჩენის იმედი აქვს, სახელმწიფოს წინაშე გარკვეული ვალდებულებებიც გააჩნია. სოციალურ უსაფრთხოებას დამაკმაყოფილებელი და გამათავისუფლებელი ეფექტები გააჩნია. სოლიდარობა სოციალური უსაფრთხოების სისტემის ბოროტად გამოყენებას კრძალავს.
  21. სოლიდარობა სუბსიდიურობას, სუბსიდიურობა კი პირადი პასუხისმგებლობით გამსჭვალულ ქმედებას მოითხოვს. სახელმწიფომ მოქალაქეს ამ ქმედებისა და მისი გამარტივების შესაძლებლობა უნდა მისცეს.
  22. სოლიდარობა ჩვენი ვალდებულებაა მომავალი თაობების წინაშე. თაობებს შორის სოლიდარობის გარეშე თაობათა სამართლიანობას ვერ მივალწევთ. ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ პასუხისმგებლობის შემცველი უნდა იყოს. არც ჩვენი შვილებისა თუ შვილიშვილების და არც მსოფლიოს სხვა კუთხეში მცხოვრები ჩვენივე თანამოქმედების ხარჯზე ცხოვრება არ შეიძლება. ჩვენ ვემხრობით მსოფლიოს მასშტაბით ხალხების სოლიდარობას. მის გარეშე ღარიბსა და მდიდარს შორის უფსკრული ვერ დაიძლევა და კაცობრიობის შენარჩუნებაც შეუძლებელი გახდება.

## სამართლიანობა

23. სამართლიანობის საფუძველს ყველა ადამიანის ღმერთის მიერ ნაბოძები ღირსებითა და თავისუფლებით თანასწორობა წარმოადგენს. სამართლიანობა იცავს ღირსებასა და თავისუფლებას. სამართლიანობა თანასწორი მოყვასისადმი თანასწორ, ხოლო უთანასწოროსადმი უთანასწორო მოპყრობას ითხოვს. სამართლებრივ სახელმწიფოში სამართლიანობა ყველასათვის თანასწორ უფლებას ნიშნავს. უფლება კი თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან გვიცავს. ის ყველაზე სუსტისთვისაც კი უზრუნველყოფს თავისუფლებას.
24. თანაბარი შესაძლებლობების შექმნა უფლების სამართლიანობის აუცილებელ დანამატს შეადგენს. ყველას პირადი უნარ-ჩვევების შესაბამისი საკუთარი თავისუფლების განვითარების თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ადამიანმა თავისუფლად და სრული პასუხისმგებლობით აღიქვას საკუთარი სასიცოცხლო შესაძლებლობები, რის წინაპირობასაც მაქსიმალურად სამართლიანად განაწილებული სასიცოცხლო შესაძლებლობებიდან წარმოქმნილი თანასწორი საზოგადოება იძლევა. ეს კი განათლების მიღებისა თუ დასაქმების კუთხით თანაბარ საწყის შესაძლებლობებს მოითხოვს და მას ცალკეული ინდივიდების პიროვნულ

თვისებებს შორის არსებული სხვაობა არ განეკუთვნება. ჩვენ თანაბარი შედეგების მიღწევა კი არა, თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება გვსურს.

25. სამართლიანობა დატვირთვის გონივრულად გადანაწილებას მოითხოვს, ამიტომაც სამართლიანი იქნება თუ ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობაში ძლიერები სუსტებზე უფრო დიდ წვლილს შეიტანენ.

ჩვენს საზოგადოებაში მეტი სამართლიანობისთვის უკიდურესი ძალისხმევით ბრძოლის შემთხვევაშიც კი კარგად ვუწყოთ, რომ სრული სამართლიანობის მიღწევა უბრალოდ შეუძლებელია. ჩვენ სრულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ შედარებით სუსტებისა და სოციალურად დაუცველთა წინაშე. არავის ცოდნა არ უნდა დაიკარგოს და არც არავინ მიეცეს დავიწყებას.

26. იქ, სადაც ადამიანის ღირსეულად ცხოვრების უფლებაა უფლებელყოფილი და სადაც ცალკეული პიროვნებების, გარკვეული ჯგუფებისა თუ მთელი ერების თავისუფლება იზღუდება, ძალადობა ბატონობს და არ არის მშვიდობა. ჩვენ ვიბრძვით ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირის დასაძლევად და ამგვარად შეგვაქვს ჩვენი წვლილი ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებასა და სამართლიანი სამყაროს ჩამოყალიბებაში.

## 2. ჩვენი საზოგადოების იერ-სახე

27. ჩვენი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის სულიერი საფუძვლები აწმყოსა და მომავლის გამომწვევების დაძლევის უნარს გვძენს. პოლიტიკას სწორედ გარდატეხის პირობებში შეუძლია იმ ჩარჩო-პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომლებიც საზოგადოებასა და სახელმწიფოში არსებულ მწვავე კითხვებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას მოგვცემს. ჩვენი პოლიტიკა მიმართულია ისეთი საზოგადოების შექმნისკენ, რომელიც ყველასათვის უზრუნველყოფს თავისუფლებას და ყველას მისდამი მიკუთვნების ცნობიერებით აერთიანებს.

## პიროვნების თავისუფალი განვითარება

28. ცხოვრების აზრისა და ბედნიერების ძიებაში ყველას საკუთარი მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად განვითარების საშუალება უნდა ჰქონდეს. ქრისტიანული გაგებით, თავისუფალი განვითარება მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების პირობებშია შესაძლებელი. ინდივიდსა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობები ორმხრივი გამდიდრების წყაროს წარმოადენს. ცალკეულ ინდივიდებს სრული თვითმყოფადობის გამოვლენა მხოლოდ სხვებთან ურთიერთობაში შეუძლიათ. ამგვარად, საზოგადოების განვითარება და მომავალზე ორიენტირება თავისუფალი და შეგნებული პიროვნებების არსებობაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს ახასიათებს თანასწორ საზოგადოებას. მასში ნებისმიერ ცალკეულ ინდივიდს შეუძლია შემოქმედებითი უნარისა და ნოვატორული ნიჭის გამოვლენა.

29. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ენდობა მოქალაქეთა შესაძლებლობებსა და მართვის სადავეების საკუთარ ხელში აღებისთვის

მზადყოფნას. პოლიტიკის უპირველესი ამოცანა ყველგან და ყოველთვის მოქალაქეთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების ხელშეწყობა და მათვის დახმარების შეთავაზებაა. პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ასაღებად ადამიანს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების თავისუფალი განვითარება სჭირდება.

ოჯახში ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ორმხრივ თამაშშია ჩაბმული. იმავდროულად ოჯახიდან მომდინარეობს პიროვნების ის მრავალმხრივი უნარებიც, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება ეფუძნება. ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს სურს ქორწინებისა და ოჯახის, როგორც საზოგადოების ფუნდამენტის გაძლიერება და საამისოდ მხარს უჭერს ოჯახისა და ბავშვებისადმი მეგობრულად განწყობილი საზოგადოებისა და თაობათა შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

აღზრდა და განათლება პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და თავისუფლების უფლებისა და მოქალაქეთა ვალდებულებების აღქმის უნარის უმნიშვნელოვანეს წინაპირობებს წარმოადგენს. ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს განათლების განსხვავებული პროგრამების იმგვარად გაუმჯობესება სურს, რომ თითოეულ ინდივიდს მისი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენის შესაძლებლობა მიეცეს.

ადამიანის ნიჭი და უნარი ყველაზე უკეთ მუშაობის პროცესში ვლინდება. ამიტომაც წარმოადგენს სრულ განაკვეთზე დასაქმება ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მიზანს. სოციალური საბაზრო ეკონომიკა საშუალებას აძლევს ადამიანებს იცხოვრონ კონკურენტულ გარემოში და სრულად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. კონკურენცია ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისთვის მხოლოდ ეკონომიკის სფეროში როდი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ სამართლიანი კონკურენცია ადამიანებს მათი შესაძლებლობის ფარგლებში საუკეთესო შედეგების მიღწევის სტიმულსაც აძლევს.

დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო აძლევს მოქალაქეებს თავისუფალი განვითარების სივრცეს და ამასთან იცავს მათ დისკრიმინაციისგან. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი კი თავისუფლებასა და საზოგადოებრივ წესრიგს შორის სწორედ ასეთ წონასწორობას უჭერს მხარს.

30. ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობა ჩვენი ძირითადი უფლებაა. ჩვენი პოლიტიკის მიზანი ქალთა და მამაკაცთათვის, გოგონათა და ვაჟთათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა და ყველა სფეროში ნაკლოვანებების აღმოფხვრაა. ჩვენ მხარს ვუჭერთ თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც თანაბრად განიხილავს ქალებსა თუ მამაკაცებს. ამასვე მიეკუთვნება თანაბარი პროფესიული შანსებიც, დაწინაურების შესაძლებლობებიცა და პროფესიულ საქმიანობაში ანაზღაურების თანასწორობაც, ოჯახური საქმიანობის სათანადოდ გადანაწილება და ოჯახისა და პროფესიული საქმიანობის უკეთესი შეთავსებაც. მანდილოსნების სპეციფიური შეხედულებები და გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის. ჩვენ ყველა დონეზე ვუწყობთ ხელს ქალთა ჩართულობას.

## ჩვენი საზოგადოების ერთობა

31. იქ, სადაც ადამიანს თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა აქვს, სოლიდარობის განცდაც ჩნდება. სუბსიდიურობის პრინციპი შესაძლებელს ხდის სოლიდარობის განცდასა და მოქალაქეობრივ აქტიურობას. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი მიიღტვის ისეთი ტიპის საზოგადოებისკენ, სადაც თავისუფალი და სრულწლოვანი მოქალაქეების ერთობლიობა და ურთიერთდახმარება იქნება უზრუნველყოფილი, სადაც ახალგაზრდები მოხუცებს, მოხუცები ახალგაზრდებს, ძლიერები სუსტებს, ხოლო სუსტები ძლიერებს დაეხმარებიან. საზოგადოება ერთობლივად უნდა იყოს პასუხისმგებელი იმაზე, რომ მასში თითოეულ ადამიანს საკუთარი ადგილი ჰქონდეს.
32. ჩვენი საზოგადოების ერთიანობის საფუძველი ჩვენი, როგორც ერთიანი ერის არსებობაშია. ჩვენი ერთიანი ენა, ჩვენი ისტორია, ასევე ჩვენი ცხოვრება და მოქმედება კვლავაც გაერთიანებულ ეროვნულ სახელმწიფოში ქმნის პატრიოტული ერთიანობის განცდას. ჩვენ ვერთიანდებით ჩვენი შავ-წითელ-ყვითელი დროშისა და ჩვენი ეროვნული ჰიმნის, როგორც ჩვენი დემოკრატიის სიმბოლოების ირგვლივ. ერი წარსულზე, აწმყოსა თუ მომავალზე პასუხისმგებლობის ერთიანობას წარმოადგენს. ნებისმიერ უცხო ადამიანს, რომელსაც ჩვენთან დარჩენა სურს, ჩვენი ქვეყნის ისტორიის უკეთ გაცნობისა და ამ გზით ჩვენს ქვეყანაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისკენ მოუწოდებთ.
33. სახელმწიფო ჩვენი თავისუფლებისმოყვარე საზოგადოების ერთობლივი პატივისცემის, პატრიოტიზმის, სამშობლოსა და ერის წინაშე ვალდებულებების შესრულების, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისა და სოლიდარობის გამოცხადებისთვის მზაობის გარეშე ვერ განვითარდება. ჩვენი ისტორია სავესა დიდი გამოცდილებითა და მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში დიდი წარმატებებით. ჩვენ ვიხსენებთ და ვაკვირდებით სამართლებრივი სახელმწიფოს ანგარიშგასაწევ ტრადიციებს, კონსტიტუციასა და მმართველობის კარგ სისტემას. ჩვენ დავაარსეთ სოციალური სახელმწიფო და განვაავითარეთ სოციალური საბაზრო ეკონომიკა. მრავალი ათწლეულია, რაც მშვიდობიანად და სტაბილური დემოკრატიის პირობებში, ევროპის ხალხთა ოჯახის სრულყოფილებიან წევრად ვცხოვრობთ და გერმანიის გაერთიანებაც მშვიდობიანად დავასრულეთ. თუმცა ჩვენ მუდმივად გვახსოვს და ვაცნობიერებთ ნაციონალ-სოციალიზმის სამარცხვინო წლებსაც, რომლებსაც გამოუსწორებელ საშინელებად მივიჩნევთ. პატრიოტიზმი ჩვენთვის ჩვენი ქვეყნის წარსულის გაცნობიერებით მისი მომავლის პასუხისმგებლობით შექმნას ნიშნავს.
34. მხოლოდ საკუთარი თავის, როგორც თავისუფალი მოქალაქეებისგან შემდგარი, ისტორიითა და კულტურით დაჯილდოებული საზოგადოების წევრის მკაფიო შეცნობით შეგვიძლია ერთ საზოგადოებად ინტეგრაცია და მასში მონაწილეობა. რამეთუ ამ საზოგადოების წევრობა მის ისტორიაში, მის ტრადიციებსა და გამოცდილებებში, თანაცხოვრების მისეულ ფორმებსა და ნორმებში, და, მაშასადამე, მის კულტურაში თანამონაწილეობას ნიშნავს. ეს წესი როგორც გერმანიის ყველა მოქალაქეზე, ისე მიგრანტებსა და მათ შვილებზეც ვრცელდება.

ჩვენი თანაცხოვრების პირობები, უპირველეს ყოვლისა, გერმანული ენის ცოდნაში, თანამოქალაქეებისადმი სრულ პატივისცემაში, წარმატებებისა და პასუხისმგებლობისთვის მუდმივ მზაობაში მდგომარეობს. ყოველმა მოქალაქემ პატივი უნდა მიაგოს და აღიაროს ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თითოეული ჩვენგანისთვის სავალდებულო კულტურული საფუძვლები. ეს გახლავთ ღირებულებები, რომლებიც ჩვენი, როგორც ერთ-ერთი ევროპელი ერის ისტორიიდან მომდინარეობს და ჩვენივე კონსტიტუციითაა გამყარებული: ითოეული ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა, მისი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ადამიანების თანასწორუფლებიანობა და მოქალაქეთა უფლებების თანასწორობა. ცხოვრების მიზნების აღიარება, ასევე სხვათა სულიერი ორიენტაციისა და, ამასთან, რელიგიური მრწამსის თავისუფლების პატივისცემა.

35. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის უპირველესი ამოცანა საზოგადოების ინტეგრაციაა ამ სიტყვის ფართო გაგებით. ყველას უნდა თავისუფლად განვითარება და სოციალურ, პოლიტიკურ ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა. ამასთან, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პოლიტიკური ამოცანა მიგრანტთა და მათი შვილების ჩვენს საზოგადოებაში ინტეგრირებაა. სწორედ ამას მივყავართ თანასწორუფლებიანი თანამონაწილეობის, ურთიერთგაგებისა და, იმავდროულად, ჩვენ ქვეყანასთან იდენტიფიკაციისკენ.
36. ჩვენი პოლიტიკური კულტურა ევროპისა და გერმანიის ისტორიის ერთობლივი თავისებურებებითაა განპირობებული. მასში, უპირველეს ყოვლისა, ფედერალური და რელიგიური ტრადიციები, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის განსაკუთრებული დამოკიდებულება და ის პასუხისმგებლობა იგულისხმება, რომელიც გერმანელებს, ორი ტოტალური რეჟიმის გამოცდილებიდან გამომდინარე, სამომავლოდ ეკისრებათ.
37. ეს კულტურული ღირებულებები და ისტორიული გამოცდილება ჩვენს საზოგადოებაში მჭიდრო კავშირებისა და გერმანიაში ჩვენი წარმმართველი კულტურის შექმნის საფუძველი გახლავთ. ჩვენ მათი ხორცშესხმა ვესურს.

ჩვენი კულტურა ისტორიაში, აწმყოსა და მომავალში ევროპაზეა ორიენტირებული. ეს ევროპული განზომილება უფრო მეტ მნიშვნელობას ევროპის გაერთიანების ჭრილში შეიძენს.

## II. ჩვენი დროის გამოწვევები – ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მოწყობის მოთხოვნა

### 1. ჩვენი დროის გამოწვევები

38. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქალური ცვლილებების დროში. ამგვარი გამოწვევების უმნიშვნელოვანესი მაგალითებია ჩვენი გარემოს წინაშე მდგარი საფრთხეები, გლობალიზაციის შედეგები, სამეცნიერო საზოგადოების მოთხოვნები, ჩვენ თავისუფლებასთან დაკავშირებული ახალი საფრთხეები და დემოგრაფიული ცვლილებები. ჩვენ უნდა მივიღოთ ისინი, მოვერგოთ და მათთან დაკავშირებული შესაძლებლობებიც გამოვიყენოთ. ჩვენ 21-ე საუკუნეში მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკით უნდა ვისარებლოთ. იმავდროულად, ცვლილებებისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. ჩვენი ქვეყანა სოციალური სახელმწიფოს ხარვეზებისა

და სტრუქტურული სისუსტეების გამოსწორებას ცდილობს. ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს, როგორც დიდ ცენტრისტულ სახალხო პარტიას, იმაზე ზრუნვა სურს, რასაც ჩვენი ქვეყანა ავითარებს და იმის გარდაქმნა უნდა, რაც ჩვენს ქვეყანას ამძიმებს.

### საფრთხის წინაშე მდგარი სამყარო

39. ქრისტიანული გაგებით, ღვთისგან შექმნილი სამყარო ჩვენ მოსაწყობად და მოსაველეად გადმოგვეცა. დღეს კი ირკვევა, რომ ამ სამყაროს საფრთხე ემუქრება.
40. ახალ ტექნოლოგიურ განვითარებას ადამიანი ეთიკურ საზღვრებთან მიჰყავს. ამდენად, ბიოსამედიცინო და გენტექნიკური კვლევები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ავადმყოფობების განკურნებასა და ტკივილების საგრძნობლად შემცირებას. მაგრამ ასეთი გამოკვლევები რისკის ფაქტორსაც შეიცავს: როდესაც ერთმანეთს უსასრულო შემეცნების ჟინი და უსინდისო მარკეტინგი უკავშირდება, მაშინ კაცობრიობაცა და ადამიანის ღირსებაც საფრთხის წინაშე დგება. ადამიანის ღირსებისა და კაცობრიობის ხელშეუხებლობას კი კვლევის თავისუფლებაც უთუოდ უნდა ითვალისწინებდეს.
41. გლობალური კლიმატური ცვლილებები საფრთხეს უქმნის ჩვენს სასიცოცხლო საფუძვლებსა და მომავალი თაობების განვითარების შესაძლებლობებს. ენერგორესურსებზე მოთხოვნილება და მათი ხარჯვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით იზრდება. ჭარბი გამონახობლქვებისა და მათთან დაკავშირებული კლიმატური დათბობის შედეგებს მყინვარწვევების დნობა, ზღვების დონის აწევა და მათი დამლაშება, წყალდიდობები, უწყლოობა, ჯიშების გადაშენება, ახალი უდაბნოების გაჩენა და გვაღვა ანუ ის უარყოფითი ბუნებრივი მოვლენები წარმოადგენს, რომლებიც ადამიანს გაჭირვებაში აგდებს და საკუთარი სამშობლოდან ემიგრაციაში წასვლას აიძულებს.

### გლობალური სამყარო

42. გლობალიზაცია პოლიტიკური, ეკონომიკური და საკომუნიკაციო საზღვრების მსოფლიო მასშტაბით გახსნას ნიშნავს. მას ადამიანის მოქნილობა, აზრთა და ინფორმაციის გაზიარება, რესურსების, ტვირთის, მიღწეული შედეგებისა და კაპიტალის გაცვლა, ბაზრების ურთიერთდაკავშირება ახასიათებს. ის თავისუფლების გამომხატველი და კონკურენციის გამაძლიერებელია.
43. გლობალიზაცია არის შეუქცევადი, განვითარების პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად ნაყოფიერი პროცესი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს აძლევს საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების უკეთეს შესაძლებლობებს. ჩვენ გლობალიზაციის იმგვარად წარმართვა გვსურს, რომ მსოფლიო მასშტაბით დემოკრატია გაძლიერდეს და ადამიანის უფლებები და სოციალური და ეკოლოგიური მიზნებიც დაცული იყოს. გლობალიზაციის პირობებში ერთიან მსოფლიოში ცხოვრების განცდაც იზრდება მას როგორც ქვეყნებს შორის, ისე ცალკეული ქვეყნის შიგნითაც სიღარიბისა და სიმდიდრის სხვა ტიპის გადანაწილებამდე მივყავართ. ემიგრაციაც გლობალიზაციის შედეგია.
44. სასაქონლო და მომსახურების ბაზრის საერთაშორისო ურთიერთკავშირი ცალკეულ რეგიონთა შორის კონკურენციის ფაქტორს აძლიერებს, რაც

რეგიონთა კონკურენციის მსოფლიო მასშტაბის ჭრილშიც სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. გლობალური ფინანსური ბაზარი მთელ მსოფლიოში კაპიტალის მიღებისა და მოზიდვის შესაძლებლობას იძლევა. დიდძალი კაპიტალი მხოლოდ მომავლის პოტენციალისა და მაღალი შემოსავლების პერსპექტივის მქონე რეგიონებისკენ მიედინება, ნაკლებად მიმზიდველ რეგიონებში კი კაპიტალის აშკარა დეფიციტია. იგივე ითქმის ნიჭისა და ცოდნის ბაზარზეც. რეგიონებისა და ეკონომიკური სისტემების მსოფლიო მასშტაბის კონკურენცია ახალ განზომილებას იძენს. განვითარების ეს პროცესი მართვის ეროვნულ შესაძლებლობებს ამცირებს და მოწყობის საერთაშორისო ფარგლების განსაზღვრასაც როგორც არასდროს, ისე აუცილებელს ხდის.

45. გერმანიაში ბევრ ადამიანს ჰგონია, რომ გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები მის პირად სამუშაო ადგილს, პროფესიულ მომავალსა და აქამდე თავისთავად არსებულ სოციალურ უზრუნველყოფას უქმნის საფრთხეს. ეს შიში სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს. გერმანიას ხომ როგორც მეწარმეს – ფართო საბაზრო შესაძლებლობებით, როგორც დასაქმებულს – ღირსეული სამუშაო ადგილებით, როგორც მომხმარებელს – უფრო მეტი და უკეთესი პროდუქტებით სარგებლობითა და, აგრეთვე, როგორც მრავალმხრივი ინვესტიციების განმახორციელებელს, საზღვრების გახსნითა და მზარდი საერთაშორისო ბაზრების შერწყმით მუდმივად ჰქონდა და აქვს სარგებელი. იმ შემთხვევაში თუ თავს გლობალური კონკურენციის ნაწილად მივიჩნევთ, მაშინ ჩვენი ქვეყნის სოციალური უზრუნველყოფისა და სტაბილურობის ეკონომიკური საფუძვლები და მის შემდგომ განვითარებაში საკუთარი წვლილის ახალ-ახალი გზებითა და შესაძლებლობებით შეტანა სამომავლოდ გარანტირებული გვექნება. ასეთი განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობებს, ცოდნასა და კაპიტალს რაც შეიძლება, მეტი ადამიანი უნდა ეზიაროს. ვინც ამის პირობებს ქმნის, მისი ქმედება სოციალურია.

### განათლებული საზოგადოების წინაშე მდგარი მოთხოვნები

46. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განათლებული საზოგადოების განვითარებას იწვევს. იზრდება ცოდნის გაუმჯობესების ხვედრითი წილი და ამგვარად ცოდნის ახალი სფეროები და დასაქმების ახალი შესაძლებლობები ჩნდება.
47. მომავლის ცოდნა ურთიერთდაკავშირებული და დარგთაშორისია. ამით კი ცოდნისადმი მიდგომაც იცვლება. ცოდნის შექმნა, ორგანიზაცია და გამოყენება დღესდღეობით როგორც თითოეული ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის, როგორც მთლიანი ორგანიზმისთვის სასიცოცხლო პირობების შესაქმნელად გადამწყვეტია. ცოდნა უმნიშვნელოვანესი რესურსია. სწორედ ცოდნაა უდიდესი შანსი ისეთი ქვეყნისთვის, როგორც გერმანიაა, რომელიც ნედლეულით მდიდარი არასდროს ყოფილა, მაგრამ ყოველთვის განათლებისა და სამეცნიერო კვლევათა დიდი ტრადიციები გააჩნდა. ამასთან, მსოფლიო ბაზარზე ახალი დინამიური კონკურენტების გამოჩენა ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს.
48. განათლების დანიშნულება დღესდღეობით კაცობრიობის ცოდნის გაზრდისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიერ დღემდე უცნობი



სფეროების მოცვის მასშტაბების შესაბამისად იზრდება. ცალკეულ ინდივიდებს მათ განკარგულებაში არსებული ზღვა ინფორმაციის ახლებურ ცოდნად გადამუშავების უნარი უკვე აღარ შესწევთ. ცოდნა არათანაბრადაა გადანაწილებული და უფრო სწრაფადაც ძველდება. შესაბამისად, ბევრი ადამიანისთვის ცოდნის მიღებაც სულ უფრო რთული ხდება. თუმცა, გერმანიაში თანასწორუფლებიანი საზოგადოების ჩამოსაყალიბებისათვის აუცილებელია, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიეცეს ცოდნის მიღების საშუალება.

## საფრთხის წინაშე მდგარი მსოფლიო უსაფრთხოება

49. ჩვენი ქვეყანა თავის ისტორიაში პირველადაა მხოლოდ მეგობრებითა და პარტნიორებით გარემოცული. თუმცა მაინც შესაძლოა, რომ გერმანიასა და მთლიანად ევროპასაც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან დაემუქროს საფრთხე. კატასტროფები და მათი შედეგები, სახელმწიფოთა წარუმატებელი ქმედებები, სამოქალაქო ომები, სიღარიბე, შიმშილი, სხვადასხვა დაავადებები, გარემოს განადგურება და ტრანსნაციონალური დანაშაულები ჩვენზეც ახდენს ზემოქმედებას. ტერორისტები საზღვრებს გარეშე მოქმედებენ. ასევე უდიდეს საფრთხეს გვიქმნის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებაც. ბუნებრივი რესურსებისა და ენერჯის წყაროების ხელმისაწვდომობის საკითხი, რომელზეც სხვასთან ერთად გერმანიის კეთილდღეობა და თავისუფლებაცაა დამოკიდებული, მშვიდობას მთელს მსოფლიოში უქმნის საფრთხეს.

50. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ განაკუთრებით კარგად ვუწყოთ, თუ რაოდენ მგრძობიარე, ღია და თავისუფალია საზოგადოება და რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა თუ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა. გლობალიზებული სამყაროს პირობებში უშუალოდ მოგვიწევს ასიმეტრიული საფრთხეების გამოვლინებებთან დაპირისპირება. ეს პროცესები არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს, არამედ ჩვენი საზოგადოებისა და კულტურის მიმართაც სერიოზული გამოწვევაა.

უსაფრთხოებას ქვეყნის შიგნითაც ახალი საფრთხე ექმნება. მემარჯვენე ექსტრემიზმის, ძალადობრივი ფუნდამენტალიზმის, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის გამო საფრთხის წინაშე დგას ჩვენი თავისუფლებისმოყვარე დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო, მისი ღირებულებები და ნორმები.

## დემოგრაფიული ცვლილებები

51. მაშინ, როცა მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, გერმანიის მოსახლეობის რაოდენობა იკლებს. ჩვენი შობადობის მაჩვენებელი იმდენად დაბალია, რომ უკვე დიდი ხანია, რაც მოსახლეობის არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად აღარ კმარა. იმავდროულად, ჩვენდა გასახარად, გერმანიაში სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა. მოსახლეობის პირამიდა ამობრუნებულია.

52. გერმანიის მოსახლეობის საერთო რაოდენობის კლება, ბუნებრივად აისახება ჩვენს საზოგადოებაზე, რომლის უდიდეს ნაწილსაც ასაკოვანი ადამიანები შეადგენენ. მომავალში ბევრ ასაკოვან ადამიანს აღარ

ეყოლება შვილები და შვილიშვილები, რაც ოჯახურ კავშირებს შეასუსტებს. უშვილო, სწრაფად დაბერებადი საზოგადოება დღევანდელი სწრაფად განვითარებადი მსოფლიოს პირობებში დიდი გამოწვევების წინაშე დგას.

53. სულ უფრო და უფრო ნაკლები დასაქმებული ზრუნავს იმ ადამიანებზე, რომლებიც დასაქმების ფერხულში არ არიან ჩართულნი. სამაგიეროდ, უფრო მეტად იზრდება საპენსიო უზრუნველყოფის თანხები. ჩვენი საპენსიო უზრუნველყოფის დღემდე არსებული სისტემები მიმდინარე პროცესებს ვეღარ უმკლავდება. ისინი სახეცვლილ სიტუაციას ისე უნდა მიესადაგოს, რომ სამართლიანობის პრინციპი თაობებს შორისაც იყოს დაცული. ამასთან, მოსახლეობის განვითარებას გერმანიის სხვა სხვა რეგიონში სხვადასხვა შედეგებიც ექნება. ჩვენ გერმანიის ყველა რეგიონში ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნისკენ მივიღტვით.

საერთო ჯამში, ჩვენი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა დემოგრაფიული ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების ღირსეულად გადაჭრაში მდგომარეობს, ვინაიდან მათი გავლენა ცხოვრების ყველა სფეროზე ვრცელდება.

54. ჩვენს წინაშე მდგარი გამოწვევები ყველა ადამიანს აწუხებს. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ამ გამოწვევებს პასუხობს წინამდებარე პროგრამით. ჩვენი პასუხი დამყარებულია რწმენაზე, რომ უნდა შევინარჩუნოთ უკვე არსებული და ამასთან გავატაროთ საჭირო რეფორმები მომავლის უკეთესად მოწყობისათვის.

## 2. გერმანია, როგორც თანასწორუფლებიანი საზოგადოება – თავისუფალი და უსაფრთხო ცხოვრება

55. ქრისტიანობის შეხედულებები ადამიანის შესახებ მომავალშიც ჩვენი თანმხლები იქნება. ნებისმიერ ადამიანს აქვს პიროვნული განვითარების უფლება. თუმცა, იმავედროულად, ამ უფლებას თან ახლავს პასუხისმგებლობაც მის გვერდით მყოფი ადამიანების წინაშე. თანასწორი საზოგადოების ჩვენეული იდეალი ანგარიშს უწევს განვითარებისა და პასუხისმგებლობის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ბალანსს. ეს ლაიტმოტივი ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებებიდან წარმოქმნილ ძირითად დებულებებს შეესაბამება.

თანასწორუფლებიანი საზოგადოება ადამიანთა საზოგადოების იმ ძირითად ღერძს წარმოადგენს, რომელიც ადამიანს იმედს უსახავს შესაძლებლობებს უხსნის. ჩვენ პატივს ვცემთ შრომასა და წარმატებებს, წარუმატებლობის შემთხვევაში კი – ახალი შესაძლებლობების უფლებას და სოლიდარობას ვუცხადებთ ჩვენი საზოგადოების სუსტ წარმომადგენლებს.

ჩვენ გვინდა, სოციალური უსაფრთხოების ასპექტებზე საზოგადოების კონცენტრაცია იმ ადამიანებისათვისაც მოვახდინოთ, ვისაც ეს ბოლო დრომდე არ ეხებოდა. ადამიანის სოციალური წარმომავლობა მისი მომავლის უზრუნველყოფის განსაზღვრისას გადამწყვეტი ფაქტორი არ უნდა იყოს. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის უპირველეს მიზანს

მიღწეული შედეგების თანასწორობა კი არა, თანასწორუფლებიანი საზოგადოება და საკუთარი პასუხისმგებლობით განმსჭვალული ცხოვრების პირობების შექმნა წარმოადგენს. ნებისმიერი ადამიანი განუმეორებელი ინდივიდია, რომელსაც უნდა მოეუფროთხილდეთ და დავიცვათ. ჩვენთვის ყველა პოლიტიკური მოქმედების ეპიცენტრში სახელმწიფო კი არა, სწორედ თავისუფალი და პასუხისმგებლიანი ადამიანი დგას.

მე-20 საუკუნის სოციალურმა საბაზრო ეკონომიკამ საფუძველი ჩაუყარა „კეთილდღეობას ყველასთვის“. ჩვენ სრულად ვიზიარებთ ამ დოქტრინას, თუმცა „შესაძლებლობებით ყველასთვის“ საფუძველს ვუყრით წინაპირობებს, რათა 21-ე საუკუნეში შესაძლებელი გახდეს სოციალური საბაზრო ეკონომიკის დადებითი კომპონენტების სრულად გამოყენება. საამისოდ კი შრომისადმი მზადყოფნისა და სიბეჯითის, საკუთარი ძალების რწმენის, სოციალური პასუხისმგებლობისა და ერთიანობის განცდის გაძლიერებისთვის საჭირო პირობებს ვქმნით.

## თავისუფლად ცხოვრება

56. განვითარების პროცესში ბევრი რამ იცვლება, ამიტომაც ჩვენ ყველას უნდა გაგვაჩნდეს იმის გამბედაობა, რომ თავისუფალნი ვიყოთ. თავისუფლების გარეშე შესაძლებლობებს ვერ გამოიყენებ. ღირსეული მომავლის შესაქმნელად ჩვენ თავისუფლების ძალასა და, ამგვარად, ჩვენ საკუთარ თავსაც უნდა მივყენდეთ.

სწრაფი ტემპებით ცვლად სამყაროში არსებული დიდი გამოწვევების მისაღებად და დასაძლევად მარტო ნებისყოფა, გამძლეობა და დისციპლინა კი არა, ცნობისმოყვარეობა და შემოქმედებითი უნარიც აუცილებელია. მხოლოდ სამეცნიერო, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის ახალი, გამბედავი იდეებითაა შესაძლებელი ჩვენი ანუ იმ ქვეყნის იერ-სახის შენარჩუნება, სადაც ასე კარგად და სიამოვნებით ვცხოვრობთ.

სახელმწიფომ თავისუფლება უნდა უზრუნველყოს. საამისოდ კი მან ხშირად თავი უნდა შეიკავოს, ხშირ შემთხვევაში კი უფრო გაბედული ნაბიჯები უნდა გადადგას ჩვენი მოზარდებისა და ახალგაზრდების საკეთილდღეოდ.

## უსაფრთხო ცხოვრება

57. დიდი ცვლილებებისა და მოძრაობის პერიოდში ადამიანებს უსაფრთხო ცხოვრებისადმი მეტი ნდობა ესაჭიროებათ. ეს კი პოლიტიკის ამოცანაა. მან ადამიანებისათვის ისეთი ჩარჩო-პირობები უნდა შექმნას, რომელთა ფარგლებშიც მათ უსაფრთხოდ ცხოვრება შეეძლებათ.

უსაფრთხოებას დღესდღეობით ბევრი განზომილება გააჩნია. ოჯახისა და თაობათა თანაცხოვრების ფაქტორის გაძლიერება, აღზრდისა და განათლების გაუმჯობესება, სოციალური საბაზრო ეკონომიკის პირობების განახლება სოციალური უსაფრთხოების წინაპირობებს ქმნის. სოციალური თვალსაზრისით უსაფრთხოდ ცხოვრობა ცოდნის გლობალურ

საზოგადოებაში მონაწილეობის შესაძლებლობებიდან და სოლიდარობის პრინციპებიდან გამომდინარეობს.

კულტურული თვითმყოფადობა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს სთავაზობს უსაფრთხოებას, რომლის დახმარებითაც ისინი მომავალზე საზრუნავად იკრებენ ძალებს. გერმანიაში კულტურული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს წვლილს შეადგენს მიგრანტთა საზოგადოებრივი ინტეგრაცია, რომლის საფუძველსაც ძირითადი კულტურული ფასეულობები შეადგენს.

შიდა უსაფრთხოების ჩვენეული პოლიტიკის მიზანი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და დანაშაულთან ბრძოლის კუთხით სახელმწიფოს შესაძლებლობების გაუმჯობესებაა. ჩვენი ცხოვრების წესისა და ადათის მიმართ მთელს მსოფლიოში არსებული საფრთხეების გამო, მისი საგარეო პოლიტიკისგან გამიჯვნა შეუძლებელია. ამდენად, შიდა და საგარეო უსაფრთხოება ერთ კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

ჩვენი ცხოვრების ბუნებრივი საფუძვლების დაცვა, რომელსაც, ჩვენი გარემოსა და კლიმატისადმი ღმობიერი დამოკიდებულებაც განეკუთვნება, შემდგომი თაობებისთვის უსაფრთხოდ ცხოვრების პერსპექტივებს ქმნის.

58. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი მხარს უჭერს ისეთი ტიპის საზოგადოებას, რომელშიც თავისუფლების, სოლიდარობისა და სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპებია უზრუნველყოფილი. ადამიანთა უსაფრთხოების მოთხოვნილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია უზრუნველყოფილი, როდესაც ძირითად ფასეულობებს ერთმანეთთან მართებული კავშირი აქვთ. თავისუფალი და უსაფრთხო ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიანი საზოგადოების პირობებშია უზრუნველყოფილი.

### III. ძლიერი ოჯახები – ადამიანზე ორიენტირებული საზოგადოება

#### **1. ცხოვრების ახალი წესი – თაობათა ახლებური ურთიერთდამოკიდებულება და თანაარსებობა**

59. ცვლილებები განიცადა არა მარტო გარეგნულმა ურთიერთობებმა, არამედ ცხოვრების ცალკეული ეტაპების ხასიათმა და თაობათა დანიშნულებამაც. მგრძობიარე და მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკა ადამიანის ახალი ტიპის ცხოვრების შესაბამის პასუხებს უნდა ეძებდეს და ისიც მხედველობაში მიიღოს, რომ ადამიანებმა უფრო ხანგრძლივად და ჯანმრთელად უნდა იცხოვრონ.
60. დღევანდელ ახალგაზრდებს თანაცხოვრების ან-ბანის ოჯახიდანვე დაუფლების შედარებით ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. ახალ თაობას უკეთესი ცხოვრებისა და მისი სრულფასოვნად მართვისთვის მარტო კარგი განათლება კი არა, სოციალური უნარ-ჩვევებიც ესაჭიროებათ. ახალგაზრდებზეც ვრცელდება გამონათქვამი: თითოეულმა ადამიანმა თავს ძალა იმდენად უნდა დაატანოს, რამდენადაც მას ეს ძალუძსო. სოციალურია მხოლოდ ისეთი სახის პოლიტიკა, რომელიც ადამიანს პირადი პასუხისმგებლობისა და სოლიდარობისკენ უბიძგებს.

61. ოჯახის შექმნა და პირადი ცხოვრების მოწყობა დროის თვალსაზრისით ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. იმავდროულად, ზრდასრულ თაობას თაობათა თანაცხოვრების შესაძლებლობების შექმნაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. ის ზრდის შეილებს, ზრუნავს ოჯახის ასაკოვან წევრებზე და საკუთარი წვლილი შეაქვს თაობათა შორის ურთიერთგაგების უზრუნველყოფაში. ამასთან ის საკუთარი ხანდაზმული ცხოვრებისთვისაც უწინდელზე უფრო მეტი მონდომებით უნდა მოემზადოს. ქრისტიან-დემოკრატიული პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი პრიორიტეტი ოჯახისა და პროფესიის შეთავსებაა. ჩვენ გვინდა, რომ მათ, ვინც ჩვენს ოჯახებში საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას და ასრულებს საკუთარ მოვალეობებს, საზოგადოების ყველა მხრიდან სათანადო დახმარება ჰქონდეს და სოციალური დაზღვევისა თუ საგადასახადო სისტემის კუთხითაც უკეთ იყოს უზრუნველყოფილი.
62. უახლოეს მომავალში ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს პროფესიული საქმიანობის დასრულების შემდეგ საკუთარი ცხოვრების კიდევ ერთი მესამედი დარჩებათ გასავლელი. მცდარია საპენსიო ასაკზე საუბარი. პირიქით, ასაკოვანი ადამიანები, რომლებიც თავიანთი უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილებით უზარმაზარ კაპიტალს წარმოადგენენ, ჩვენი საზოგადოებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანნი არიან და მისთვის მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანაც შეუძლიათ. ჩვენ ჩვენი ასაკოვანი თანამოქალაქეების უფრო ხშირად და უკეთ დასაქმება, ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლებისა და დასაქმებულთა ბედნიერი თანაცხოვრებისთვის პირობების შექმნა გვსურს. თითოეულ ადამიანს საკუთარი დანიშნულება აქვს. ყველა ადამიანი საჭიროა.
63. ხანგრძლივი ცხოვრების საზოგადოების ახლებური გაგება აუცილებელია ჩვენი ახალი ჯანდაცვის პოლიტიკის განსახორციელებლად. ასაკოვანი საზოგადოების პირობებში არსებული ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა არა მარტო მაღალი ხარისხის მედიკამენტების საშუალებით სიცოცხლის გახანგრძლივებას, არამედ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასაც ნიშნავს. ამიტომაც გვსურს პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერება და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციის ფაქტორის დამოუკიდებელ კომპონენტად გადაქცევა. ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ჩვეულ გარემოში ადამიანის მაქსიმალურად დიდხანს და დამოუკიდებელ ცხოვრებასაც ნიშნავს. ამისთვის საჭიროა სათანადო იდეების განხორციელება.

ის, თუ როგორ ვექცევით უნარშეზღუდულ ადამიანებსა და მათ, ვისაც მზრუნველობა ესაჭიროება, გადამწყვეტი ფაქტორია ჩვენი ერთიანი საზოგადოების სოციალური ხარისხის განსახაზღვრად. მათაც კი, ვინც საჭიროებს მზრუნველობას, სურს მისთვის ჩვეულ გარემოში იცხოვროს და არ იყოს გარიყული საზოგადოებისაგან. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ოჯახებს თავად არ შეუძლიათ მათი ოჯახის მოხუცებულ წევრთა მოვლა, მათ სურთ იცოდნენ და იზრუნონ იმაზე, რათა მათი მშობლები და ბები-ბაბუები თავს კარგად გრძნობდნენ. მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებსა და მომვლელებს ნებაყოფლობითი აქტიურობის კუთხითაც მეტი დახმარება ესაჭიროებათ. ჩვენ გვსურს, რომ ოჯახებს,

სხვადასხვა დაწესებულებებს, მზრუნველობის ძირითად ორგანოებსა და სამეზობლოებს შორის უკეთესი თანამშრომლობა ჩამოყალიბდეს.

64. ასაკისა და პროფესიული საქმიანობის დასრულების ახლებურმა გაგებამ განსაზღვრა პროფესიული საქმიანობის დასრულების ჩვენეული პოლიტიკა. ბევრ ადამიანს შეუძლია და სურს უფრო ხანგრძლივად მუშაობა. ასაკოვანი ადამიანების ცოდნა, აქტიურობა და ინიციატივები ესაჭიროება არა მარტო საზოგადოებასა და საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობას, არამედ ეკონომიკისა და სამეწარმეო სფეროებსაც. როდესაც ასეთი ადამიანები პროფესიული ცხოვრებისა თუ საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობიდან მათი ნების საწინააღმდეგოდ ირიყებიან, ბევრი მათგანი ამას მოხუცებულთა დისკრიმინაციის ერთგვარ ფორმად აღიქვამს. ჩვენ ვიბრძვით აღნიშნულ სფეროებში მეტი მოქნილობისათვის.

65. სულ უფრო მეტი ადამიანი განიცდის მარტოობას. მდიდარ საზოგადოებებში არსებობს მშვიდგონიერი სიღარიბე. ადამიანებს სჭირდებათ ადამიანები, რათა უკეთ იგრძნონ საკუთარი თავი.

66. დღეს არსებული სოციალური საკითხები სულ სხვა განზომილებებისაა, ვიდრე ეს წარსულში იყო. ამდენად, ისინი სხვაგვარ პოლიტიკურ მიდგომასაც მოითხოვს. ახალი სოციალური გამოწვევების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ტრადიციული მეთოდების გამოყენება, როგორცაა მაგალითად, მეტი ფული, მეტი კადრები და მეტი ნორმები, აღარ არის საკმარისი. განურჩევლად იმისა თუ რას ეხება საქმე: სამეზობლოსა თუ ქალაქის მთელი უბნების გაღარიბებისა და უნარშეზღუდულთა გარიყვის დაუშვებლობას, მიგრანტთა ინტეგრაციას თუ სხვა რომელიმე საკითხის წარმატებით განხორციელებას – ყველაფერი ეს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ზომების მიღებას საჭიროებს. ჩვენი დროის უდიდესი საკითხების წარმატებით განსახორციელებლად ახლებური სოლიდარობა და საზოგადოების წიაღიდან წამოსული ინიციატივა გვეაჭიროება.

67. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი არის პარტია, რომელიც რეფლექსურად ელის სახელმწიფოსაგან ყველა საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრას. ამდენად, მას სხვებზე უკეთ შესწავს იმის ძალა, რათა იპოვოს პასუხი სოციალურ გამოწვევებზე. სუბსიდიურობის პრინციპი კი დღეს როგორც არასდროს ისე აქტუალურია. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი აპირებს მცირე ერთეულების გაძლიერებას, რომელთაგანაც შემდეგ წარმოიქმნება განვითარება და ერთიანობა, საკუთარი პასუხისმგებლობა და სოლიდარობა. პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან გაერთიანებას წარმოადგენს ოჯახი.

## **2. ჩვენი საზოგადოების ქვაკუთხედის გაძლიერება – უზრუნველყოთ ოჯახებისათვის არჩევანის თავისუფლება**

68. ოჯახი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების საფუძველს. ოჯახი ისეთი მოვლენაა, როდესაც მშობლები შვილებზე, ხოლო შვილები მშობლებზე ხანგრძლივად და სრული პასუხისმგებლობით ზრუნავენ. ოჯახი ის ადგილია, სადაც სუფევს პარტნიორობა და სოლიდარობა და სამართლიანობის გრძნობა. ოჯახში ადამიანი თავისუფალ, პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებად

ყალიბდება. სწორედ აქ ხდება ფასეულობათა გაზიარება, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულების ქრისტიანული გაგებიდან – მისი გაუსხვისებელი ღირსებისა და მისსავე მოყვასე ზრუნვიდან.

69. ოჯახი მოიცავს ყველა თაობას. შვილებს, შვილიშვილებს, ბებია-ბაბუებსა თუ მათ მშობლებს შორის არსებული ურთიერთობები დღეს როგორც არასდროს, ისე მნიშვნელოვანია და აუცილებელია მათი გაძლიერება. ჩვენ ვაფასებთ ოჯახების სოლიდარულ ნაბიჯებს გრძელვადიანი პერსპექტივით და მხარს ვუჭერთ ოჯახებს ცხოვრების უფრო გვიან სტადიებზეც.

70. ქორწინება წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრების თვალსაჩინო მაგალითს. ის არის ოჯახის წარმატების ყველაზე საუკეთესო და საიმედო საფუძველი. ქორწინებაში სავალდებულოა დედებისა და მამების ერთობლივი პასუხისმგებლობის გააზრება მათივე შვილების მიმართ. უშვილო ოჯახებშიც კი ქალებსა და მამაკაცებს ერთმანეთთან გრძელვადიანი პასუხისმგებლობა აკავშირებთ. ამიტომაც ოჯახი და ქორწინება განსაკუთრებულადაა დაცული ჩვენი კონსტიტუციით.

71. ოჯახი და ქორწინება საიმედო სოციალური ქსელია, რომელშიც ადამიანებს სჭირდებათ ადამიანები. ოჯახური ურთიერთობები ნარჩუნდება მთელი ცხოვრების განმავლობაში. დღეს მშობლები და მათი შვილები როგორც არასდროს, ისე ხანგრძლივი დროით ცხოვრობენ ერთ ჭერქვეშ.

ამისდა მიუხედავად, ოჯახების რაოდენობა მცირდება. სადღეისოდ ყოველი შემდგომი თაობა წინას ერთი მესამედით ჩამოუვარდება. ეს არის ჩვენი დროის წინააღმდეგობა: მდიდარი საზოგადოება ღარიბია ბავშვებით. ბევრი ინდივიდუალური გადაწყვეტილება იწვევს განვითარების ისეთ პროცესს, რომელიც შემდგომში დიდად განაპირობებს ადამიანების ცხოვრების ხარისხს და საზოგადოების კეთილდღეობას.

72. ქალთა და მამაკაცთა აბსოლუტური უმრავლესობა ბედნიერი ცხოვრების წინაპირობად ოჯახსა და შვილებს მიიჩნევს. ეს უკანასკნელნი გვიძლიერებენ ცხოვრების აზრს და სიხარულს გვანიჭებენ. მას, ვინც იღებს გადაწყვეტილებას, ჰყავდეს შვილები, სჯერა მომავლისა და ამტკიცებს მის ღრმა რწმენასა და ოპტიმიზმს. ბავშვები ამდიდრებენ ჩვენს ცხოვრებას. ამიტომაც შეუძლებელია ოჯახის დანიშნულების დაკარგვაზე საუბარი.

73. ქორწინების, ოჯახის, შვილების შესახებ გადაწყვეტილება არის პირადი გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ მხარს ვუჭერთ, თუმცა სახელმწიფოსა და საზოგადოებას არა აქვთ უფლება, მიუთითონ ადამიანებს თუ როგორ იცხოვრონ.

74. ჩვენ ბევრი ბავშვისა თუ ოჯახის სურვილების რეალობად ქცევის წინაპირობების შექმნა გვსურს. ხშირ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი გადაწყვეტილების გადადება. ბავშვებისა და ოჯახის ყოლას საზოგადოებრივი მიზეზები გააჩნია, რომელთა შეცვლაც ჩვენ შეგვიძლია და კიდევ უნდა შევცვალოთ, რათა აქტიურად დავიცვათ ოჯახური ფასეულობები. გვსურს ოჯახების გაძლიერება და ოჯახებზე ორიენტირებული სტრუქტურების ჩამოყალიბება. ამასვე განეკუთვნება

ისეთი ოჯახების დახმარებაც, რომელთა ბავშვების სურვილების შესრულება მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო დახმარების წყალობითაა შესაძლებელი.

ჩვენი საოჯახო პოლიტიკის მიზანია, ვაგრძნობინოთ ჩვენს ოჯახებს სამართლიანობა, რათა შევეუმსუბუქოთ ოჯახებს ბავშვებთან ერთად ცხოვრება და გავეუმარტივოთ მათ საბავშვო თუ საოჯახო სურვილების ასრულება. ჩვენ მივიღტვით ძლიერი ოჯახებისაკენ, რომლებშიც ბავშვები საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობითა და სოლიდარობის პრინციპით განმსჭვალულ ძლიერ პიროვნებებად ყალიბდებიან.

75. ჩვენეული საოჯახო პოლიტიკა ტრადიციულ ფასეულობებსა და ახალ რეალობაზეა ორიენტირებული. ოჯახები ხომ მარტო, თავისთვის არ ცხოვრობენ. ისინი ჩართულნი არიან კულტურულ და სოციალურ გარემოში, გარემოცულნი არიან სტრუქტურებით, რომლებიც ესმარება ან კიდევ უფრო ურთულებს მათ ღირსეულ ოჯახურ ცხოვრებას. ჩვენ ამ გამოწვევებს უნდა გაუძვევდეთ.

### ოჯახზე ორიენტირებული საზოგადოებისათვის

76. ოჯახში ადამიანი ეზიარება სოციალურ სათნოებას, ორმხრივ ვალდებულებებს, ნდობასა და პასუხისმგებლობას. სწორედ აქ სწავლობს ის თაობათა შორის ურთიერთგაგების საფუძვლებს. ოჯახში ადამიანების მიღება-აღიარება მათი წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიუხედავად ხდება. ოჯახებს ესაჭიროებათ ისეთი გარემო, რომელშიც ისინი თავისუფლად განვითარდებიან. ოჯახური ფასეულობები, რამდენადაც ისინი ცნობილია ჩვენთვის, უმნიშვნელოვანესია ცალკეული ინდივიდების განვითარებისა თუ სოციალური ერთობისთვის. ჩვენი ვალდებულება ოჯახური ფასეულობების ამ თვალსაზრისით დაცვა და ამავე მოტივით შენარჩუნებაა.

77. ამავე გარემოს შემადგენელი ნაწილია სქესობრივი თანასწორობის აღიარება და ახალგაზრდა ქალთა და მამაკაცთა სურვილი ოჯახისა და პროფესიული საქმიანობის განვითარების შესახებ. ოჯახური ფასეულობები ქალთა და მამაკაცთათვის თანაბარ ფასეულობებს წარმოადგენს.

78. ჩვენი საოჯახო პოლიტიკის მიზანია იმგვარი წინაპირობების შექმნა, რომ მაქსიმალურად ბევრმა ადამიანმა გადაწყვიტოს ბავშვების ყოლა. ამიტომაც საუბარია არჩევანის ჭეშმარიტი თავისუფლების პრინციპის ჩამოყალიბებაზე, რათა თავად მშობლებმა გადაწყვიტონ თუ როგორ შეათავსებენ ერთმანეთს ოჯახსა და პროფესიულ საქმიანობას. 21-ე საუკუნის სამოქალაქო ოჯახში როგორც ოჯახის ეკონომიკურ საფუძველზე, ასევე მის ემოციურ ხარისხზეც ხშირ შემთხვევაში ორივე მშობელმა უნდა იზრუნოს. ოჯახი მართლაც ახლებურად უნდა გავიზრდოთ და ჩამოვაყალიბოთ, რამეთუ სიყვარული და ურთიერთგაგება, ორმხრივი პასუხისმგებლობა და ვალდებულებები სწორედ ოჯახში უნდა იყოს მომავალზე ორიენტირებული. ოჯახურ ფასეულობებს ასევე განეკუთვნება თავდადება და ურთიერთნდობა, თითოეული ინდივიდის პატივისცემა და პარტნიორისა და ბავშვების განვითარების სურვილი.



79. ყველა, ვისაც ჰყავს ბავშვები ან სხვაგვარი ფორმით ეწევა ოჯახურ ცხოვრებას, მასზე დაკისრებული დიდი პასუხისმგებლობისთვის პატივისცემასა და აღიარებას იმსახურებს. მარტოხელა დედებსა და მამებს არც თუ იშვიათად უწევთ განსაკუთრებული სირთულეების წინაშე დგომა, რომელთა დროსაც მათ დახმარება ესაჭიროებათ.
80. ჩვენთვის მისაღებია იმ ადამიანების გადაწყვეტილებებიც, ვინც თავიანთ ჩანაფიქრებს პარტნიორობის სხვაგვარი ფორმებით ასორციელებენ. ჩვენ ვაღიარებთ ასევე, რომ ასეთ ურთიერთობებშიც არსებობს ჩვენი საზოგადოებისთვის ფუნდამენტური ფასეულობები. ეს პრინციპი ვრცელდება არა მარტო ქალთა და მამაკაცთა გაუფორმებელ ქორწინებებზე, არამედ ჰომოსექსუალურ პარტნიორობაზეც. ჩვენ მხარს ვუჭერთ ტოლერანტობასა და გამოვდივართ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ. თუმცა იმავდროულად წინააღმდეგი ვართ ასეთი წყვილების ქალისა და მამაკაცის ქორწინებასთან გათანაბრებისა და ასევე ვეწინააღმდეგებით ჰომოსექსუალური წყვილების მიერ შვილად აყვანის პრინციპსაც.

### დაუთმე ოჯახს მეტი დრო

81. ოჯახებს ესაჭიროებათ მეტი დრო: მშობლებს – ბავშვებისთვის, ბავშვებს კი – მშობლებისთვის ურთიერთგაგებისა და მზრუნველობისთვის, მეტი ერთობლივი აქტიურობისა თუ ინდივიდუალური ინტერესისთვის. ჩვენ არ გვსურს ისეთი ტიპის საზოგადოება, რომელშიც წინა პლანზე მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ინტერესი დგას. ამიტომაც შემოვიღეთ მშობელთა ფულადი დახმარება, რათა უფრო მეტი მშობლისთვის მიგვეცა იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვის დაბადებიდან პირველსავე წელს, ზედმეტი ფინანსური სირთულეების გარეშე, უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს საკუთარ შვილს. იმავდროულად, მშობელს არ უნდა დაეკარგოს პროფესიული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა. ამის შემდგომი ეტაპია ოჯახისა და პროფესიული საქმიანობის კუთხით მშობლებსა და ბები-ბაბუებზე ზრუნვა. მზრუნველობისა და აღზრდის შედეგები თანაბრად უნდა ვაღიაროთ, როგორც ოჯახური შრომა.
82. ყოველდღიური ოჯახური ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესია (ნებისმიერ სახელმწიფო დონისძიებასთან შედარებით) თანამედროვე და ოჯახზე ორიენტირებული სამუშაო დრო ეკონომიკის, სამეწარმეო თუ მმართველობის სტრუქტურებში. ბევრმა საწარმომ უკვე დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვა შესაძლებელი და ორმხრივად მომგებიანია. ოჯახზე ორიენტირებული შრომის ბაზარი საწარმოებსა თუ საჯარო დაწესებულებებს გონიერი ადამიანებისთვის უფრო მიმზიდველს ხდის და კავშირებსა და ლოიალობას აძლიერებს. ჩვენ ვაღიარებთ ამ სფეროში არსებულ სატარიფო შედეგებს და მხარეებს შრომისა და ცხოვრების უკეთესი ბალანსისთვის საჭირო ძირითადი პრინციპებისა და სტრატეგიის კოლექტიური ხელშეკრულებებით გამაგრებისკენ მოვუწოდებთ. ჩვენ გვესაჭიროება ოჯახზე ორიენტირებული სამუშაო ადგილები და არა სამუშაო ადგილებზე ორიენტირებული ოჯახები.
83. ოჯახისა და პროფესიული საქმიანობის შეთავსება დედებისა და მამების ამოცანაა. აღზრდის პარტნიორული გადანაწილება აკმაყოფილებს ბავშვის

მოთხოვნები და დედისა და მამის მიმართ და ოჯახისა და პროფესიული საქმიანობის შეთავსების გასაღებს წარმოადგენს. ბავშვის აღზრდაში აქტიურად მონაწილე მამებმა ისეთივე საზოგადოებრივი აღიარება უნდა ჰპოონ, როგორც დედებმა.

## მეტი ოჯახური სამართლიანობა

84. ოჯახებს, ყველა სიკეთესთან ერთად, ფინანსური დახმარებაც ესაჭიროებათ. ოჯახებისათვის დახმარების გაწევა, ჩვენი გაგებით, სოციალურ დახმარებას კი არა, იმ დიდი შრომის სამართლიან დაბალანსებას წარმოადგენს, რომელსაც ოჯახები საზოგადოების მომავლისთვის ეწევიან. ოჯახებისათვის დახმარება წარმოშობს არჩევანის შესაძლებლობებს იქ, სადაც მატერიალური იძულებაა გაბატონებული. მას სარგებელი მოაქვს ბავშვებისათვის და იმავდროულად ხელს უწყობს ოჯახური პასუხისმგებლობის გაძლიერებას. მისი წინაპირობა ოჯახების ფინანსური დახმარების ეფექტურობა და გამჭვირვალობაა. ჩვენ ყველა ჩანაფიქრის ერთ საოჯახო საღარიბოში თავმოყრა გვსურს.
85. საგადასახადო თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია ქორწინების, როგორც პასუხისმგებლობით განმსჭვალული პარტნიორული ერთობისა და ოჯახის დედაბოძის განსაკუთრებული როლი. ბავშვიანი ოჯახების განსაკუთრებული დატვირთვის უკეთ დასაბალანსებლად, ჩვენ მეუღლეთა სრული გადასახადის მიღებისა და ოჯახურ გადასახადზე გადასვლის ინიციატივით გამოვდივართ. ბავშვიან ოჯახებს უბავშვო ოჯახებისგან სრულიად განსხვავებული საგადასახადო ტვირთი უნდა ჰქონდეთ. ამასთან, ბავშვიან ოჯახებს უნდა გააჩნდეთ გარკვეული საგადასახადო სარგებელიც. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს მიზანმიმართული სტიმული, რომელიც მშობლებს მეტი შვილის ყოლას გადააწყვეტინებს. ჩვენ არა მარტო საზოგადოებაში მეტი ოჯახი, არამედ ოჯახებშიც მეტი ბავშვი გვჭირდება. განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებენ ოჯახები, რომელთაც სამი და მეტი შვილი ჰყავთ.
86. მშობლები შვილების ხათრით ყოველთვის ბევრ რამეზე ამბობენ უარს, რაც საბოლოოდ მთელ საზოგადოებაზე დადებითად აისახება. შვილიან მშობლებს უშვილოებთან შედარებით საპენსიო დაზღვევის უკეთესი პირობები უნდა ჰქონდეთ. ჩვენ ბავშვის აღზრდის პერიოდის მნიშველოვნად გაუმჯობესებაც გვსურს.

## ჩვენი მომავალი: ბავშვები

87. ბავშვებს განვითარებისა და სოციალური სათნოებისთვის საბავშვო გარემო ესაჭიროებათ. ამიტომაც ყველა სასკოლო ასაკის ბავშვის აღზრდისა და განათლების ხეშეწყობისთვის ისეთი დაწესებულებების მოწყობა გვსურს, სადაც ისინი, მშობლებთან სურვილისამებრ, მოქნილად და საიმედოდ იგრძნობენ თავს. ბავშვის აღზრდის მრავალმხრივობის კუთხით განსაკუთრებით კერძო ინიციატივებსა და თავისუფალი დაფინანსების მქონე საბავშვო ბაღებს მივესალმებით. ჩვენ გვინდა, საბავშვო ბაღი საშუალოვადიანი პერსპექტივით უფასო იყოს, ხოლო სავალდებულო უკანასკნელი წელი გავხადოთ, რისი წინაპირობაც სოლიდური და მდგრადი დაფინანსება იქნება. ოჯახებს განტვირთვა და სოციალური ინფრასტრუქტურა ესაჭიროებათ. ოჯახებისა და ბავშვების უკეთ

განსავითარებლად მშობლებმა დღევანდელზე უკეთ უნდა ითანამშრომლონ საბავშვო ბაღებთან, სკოლებთან, ბავშვთა და მოზარდთა დახმარების ორგანოებთან.

საშუალოვადიანი პერსპექტივით გვინდა, ასევე დახმარება დავაწესოთ იმ მშობლებისთვის, რომლებიც შინ მოუვლიან თავიანთ შვილებს 1-დან 3 წლამდე და არ ექნებათ ადგილი საბავშვო ბაღში.

88. ბავშვთა აღზრდის უფლება და მოვალეობა, პირველ რიგში, მშობელთა კომპეტენციას წარმოადგენს. სახელმწიფო მშობელთა მიერ შვილების აღზრდას არ და ვერ ჩაანაცვლებს. თუმცა სახელმწიფომ ბავშვის აღზრდის კონსულტაციისა და დახმარების მარტივად ხელმისაწვდომი შემოთავაზებები უნდა შეიმუშავოს და საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მოზარდებსა და მშობლებს. ამასთან, მან ბავშვთა დაცვის საქმეში აღებული საკუთარი ვალდებულებები უნდა შეასრულოს. ბავშვებზე ძალადობას და მათ მიუსაფრობას ჩვენ ულმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. ბავშვების კეთილდღეობა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებულ ამოცანას წარმოადგენს.

89. ბავშვები ჩვენი მომავალია. გერმანია კვლავ უნდა გახდეს ქვეყანა, სადაც ბავშვებთან ერთად ცხოვრებაც უფრო მარტივი და თავისთავადი გახდება. და ეს ამოცანა ყველას ეხება.

#### IV. გერმანია, როგორც განათლებული და კულტურული ერი – განათლებული საზოგადოების მოთხოვნებზე გაცემული პასუხები

##### **1. უკეთესი განათლება ყველასათვის - დაბადებიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში**

90. განათლება წარმოადგენს ცხოვრების ინდივიდუალური შესაძლებლობების გასაღებსა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფასეულობებისთვის, რომლებსაც ჩვენ ასე ვუფროთხილდებით და ასევე იმ ფასეულობებისთვისაც, რომელთა განვითარებაც გვსურს. კეთილდღეობის მდგრადი განვითარება და უზრუნველყოფა მხოლოდ მეტი ადამიანის უკეთესი განათლებითაა შესაძლებელი. ეს ჩვენ მომავლის გამოწვევების დაძლევისა და აუცილებელი ცვლილებების გატარების საშუალებას მოგვცემს.

91. ადამიანის თავისუფლება და ღირსება, ადამიანური შესაძლებლობების სიმდიდრე და მრავალფეროვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩენს თავს, როცა იმთავითვე ხდება ახალგაზრდა ადამიანთა ნიჭისა და უნარის ხელშეწყობა, მოთხოვნა და განვითარება. აქტიურობისთვის მზადყოფა და უნარ-ჩვევები ყველაზე უკეთ ცნობისმოყვარე გარემოში და სკოლის ფარგლებს გარეთაც იჩენს თავს.

92. ადამიანის სოციალურმა წარმომავლობამ მისი მომავალი არ უნდა განაპირობოს. ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზანი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების წყალობით წინსვლაა. ეს წესი ვრცელდება ყველაზე, გარიყული არავინ უნდა იყოს. სიღარიბეს ხშირად განათლების უკმარისობა განაპირობებს. ყველას მონაწილეობა განათლებისა და

გადამზადების პროცესში თანასწორუფლებიანი საზოგადოების ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს.

93. სოციალური უსაფრთხოება და საზოგადოებრივი ერთობა მოითხოვს ბავშვების ჩამოყალიბებას ძლიერ პიროვნებად, რომლებსაც სწამთ საკუთარი შესაძლებლობების, აქვთ სოციალური პატივისცემის, საკუთარი პასუხისმგებლობისა და სოლიდარობის განცდა.
94. იმ ფასეულობათა შენარჩუნება-განვითარება, რომელთაც ჩვენი კეთილდღეობა და უსაფრთხოება ეფუძნება, მხოლოდ განათლების თავისუფალი, სამართლიანი და ქმედითი სისტემის წყალობითაა შესაძლებელი. ჩვენი მორალური და ეკონომიკური ფასეულობების თვალსაზრისით, განათლებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.
95. განათლებული საზოგადოების დანიშნულება რაც შეიძლება, მეტი ნიჭიერი ადამიანის აღმოჩენა და ადრეულ სტადიაშივე მისი განვითარებისთვის ხელშეწყობაა. არასოდესაა საკმარისი კარგი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები. როდესაც ადამიანები უფრო ხანგრძლივად ცხოვრობენ და მუშაობენ, ცხოვრების ყველა სტადიაში ახალი კომპეტენციისა და ცოდნის შექმნა ყოველი მათგანის ეკონომიკური და სოციალური გონივრულობის პრინციპი და, იმავდროულად, ვალდებულებაა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა ცხოვრების გამოწვევების ღირსეულად შეხვედრის საუკეთესო საშუალებაა. იმ შემთხვევაში, თუ ცოდნა ადრინდელზე უფრო სწრაფად განვითარდება და მომავალი პროფესიებიც უფრო მომთხოვნი გახდება, მაშინ ოპტიმალური განათლებისა და გადამზადების საკითხი 21-ე საუკუნის სოციალურ საკითხად იქცევა.
96. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მრავალ ლაიტმოტივზე ვართ ორიენტირებულნი. ჩვენ განათლების სფეროს მეტი დიფერენციაცია, მეტი მოქნილობა და გამჭვირვალობა ყველა დარგში ხარისხისა და საქმიანობის გაუმჯობესება გვსურს. გვინდა, პრაქტიკით გავაჯეროთ სწავლება და იმდენად გავაფართოვოთ განათლების ცნება, რომ ფასეული იდეალები ახალ აუცილებლობად იქცეს. ჩვენ თავდაპირველი და მთელი სიცოცხლის თანმხლები განათლებისთვის ჰუმანური, სოციალური და ეკონომიკური მოტივით ვიბრძვით. ბავშვებისა და მოზრდილთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამდლების ინვესტირება მათი არასწორი განვითარების სატრანსფერო გადახდებითა და სოციალური პროექტებით გამოსწორებაზე ბევრად უმჯობესი, სამართლიანი და ეკონომიურია. თანაც არასწორად გაკეთებული საქმის გამოსასწორებლად ხომ ხშირ შემთხვევაში ბევრი ფულიც კი აღარ კმარა. ამიტომაც ჩვენ ორიენტირებულნი ვართ პრინციპზე: სჯობს, თავიდან ავიცილოთ, ვიდრე პოსტ-ფაქტუმ გავაუმჯობესოთ.

## სკოლამდელი და სასკოლო განათლება

97. ბავშვები და ახალგაზრდები შესაბამის გარემოში შემოქმედებითი და გახსნილი არიან. ამიტომაც გვსურს ოჯახების გაძლიერება და ბავშვებისთვის განათლების ახალი და მიმზიდველი კერების შექმნა. აუცილებელია, სკოლამდელი და სკოლის ასაკის განათლების უფრო ძლიერი განვითარება. განათლებისა და აღზრდის გამიჯვნა ხელოვნურად

გვესახება და დღევანდელობასთან შეუსაბამო გვეგონია. ბავშვებს დროულად ესაჭიროებათ მასტიმულირებელი გარემო, რომელშიც ისინი გზას თამაშით გაიკვლევენ და სამყაროს აღმოაჩენენ. ბავშვის მოვლისა და სწავლების გახანგრძლივებული დაწესებულებები საგანმანათლებლო ორგანიზაციებია. ამიტომაც გვინდა იმის წინაპირობის შექმნა, რომ 3 თუ 10 წლის ბავშვები ინდივიდუალურად, მათი ნიჭისა და უნარის შესაბამისად განვითარდნენ. ჩვენ გამოვდივართ წამყვანი სპეციალისტების გადამზადების ინიციატივით. პროფესიული საქმიანობა გამჭვირვალე უნდა იყოს.

98. მრავალმხრივმა სასკოლო სისტემამ თავი დაიმკვიდრა და წარმატებით განვითარდა. ჩვენ ერთიანი სასკოლო სისტემის შექმნის წინააღმდეგნი ვართ. ჩვენი დევიზი უფრო მეტად ასეთია: სკოლის დასრულებას უნდა მოჰყვეს გაგრძელება. ვფიქრობთ, რომ სკოლების გაუმჯობესების, მოსწავლეების მოთხოვნილებებზე მათი უფრო მეტად ორიენტაციის სწორი ჩარჩო-პირობები უნდა შეიქმნას. ყოველ მოსწავლეს შეუძლია რაღაც და იმსახუროს სკოლას, რომელმაც მისი ძლიერი მხარეების კიდევ უფრო გაძლიერება უნდა შეძლოს.
99. საუკეთესო განათლებისთვის სკოლების კონკურენციის თვალსაზრისით ახალი მიმართულებების დასახვა გვსურს. ჩვენ ახალი სავალდებულო ეროვნული სტანდარტები და ნამდვილი, საჯაროდ გამჭვირვალე შეფასება გვჭირდება. სწავლების უკეთესი ხარისხის უზრუნველსაყოფი ზუსტი მიმართულების დასახვისთვის ასევე საჭიროა მეტი თავისუფლება და სკოლების მეტი პასუხისმგებლობა. ჩვენ ძირითადი აქცენტის გაკეთება განათლების საფუძვლიან ემპირიულ კვლევასა და განათლების თანმიმდევრულ ანგარიშგებაზე გვინდა. გერმანიის ფედერალურ მხარეთა შორის თანამშრომლობამ, უწინარეს ყოვლისა, გამოსაშვები გამოცდების ურთიერთშედარებისა და მზაობის შეადგებლობა უნდა შექმნას. ჩვენ მხარს ვუჭერთ სასკოლო განათლების სისტემის სახელმწიფო პასუხისმგებლობის ფაქტორს. საგანმანათლებლო დაწესებულებების კერძო დაფინანსება ამ სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.
100. მეტი საკუთარი პასუხისმგებლობა საუკეთესო საშუალებაა ამ ამოცანის შესასრულებლად და სკოლებისათვის სტიმულის მისაცემად, რათა მათ ამომწურავად შეასრულონ თავიანთი დავალებები. მასწავლებლებს ძალიან დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი საზოგადოების განვითარებაში. მათი უმაღლესი განათლებაა სასკოლო ასაკის ბავშვების სწორად აღზრდის საფუძველი. საფუძვლიანი და სპეციალიზებული უმაღლესი განათლების გარდა, აუცილებელია კიდევ მასწავლებელთათვის პედაგოგიური პრაქტიკაც. შექმნილი ცოდნა და გამოცდილება სისტემატურად უნდა გადრმავდეს და განახლდეს გადამზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით. სასკოლო სწავლების ხარისხის წინაპირობაა კვალიფიციური მასწავლებლების საკმარისი რაოდენობა. თუმცა მათაც უნდა უღირდეთ შრომა.
101. სკოლისა და მასწავლებელთა მოვალეობა ცოდნის გაზიარებას ბევრად სცილდება. ახალგაზრდებს საკუთარი ცხოვრების წარმატებით წარმართვისთვის ფასეულობები და სოციალური სათნოება ესაჭიროებათ. დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვა ყოველთვის ახლებურად უნდა იყოს გააზრებული. პოლიტიკური

განათლება სავალდებულოა, ხოლო მოსწავლეთა და მოზარდთა გაცვლა კი ევროპაში ხელშესაწყობი პროგრამაა. მუსიკალური და რელიგიური განათლება პიროვნების განვითარებისთვისაა აუცილებელი. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი გერმანიის ყველა ფედერალურ მხარეში რელიგიის სწავლების სავალდებულო დისციპლინად ქცევის ინიციატივით გამოდის. პროტესტანტული და კათოლიკური რელიგიების სწავლებასთან ერთად, გერმანიის სკოლებში (საჭიროების შემთხვევაში, ასევე გერმანულ ენაზე), გერმანიაში განათლებამიღებული მასწავლებლების მიერ სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ, სხვა კომუნისებშიც უნდა ისწავლებოდეს.

102. განათლება არც სკოლიდან იწყება და არც სკოლაში წყდება. სასკოლო, საუნივერსიტეტო და ზოგადად საგანმანათლებლო სტადიები მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის უნდა შემოკლდეს ანუ მაქსიმალურად ადრე დაიწყოს და მაქსიმალურად ადრე დასრულდეს და მთელი ცხოვრების განმავლობაში გადამზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით გაფართოვდეს. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის უნარი ჯერ კიდევ სწავლის დასაწყისში უნდა იქნას დასაბუთებული, ხელი შეეწყოს სასკოლო თუ საუნივერსიტეტო განათლებაში და გრძელდებოდეს გადამზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით ცხოვრების ყველა ეტაპზე. ამავე საკითხს განეკუთვნება საწარმოთა პასუხისმგებლობაც, რომლებმაც ახალგაზრდებს სამუშაო ადგილები უნდა შესთავაზონ და ხელი შეუწყონ თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

### **მრავალმხრივობა, განსხვავებები და მოქნილობა**

103. ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის ძლიერ მხარეებს სასწავლო კონცეფციებისა და პროგრამების მრავალმხრივობა წარმოადგენს. ჩვენი მიზანი ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანების ხელშეწყობა, თეორიასა თუ პრაქტიკაზე ორიენტირებული განათლების შესაძლებლობების შემქნელი სასკოლო სისტემის სპეცილიზაციაა. სხვადასხვა შესაძლებლობები გამჭვირვალე და მოქნილი უნდა იყოს. მაღალი წარმატებების მქონე მოსწავლეებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. განსაკუთრებული ნიჭის ბავშვებს კი ყველანაირი ხელშეწყობა უნდა ჰქონდეთ.

104. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი მხარს უჭერს მოთხოვნილებებზე ორიენტირებული, დღის გახანგრძლივებული სკოლების ჩამოყალიბებას გაერთიანებების ჩართვითა და საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებული აქტიურობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გახანგრძლივებული სკოლები ახორციელებენ პედაგოგიური მეთოდებით ჩამოყალიბებულ დღის რიტმს, რომელიც მოიცავს, როგორც ტრადიციულ სასკოლო საგნებს, ასევე ჯანდაცვასა და ფიზიკულტურას, მუსიკალურ და ხელოვნების დისციპლინებსა და სოციალურ კომპეტენციებს.

105. სწავლის უუნარო და უნარშეზღუდულ ადამიანებს ისეთი ხელშეწყობა და დახმარება სჭირდებათ, რომლებიც ინდივიდუალურ მოთხოვნებს ეხმიანება. ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უნდა შთავუნერგოთ ჯანმრთელი და უნარშეზღუდული ადამიანების თანაცხოვრების აუცილებლობა, ვაცნობოთ

მათი სუსტი თუ ძლიერი მხარეების შესახებ, რათა მათ აზროვნებასა და საქციელში წინააღმდეგობა არ გაჩნდეს.

## ხარისხი და წარმატებები

106. გვინდა, რომ ხარისხი და წარმატებები განათლების მთელი სისტემისთვის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმები იყოს. „მოთხოვნა და ხელშეწყობა“ პედაგოგიური და განათლების პოლიტიკური ქმედების პრინციპია. ყველა მცდელობის აზრი და მიზანი მოზარდებში ძლიერი მხარეების განვითარება, საკუთარი თავის რწმენისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიზნისაკენ სწრაფვის გრძნობის გაღვივებაა.

ეს პრინციპები, ჩვენი გაგებით, ვრცელდება ყველა ბავშვზე, განურჩევლად თითოეული მათგანის ნიჭის, წარმომავლობისა და უნარ-ჩვევებისა. ის, ვინც რაღაცას ითხოვს სხვებისაგან და ენდობა მათ, სოციალური შეგნებით მოქმედებს.

107. ჩვენ ყველასთვის მეტი და უკეთესი განათლება გვსურს. ამასთან გვინდა, მაქსიმალურად დიდი რაოდენობის მოსწავლეებს შევუწყოთ ხელი მაღალი წარმატებების მიღწევაში. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი კომპონენტია გადამოწმებადი სასწავლო პროგრამებისა და ძირითადი კურიკულუმების სავალდებულო წესით მიღება.

108. განათლება ყველასათვის, სოციალური კეთილდღეობა და მაღალი წარმატებები მხოლოდ ენების ცოდნის წყალობითაა შეაძლებელი. ენა სასკოლო თუ საუნივერსიტეტო განათლების ამოსავალ წერტილს, პროფესიულ საქმიანობასა თუ საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალებას წარმოადგენს. ბავშვების დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით კი მიგრანტებმა, არასაკმარისად იცის გერმანული ენა. ყველა ბავშვის თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად ჯერ კიდევ ბალის ასაკიდანაა აუცილებელი ენის ცოდნის გაუმჯობესების ხელშეწყობა, რათა თითოეულმა მათგანმა შეუფერხებლად მიიღოს სასკოლო თუ საუნივერსიტეტო განათლება. აუცილებელია, სკოლამდელი სავალდებულო ენობრივი ტესტების შემოღებაც, ხოლო, აღმოჩენილი ნაკლოვანებების შემთხვევაში კი, ინტენსიური ხელშეწყობა და სკოლაში ენების პროგრამების გაძლიერება. ამ თვალსაზრისით აუცილებელია, მშობელთა ინტენსიური და აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა. იმავდროულად, ბავშვებში მრავალენოვნება და ინტერკულტურული ცოდნაც უფრო ძლიერად და უფრო მიზანმიმართულად უნდა იყოს შეცნობილი და ხელშეწყობილი. ყველა მოსწავლეზე ვრცელდება ერთი და იგივე პრინციპი: გერმანული ენის შესწავლასთან ერთად, თითოეული მათგანი ასაკის მიხედვით მინიმუმ ერთ უცხო ენასაც უნდა დაეუფლოს.

109. უმაღლესი განათლების ხარისხს და, მასთან ერთად, კურსდამთავრებულთა და მეცნიერთა კვალიფიკაციას სამეცნიერო საზოგადოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ კვალიფიკაციის უპირატესობების უზრუნველყოფა და გერმანიის, როგორც საერთაშორისო დონეზე აღიარებული ნიჭიერთა სამჭედლოს დანიშნულების ხელშეწყობა გვსურს. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია უნივერსიტეტების, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების, მუსიკალური თუ ხელოვნების სასწავლებლების, დარგობრივი უნივერსიტეტების, პროფესიული

აკადემიებისა თუ კერძო უმაღლესი სასწავლებლების დიფერენცირებული სისტემის შექმნა. უნდა მოხდეს ნებისმიერი სახის უმაღლესი სასწავლებლის განვითარების ხელშეწყობა. საკუთარი ამოცანების შესასრულებლად სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გონივრული სახსრები ესაჭიროებათ. უმაღლესმა სასწავლებლებმა მიზანმიმართულად უნდა გააუმჯობესონ სასწავლო პროგრამები და, სოციალურად გონივრული სტუდენტური გადასახადების წყალობით, განსაკუთრებული სასწავლო პროფილები უნდა შექმნან.

სტუდენტები უნდა გავამხნევოთ, რათა მათ, განსაკუთრებით პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესებითა და სამეცნიერო განათლებითა თუ კვლევებით, თავიანთი ძლიერი მხარეები კიდევ უფრო მეტად განავითარონ. შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში სხვა სახის უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა უნდა იყოს შესაძლებელი. სტუდენტთა გაძლიერებული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები ხელს უწყობს საკვანძო კვალიფიკაციის ათვისებას, რომელიც გერმანიის ეკონომიკას მხოლოდ წაადება. ამავე კონტექსტში უნდა გავითვალისწინოთ სწავლების, სამეცნიერო კარიერისა და ოჯახის შეთავსების საკითხიც. ამის წინაპირობა კი სტიპენდიების სისტემის გაფართოებაა.

110. გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების წარმატებული საქმიანობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობად სამეცნიერო კვლევებისა და დოქტრინის ერთობლიობა რჩება. ამ მიმართულების შესანარჩუნებლად ხელი უნდა შევუწყოთ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევებსა და გავაძლიეროთ უნივერსიტეტთაშორისი კონკურენცია. უმაღლესი სასწავლებლებისათვის, სახელმწიფო ჩარევის ნაცვლად, მეტ თავისუფლებასა და პასუხისმგებლობასაც ვითხოვთ. ჩვენ სამეცნიერო კვლევების სფეროს გერმანიაში ბიუროკრატიული ბორკილებისგან გავათავისუფლებთ.

## პრაქტიკული ცოდნა და უნარ-ჩვევები

111. ჩვენ თეორიისა და პრაქტიკის ისევე გონივრულ ბალანსად ქცევა გვინდა. სამომავლოდ ბევრ პრაქტიკულ პროფესიას როგორც არასდროს, ისე დასჭირდება თეორიული ცოდნა. ბევრ აკადემიურ პროფესიაში მიზანშეწონილია პრაქტიკაზე მაქსიმალურად დროული და ინტენსიური ორიენტაცია. გვინდა, სასწავლო პროცესი პრაქტიკითა და პრაქტიკაში გავაჯეროთ. სწორედ ამიტომაც პროფესიული აკადემიები და დარგობრივი უნივერსიტეტები წარმატების საწინდარი. მათ განსაკუთრებით კარგად მოახერხეს თეორიისა და პრაქტიკის, პროფესიისა თუ სწავლების არაჩვეულებრივად შერწყმა.

112. გერმანიაში პროფესიული განათლების მისაღებად თეორიისა და პრაქტიკის ორმაგი მოდელია იდეალური. ეს არის სარგებელი საერთაშორისო კონკურენციის ფერხულში და მოზარდთა და ახალგაზრდათა უმუშევრობის პრევენციის საუკეთესო საშუალება. საწარმოებსა და სკოლებს ამ კონტექსტში ერთობლივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ეს არის საფუძველი დამწვებთათვისაც და წინსვლის მსურველთათვისაც, ასევე სიცოცხლის ბოლომდე პროფესიული სწავლების თვალსაზრისით. იმავდროულად, გოგონებსა და ვაჟებს პროფესიული ორიენტაციის მრავალმხრივობისა თუ უმაღლესი



განათლების შესაძლებლობების კუთხით არჩევანის გაკეთების სურვილიც უნდა ჰქონდეთ.

ზოგიერთ ახალგაზრდას პროფესიული განათლებს წარმატებით დასრულების უნარი არ შესწევს. ხშირ შემთხვევაში მათ ეძლევათ იმის დამადასტურებელი ცნობა, თუ რა არ იციან ან რა არ შეუძლიათ და არა პირიქით. ჩვენთვის მთავარია, რომ ყველამ რაღაც იცოდეს. ამიტომაც, იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც შედარებით ნაკლები წარმატებები აქვთ, შრომის ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად და დოკუმენტურად დადასტურებული კვალიფიკაციის მისაღებად დამატებითი ცოდნა და ხელშეწყობა ესაჭიროებათ. უმაღლესი განათლების მიღების ნებისმიერი მცდელობა უმჯობესია, ვიდრე არანაირი განათლება.

საამისოდ განათლების ორმაგი სისტემის მოქნილი საშუალებები გვესაჭიროება. ამ მიზანს უფრო მეტად დოკუმენტურად დადასტურებული და სასწავლო წარმატებად მიჩნეული კვალიფიციური განათლება და განსაკუთრებით გამიჯნული და სტანდარტიზებული სასწავლო ელემენტები ემსახურება. ამასთან, უნდა გაძლიერდეს ყველა მონაწილეს და განსაკუთრებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიული განათლების სასწავლებლებს შორის თანამშროლობა. უმაღლესი განათლების ორმაგი სისტემა კიდევ უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს იმით, რომ უნდა გაუმჯობესდეს გადასვლისა და ჩაბარებული საგნების აღიარების შესაძლებლობები პროფესიული განათლების მქონე კურსდამთავრებულთა ზოგადსაუნივერსიტეტო სწავლებაზე დასაშვებად.

113. ახალგაზრდები თავიანთ შემოქმედებით ნიჭსა და უნარებს იმ შემთხვევაში ავითარებენ, როცა პროფესიული საქმიანობის დაწყებისთანავე თავს გამხნეებულად და საჭიროდ გრძნობენ. ამიტომ ჩარჩო-პირობები იმგვარად უნდა იქნას ჩამოყალიბებული, რომ კერძო თუ სახელმწიფო დამსაქმებელმა მსურველებს ბევრად უფრო მეტი სასწავლო ადგილი შესთავაზოს. ჩვენთვის მთავარია ნებაყოფლობითობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და მიზანმიმართული სტიმული, ნაცვლად სახელმწიფო იძულებისა.

114. შრომის ბაზრის მოთხოვნებს მოქნილობაც განეკუთვნება. საამისოდ კი აუცილებელია განათლების ევროპული სივრცე, რომელშიც უმაღლესი განათლების სისტემების ერთმანეთთან შედარება და მათი ორმხრივად აღიარება ხდება.

## განათლების ერთიანობა

115. განათლების სისტემაში გვაქვს ვალდებულება დიდი მემკვიდრეობის წინაშე. განათლება ადამიანის განვითარებისა და დამოუკიდებელ ინდივიდად და პიროვნებად ჩამოყალიბების ყველა შესაძლებლობის სტიმულია. ჩვენ განათლების სისტემას მისივე განახლების წყალობით დავიცავთ. ამ რთულ, მაგრამ თანასწორუფლებიან პერიოდში უფრო დიდი მნიშვნელობა ზოგად განათლებას ენიჭება. ამიტომაც, იდეებსა და იდეალებს რომ ფასი ჰქონდეს, ცოდნას სიცოცხლის უნარი არ უნდა დაუკარგოთ. იმავედროულად, ჩვენ სკოლებში ეკონომიკური, მათემატიკური თუ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებასაც გავაძლიერებთ.

განათლებისა და სამეცნიერო კვლევების პოლიტიკა, რომელთა ჰორიზონტიც მხოლოდ პრაქტიკულ რეალიზაციას იცნობს, შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს, რამეთუ ჩართულობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა ყველასთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, როცა განათლებას აზრი და მიზანი აქვს და მთელ მსოფლიოშია აღიებული.

## 2. ცნობისმოყვარე გერმანია: კვლევები უზრუნველყოფს კეთილდღეობასა და განვითარებას

116. მეცნიერება და სამეცნიერო კვლევები გადამწყვეტია საზოგადოების მატერიალური და არამატერიალური კეთილდღეობითვის. ისინი ხელს უწყობს მსოფლიო მოსახლეობის მზარდი რაოდენობის დიდი გამოწვევების დაძლევას. ეს კომპონენტები მედიცინის, მსოფლიო კვების, უსაფრთხოების, კომუნიკაციის, გარემოს დაცვისა და ენერგომომარაგების სფეროების პროგრესისთვისაა მნიშვნელოვანი. ჰუმანიტარული მეცნიერებები, იმავდროულად, დღევანდელ სწრაფი ცვლილებების მქონე სამყაროში აუცილებელ საირიენტაციო ცოდნას გვთავაზობს.

ადამიანის მდიდარი ფანტაზია და შემოქმედებითი ნიჭი გლობალური კონკურენციის პირობებში გერმანიის უმნიშვნელოვანეს დადებით ასპექტებს წარმოადგენს. მხოლოდ აღმოჩენის მდიდარი ნიჭითა და უნართაა შესაძლებელი იმ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა, თუ როგორ და რანაირად უნდა ვიცხოვროთ ხვალ. სამომავლო კეთილდღეობის ახალი იდეები სახელმწიფო ცნობიერებაში სამეცნიერო კვლევების უფრო მაღალ ადგილს ითხოვს. გერმანიამ, როგორც ევროპის ყველაზე დიდმა ეკონომიკამ, საკუთარი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად, 21-ე საუკუნის საკვანძო ტექნოლოგიების სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

117. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი აღიარებს მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევათა თავისუფლებას. სამეცნიერო კვლევათა შესაძლებლობები და რისკი კეთილსინდისიერად უნდა იქნას გააზრებული. სამეცნიერო კვლევათა თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც ის ღახავს ადამიანის ხელშეუხებელ ღირსებას ან საფრთხეს უქმნის კაცობრიობას.

118. გერმანია რომ სამეცნიერო კვლევათა ბევრ სფეროში საერთაშორისო დონეზე წამყვანი ქვეყანაა, უნდა დამტკიცდეს. სწორედ საფუძვლიანი სამეცნიერო კვლევები, რომელიც, პირველ რიგში, ცოდნის შექმნასა და, არაპირდაპირი გაგებით, ეკონომიკურ სარგებელს ემსახურება, საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო კვლევებს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება, ვინაიდან მომავალ მეცნიერთა უდიდესი ნაწილის მომზადება სწორედ ამ სასწავლებლებში ხდება.

119. ახალი იდეები მომავალი კეთილდღეობისა და განვითარების წინაპირობას იმ შემთხვევაში წარმოადგენს, როდესაც ფუნდამენტური ცოდნის კონკრეტულ სფეროებში, განსაკუთრებით კი ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციისა და მომსახურების სახით უკეთესად დანერგვა ხდება

შესაძლებელი. მომავალზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევები საფუძვლიანი და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ეკონომიკის დარგის ურთიერთდაკავშირებასა და სტრატეგიულ ალიანსებს ითხოვს. ნოვატორული მიღწევები უფრო მეტად უკავშირდება ცალკეულ პიროვნებათა გენიალურ აღმოჩენებს. ეროვნული საზღვრები სამეცნიერო კვლევათა საერთაშორისო დონის თანამშრომლობით უქმდება. ამიტომაც, ზალების კონცენტრაცია ყველა დონეზე უნდა მოვახდინოთ.

120. თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შემადგენელი კომპონენტი დარგობრივ ფარგლებს გარეთ არსებული აზროვნებაა. ჩვენი დროის პრობლემები და გამოწვევები სულ უფრო მეტად ითხოვს დარგათაშორისი მოდელების გამოყენებას. მომავალზე ორიენტირებული მოდელები ხშირად დარგათაშორის პროექტებზე მუშაობისას წარმოიქმნება. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მოლოდინი ყველა დისციპლინის – ჰუმანიტარული, სოციალური, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებების თანამშრომლობის მზადყოფნაა.

121. მეცნიერებას, ეკონომიკასა და სახელმწიფოს ნოვატორული აღმოჩენებისა და გერმანიის, როგორც ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო კვლევების მომავლის ცენტრის ჩამოყალიბებაში საერთო პასუხისმგებლობა აკისრიათ. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარებისთვის გამოსაყოფმა თანხებმა 2015 წლისათვის ქვეყნის შიდა პროდუქტის 4% უნდა შეადგინოს. ამისათვის აუცილებელია საწარმოთა, ფედერაციისა და გერმანიის ფედერალურ მხარეთა ძალისხმევა. ფინანსურმა პოლიტიკამ ამ ჭრილში ნოვატორული მამოძრავებელი ძალის როლი უნდა შეასრულოს და საგადასახადო შეღავათების გზით დამატებითი ინვესტიციებისთვის ჩარჩო-პირობები შექმნას. სწორედ ეს ჩარჩო-პირობები ქმნის გერმანიაში მეტი ნოვატორული აღმოჩენის უმნიშვნელოვანეს წინაპირობებს.

122. სამეცნიერო კვლევებისას მიღწეული შედეგების ეკონომიკის დარგში გადატანა, უწინარეს ყოვლისა, ნოვატორულ ქსელთანაა დაკავშირებული. მეცნიერებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს შორის ორმხრივი გაცვლა-გაზიარება ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი სისტემის ცოცხალ ელემენტად უნდა ჩამოყალიბდეს და გაძლიერდეს. უმაღლეს სასწავლებელთა ბაზაზე ახალი სამეცნიერო და ტექნოლოგიური საწარმოები, ასევე ნოვატორული დაწესებულებები უნდა შეიქმნას. მაღალტექნოლოგიური კორპორაციების გზა სამეცნიერო კვლევების შედეგიდან ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციისკენ განსაკუთრებით რთულია და მიზანმიმართულ სტიმულსა და ხელშეწყობას საჭიროებს.

123. საშუალო საწარმოებს, რომლებიც გერმანიის ეკონომიკას, და, მასთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში სამუშაო ადგილების უმეტესობას ქმნიან, ხშირ შემთხვევაში არ აქვთ სამეცნიერო კვლევათა საკუთარი განყოფილებები. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევათა და ნოვატორული აღმოჩენების კომპონენტის გაძლიერება. საამისოდ კი საჭიროა გამჭვირვალე, ადვილად ხელმისაწვდომი მექანიზმები და, პირველ რიგში, სამეცნიერო კვლევათა დარგში არსებული თანამშრომლობა. ფედერაციამ და გერმანიის ფედერალურმა მხარეებმა ყველანაირად უნდა შეუწყონ ხელი ეკონომიკის, მეცნიერებისა და პოლიტიკის დარგში მოღვაწე აქტორების საქმიანობას

იდენტიფიკაციისა და ნოვატორული პოტენციალის გამოვლენის თვალსაზრისით. ამასთან, კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს საშუალო საწარმოთა როლი სამეცნიერო კვლევათა ევროპულ ბაზარზე ხელშეწყობის კუთხით.

124. მეცნიერებს არ უნდა ექმნებოდეთ ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერები, რათა მათ მეტი ნოვატორული აღმოჩენის განხორციელება მოახერხონ. სამეცნიერო კვლევებს ესაჭიროებათ მოქნილი საორგანიზაციო ფორმები და მეტი ექსპერიმენტული ხარისხი სამეცნიერო ინსტიტუტების ჩამოყალიბების ჭრილში. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ძირითად მიმართულებებს თავისუფლება და საკუთარი პასუხისმგებლობა, კონკურენცია და შესრულების ხარისხი, ასევე უმაღლესი განათლების მაღალი დონე წარმოადგენს.

### 3. კულტურა: ეროვნული თვითმყოფადობისა და მსოფლიო გახსნილობის გამოვლინება

125. გერმანია არის ევროპის კულტურული ერი, რომელსაც აქვს ქრისტიანულ-ებრაული ტრადიციები და რომელიც უკავშირდება საგანმანათლებლო ეპოქას. ხელოვნება და კულტურა მარტო ცალკეული ინდივიდების კი არა, მთელი ჩვენი ერის თვითმყოფადობა ქმნის. ჩვენ გვინდა, დავიცვათ ჩვენი ქვეყნის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ცალკეული მხარეებისა და რეგიონების მრავალმხრივობითაა განპირობებული.

126. კულტურული მრავალმხრივობა ჩვენი საზოგადოების ცოცხალი ნაწილია. ის ხელს უწყობს გერმანიაში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ახლის შექმნის მზადყოფნას. ჩვენი კულტურული იდეალია ფასეულობებისთვის გახსნილი გერმანია, რომელიც ღიაა მისი ტრადიციების საფუძველზე სხვა კულტურების მისაღებად. გერმანიის კულტურული სიცოცხლისუნარიანობა და მიმზიდველობა დღემდე სხვა ხალხებსა და კულტურებთან არსებულ გაცვლას ეფუძნება.

127. ჩვენ ვაღიარებთ ხელოვნებაში თავისუფლების პრინციპს. სახელმწიფო და პოლიტიკა პასუხს აგებს არა ხელოვნებაზე, მისი გამოხატვის საშუალებებსა და შინაარსობრივ ასპექტებზე, არამედ იმ პირობებზე, რომელთა დროსაც ხელოვნებისა და კულტურის აყვავებაა შესაძლებელი. ხელოვნება ხომ რეალობასთან შეხების განსაკუთრებული ფორმაა და ცნობისმოყვარეობითა და გამბედაობით სულდგმულობს. შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერება გადამწყვეტი ფაქტორია გერმანიის კონკურენტუნარიანობისათვის. კულტურის ეკონომიკა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის აზრით, ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობა როგორც ფედერაციის, ისე გერმანიის ფედერალური მხარეებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სახელმწიფო ამოცანაა. იგივე ითქმის კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობაზეც. ამასვე განეკუთვნება დევნილთა და მიგრანტთა მაღალი დონის ნამუშევრები და გამოხატვის პოპულარული საშუალებები. კულტურის ხელშეწყობა არის არა სუბსიდია კი არა, ჩვენი საზოგადოების მომავალში უმნიშვნელოვანესი ინვესტიციაა.

128. კულტურის ხელშეწყობის ჭრილში სახელმწიფო პასუხისმგებლობასთან ერთად, ასევე მოქალაქეობრივი აქტიურობაც

შეუცვლელია. გვინდა, კვლავაც გავაუმჯობესოთ კერძო კულტურული ხელშეწყობის დარგში არსებული ჩარჩო-პირობები ფონდებით, მეცენატობითა და დასპონსორების გზით.

129. ცოცხალი მოგონებები ჩვენი კულტურის ნაწილია, რომელიც მოიცავს გერმანიის მთელს ისტორიას თავისი აღმართ-დაღმართებით.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არასდროს ავიწყდება ნაციონალ-სოციალიზმთან დაკავშირებული საშინელებები, განსაკუთრებით – ჰოლოქოსტის მოვლენა.

ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გერმანიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის დიქტატურის შესწავლასაც. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1989 წლის შემოდგომის მშვიდობიან რევოლუციასა და ქვეყნის გაერთიანებას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნიზმის ისტორია უბრალოდ აღმოსავლეთ გერმანული მოვლენა კი არა, ნაციონალ-სოციალიზმის ისტორიის მსგავსად, გერმანიისა და ევროპის ისტორიის შემადგენელი ნაწილია.

ეს განსაკუთრებით ეხება სამშობლოდან დევნილთა ბედს. დევნის მსხვერპლთა მოგონება და კულტურული მემკვიდრეობა მთელი ერის ყურადღების ობიექტს წარმოადგენს, ასევე ვერ დავივიწყებთ დევნილთა და ლტოლვილთა ინტეგრაციისა და ადაპტაციის საკითხს მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ.

თავისუფლებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ჯეროვანი და ღირსეული მოგონება, სამშვიდობო და შერიგებისაკენ მიმართული გამონათქვამები და ეკონომიკური თუ პოლიტიკური ნაბიჯები არა მარტო საკუთარი ისტორიის სამართლიანად გაშუქებისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ერის თვითმყოფადობისა და დემოკრატიული ტრადიციების ჩამოყალიბების კუთხითაც კონსტიტუციურია. ამასვე განეკუთვნება ტოტალიტარული და ეკონომიკური სისტემების ნებისმიერ ფორმაზე უარის თქმაც.

პირველ რიგში, განათლება და მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება უნდა იყოს მოწადინებული, რომ ხელი შეუწყოს გერმანიის მთელი ისტორიის ცნობიერად გააზრებას.

130. კულტურის გარეშე არ არსებობს განათლება, ხოლო განათლების გარეშე არ არსებობს კულტურა. კულტურული განათლება სავალდებულოა, რათა ცალკეულმა ინდივიდებმა საკუთარი პიროვნების განვითარება და დემოკრატიისა და საზოგადოების შემდგომ წინსვლაში მონაწილეობა შეძლოს. კულტურული განზომილება ორიენტაციისა და ცოდნის გადმოცემის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ახალგაზრდები მაქსიმალურად დროულად უნდა ეზიარონ ხელოვნებასა და კულტურას. მხოლოდ ასე შეიძლება იმატოს შემოთავაზებებმა და მოთხოვნებმა ხელოვნების დარგის პროფესიებისა და კულტურის დაწესებულებებისთვის. კულტურის დარგის განათლება უნდა დაიწყოს ოჯახიდან და არ შეწყდეს სკოლაში. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისთვის კულტურის დარგის განათლება სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა და ხელშეწყობის მქონე განათლების სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

131. გერმანული ენა არის უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალება. ის არის ჩვენი ქვეყნის კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიშანი და საზოგადოების შემაკავშირებელი კომპონენტი. ამიტომაც გერმანული ენის სათუთი და ფრთხილი მოპყრობის მიმართ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გაგვაჩნია.

132. კულტურისა და განათლების საგარეო პოლიტიკა გერმანული ენისა და კულტურის გაზიარებას ემსახურება, რამაც კულტურათა შორის დიალოგთან ერთად, დემოკრატისა და ადამიანის უფლებებსაც უნდა შეუწყოს ხელი. ჩვენი ქვეყნის აუთენტური სურათის შესაქმნელად, საზღვარგარეთ არსებული სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების, აგრეთვე, კულტურის დარგის ორგანიზაციების საქმიანობა უნდა გაძლიერდეს. კულტურის დარგის საგარეო პოლიტიკა ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში გერმანიის ავტორიტეტის გაძლიერებასა და გერმანიის თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის ეკონომიკურ სფეროშიც.

133. თავისუფალი მასმედია წარმოადგენს ჩვენი დემოკრატიული წყობის შემადგენელ ნაწილს. იგი არის განსაკუთრებული კულტურული ფასეულობა და უდიდესი პასუხისმგებლობის მატარებელი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორი.

სწრაფი ცვლილებების ფონზე მედიასამყარო, პირველ რიგში, მედია-პროდუქციის მრავალფეროვნებისა და ხარისხის უზრუნველყოფას, ასევე გერმანული მედია მიწოდებლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას უნდა აქცევდეს ყურადღებას. ჩვენ მასმედიისა და პოლიტიკის დამოუკიდებლობის მოტივით პოლიტიკური პარტიების მიერ მედიასაშუალებათა პირდაპირი თუ არაპირდაპირი წესით დაფინანსების კატეგორიული წინააღმდეგი ვართ.

მედია-ლანდშაფტის მრავალმხრივობის მოტივით გერმანიაში წარმატებითაა დამკვიდრებული საჯარო-სამართლებრივი (საზოგადოებრივი) და კერძო ტელე-რადიოკომპანიების ორმაგი სისტემა. მედიაპოლიტიკა სამართლიან კონკურენციაზე უნდა ზრუნავდეს, რომელიც ორივე სისტემას განვითარების გონივრულ შესაძლებლობებს აძლევს. საჯარო-სამართლებრივმა ტელე-რადიომაუწყებლობამ, მოსახლეობა პირველ რიგში განათლების კულტურისა და სხვა დარგებში არსებული ინფორმაციით უნდა უზრუნველყოს. ამდენად, ის ერთდროულად ხელს უწყობს და ქმნის კიდევ კულტურას. მას მიგრანტთა და მათი ცხოვრების ამსახველი ფაქტების ინტეგრაცია-პრეზენტაციაზეც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია.

134. მედია მიწოდებლები და ჟურნალისტები, ზეგავლენის განსაკუთრებული შესაძლებლობების გამო, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე, ასევე პოლიტიკურ განათლებაზეც პასუხისმგებელნი არიან. მასმედიის ფუძემდებლური პრინციპები ოჯახის, საბავშვო ბაღისა და სკოლის განათლებისა და აღზრდის დაკვეთებს განეკუთვნება. მედია მიწოდებლებს პირველ რიგში ახალგაზრდების წინაშე აკისრიათ უდიდესი პასუხისმგებლობა. მათ თავი უნდა გაართვან შესაბამის თვითვალდებულებებსაც. მოზარდთა დაცვის ფაქტორი

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში უნდა განვითარდეს. მისი მასშტაბები ზუსტად უნდა განისაზღვროს, ხოლო დარღვევები მკაცრად დაისაჯოს.

## **V. სოციალური საბაზრო ეკონომიკის განახლება გლობალურ სამყაროში**

135. გლობალიზაცია არის ადამიანებისგან მართული განვითარების პროცესი, რომელიც ჩვენი ზემოქმედებით ყალიბდება. თუკი ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი პოლიტიკა ეკონომიკურად გონივრული და სოციალურად სამართლიანი იყოს, მაშინ გლობალიზაცია სოციალური სახელმწიფოსა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის დასასრული ვერაფრით იქნება. ის უფრო მისი მსოფლიო აღიარების საწინდარი გახდება. ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ საერთაშორისო დონეზე უნდა გაამაგროს სოციალური საბაზრო ეკონომიკის სტანდარტები. სწორედ ამგვარად იძენს სოციალური საბაზრო ეკონომიკა ახალ განზომილებას.
136. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისთვის გლობალიზაცია მთელ მსოფლიოში ჰუმანიტარული და სამართლიანი მოწყობის პირობების შესახებ საერთაშორისო გაგებას ეფუძნება. მისი მიზანია, გლობალიზაციის პირობებში ყველა ადამიანმა მეტი თავისუფლებითა და კეთილდღეობით ნახოს სარგებელი. მან უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ეკონომიკური თავისუფლება ადამიანს ემსახუროს.
137. სოციალური საბაზრო ეკონომიკა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისთვის წარმოადგენს წარმატებულ მოდელს, რომელიც მომავალშიც თავისუფლების, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების პირობებში ცხოვრების საშუალებას მოგვცემს. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ამ ეკონომიკურ-საზოგადოებრივ მოდელს გლობალური სამყაროს გამოწვევებზე პასუხად აღიარებს.
138. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი არის სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული პარტია. მრავალი წინააღმდეგობის მუხედავად, ომის შემდგომ წლებში ლუდვიგ ერჰარდმა მოახერხა სოციალური საბაზრო ეკონომიკის დანერგვა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წარმატებულ ქვეყნად აქცია. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი უარყოფს სოციალისტური თუ სხვა სახის კოლექტივიზმის ფორმებს. იგივე ითქმის უმართავ კაპიტალისტურ ქვეყანაზეც, რომელიც მხოლოდ ბაზრის ანაბარაა დარჩენილი და, ამდენად, ჩვენი დროის სოციალურ კითხვებზე პასუხსაც ვერ პოლობს. სოციალური საბაზრო ეკონომიკა გაერთიანებული გერმანიისა და გლობალიზაციის პირობებშიც ჩვენს იდეალს წარმოადგენს.

### **1. კეთილდღეობის, თანამონაწილეობისა და უსაფრთხოების წყობის ძირითადი პრინციპები**

139. სოციალური საბაზრო ეკონომიკა თითოეულ ადამიანს განიხილავს ღმერთის ქმნილებად, რომლის ღირსებაც ხელშეუხებელია. ეს არის ისეთი წყობა, რომელშიც თავისუფლება, სოლიდარობა და სამართლიანობა საჭიროებს და განაგრძობს ერთმანეთს.
140. სოციალური საბაზრო ეკონომიკა უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკის სისტემა. ის წარმოადგენს საზოგადოებრივ მოდელსა და ზრუნავს ჩარჩო-

პირობებზე, რომელშიც ცალკეულ ინდივიდთა შემოქმედებითი უნარი ერთობლივად განვითარდება. სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის თავისუფალი დემოკრატიის ეკონომიკურ-სოციალური წყობა, რამეთუ ის იმართება იმავე იმპულსით, როგორც კონსტიტუციური მოწყობა: საქმე ეხება ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისა და სხვა ადამიანთა თვითნებობისგან დაცვას. ის მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების შიდა სტაბილურობის განვითარებას.

141. სოციალური საბაზრო ეკონომიკა იმითაა ძლიერი, რომ თავისუფლება და პასუხისმგებლობა, კონკურენცია და სოლიდარობა ერთ მთლიან ორგანიზმს ქმნიან და ხელს უწყობენ ერთმანეთის განვითარებას. ის არის თავისუფალი ეკონომიკისა და სოლიდარული სოციალური წყობის განუყოფელი კავშირი. სოციალური საბაზრო ეკონომიკა სოციალური ხასიათისაა, ვინაიდან ის ადამიანებს დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საკუთარ თავსა და უახლოეს ადამიანებზე ზრუნვის საშუალებას აძლევს. ის სოციალურია, ვინაიდან ცალკეული ინდივიდების ძალებსა და შესაძლებლობებს საზოგადოებრივ თანამშრომლობად აქცევს. ის სოციალურია, ვინაიდან შესაძლებელს ხდის ისეთ სოლიდარობას, რომელსაც სოციალური უსაფრთხოების სახელმწიფო დონეზე მოწყობილი სისტემები ეფუძნება. სოციალური საბაზრო ეკონომიკა კეთილდღეობისა და უსაფრთხოების პირობებში ცხოვრებას ყველასთვის შესაძლებელს ხდის. სოციალური საბაზრო ეკონომიკა ეხება მათაც, ვისაც არ შეუძლია საკუთარი ძალებით გონივრული სასიცოცხლო სტანდარტების შემუშავება. ის ამ გზით ახორციელებს სოციალურ სამართლიანობას.

142. სოციალური საბაზრო ეკონომიკა სამუშაოს შესრულების ნებასა და სოლიდარობას აერთიანებს. სოლიდარობამ არ უნდა შეაფერხოს ცალკეული ინდივიდების მიერ სამუშაოს შესრულების ნება, რაც კეთილდღეობის უმნიშველოვანესი წინაპირობაა. ამის საფუძველზეა შესაძლებელი სოციალური მშვიდობის უზრუნველყოფა.

143. სოციალური საბაზრო ეკონომიკა კონკურენტული წყობაა. პოლიტიკა სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში მოწყობის პოლიტიკაა. სოციალური საბაზრო ეკონომიკა საწარმოებს მოქმედების თავისუფლებას აძლევს, მოსახლეობისთვის კი საქონლისა და მომსახურების სფეროს სრულად შეთავაზების პირობებს ქმნის. ის თითოეულ ადამიანს ბაზარში საკუთარი პასუხისმგებლობით ჩართვის საშუალებას აძლევს. მისი წინაპირობაა ქმედუნარიანი სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციის წინაპირობებს. ამასვე განეკუთვნება სამეწარმეო და სახელშეკრულებო თავისუფლება, ბაზრის ბარიერებისა და მონოპოლისტი საწარმოებისგან დაცვა და მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში საკუთრების დაცვაა იმის წინაპირობა, რომ საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანა და, ამგვარად, სოციალური ვალდებულებების შესრულებაა შესაძლებელი.

144. მეწარმეები და საწარმოთა ხელმძღვანელობა, მათი შემოქმედებითი უნარისა და მზაობის გამო, სოციალური საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენენ. ჩვენი ქვეყნის წარმატებული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქალები და მამაკაცები საწარმოს დაფუძნებისა და რისკის ფაქტორების საკუთარ თავზე ასაღებადაც მზად იყვნენ. მთელ საზოგადოებას აქვს სარგებელი



საწარმოებიდან, რომლებიც ნაყოფიერად და მოგებაზე მუშაობენ. მოგებაზე ორიენტაცია საწარმოს უზრუნველყოფისა და შემდგომი განვითარების მიზანს და, ამასთან, საზოგადოებრივი ამოცანების შესრულებას ემსახურება. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი აღიარებს თავისუფალ და სოციალურად პასუხისმგებელ საწარმოებს. მეწარმეები და საწარმოთა ხელმძღვანელები ქმნიან მომავალზე ორიენტირებულ სამუშაო ადგილებს და მათი რეპუტაციითა და კულტურული თვითმყოფადობით მთელს მსოფლიოში გერმანიის ავტორიტეტის ამაღლებას უწყობენ ხელს. მეწარმეებს წარმატებული საქმიანობისთვის მოქმედების თავისუფლება და ასევე შესაბამისი ჩარჩო-პირობები და სტიმული სჭრდებათ. ამასთან, საწარმოს განვითარებამ ზეგავლენა უნდა იქონიოს მეწარმისა თუ საწარმოს ხელმძღვანელის ფინანსურ მდგომარეობაზე.

145. ის, ვინც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, პასუხისმგებლობასაც ითავისებს. ეს საქმიან და საზოგადოებრივ ურთიერთობებს, გარემოსა და მომავალ თაობებს და უშუალოდ თანამშრომლებსა და მათ ოჯახებს ეხება. საწარმოებმა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას ყველა დონეზე, მათ შორის, უმაღლესი თანამდებობების ჩათვლითაც ასევე ხელი უნდა შეუწყო. ასევე გათვალისწინებულ უნდა იყოს პრინციპი: თანაბარი ხელფასი – თანაბრად შესრულებული სამუშაოსთვის. განვითარებულმა საწარმოებმა იციან, რომ ეს მათ ინტერესშია. სოციალური საბაზრო ეკონომიკის იდეალი პასუხისმგებელი მესაკუთრე-მეწარმეა. პირადი პასუხისმგებლობის ფაქტორი გერმანიაში დასაქმებული მენეჯერებისთვისაც უნდა გაძლიერდეს.

146. სოციალური პარტნიორობა, სატარიფო დამოუკიდებლობა და თანაგადაწყვეტის უფლება, როგორც საწარმოო თუ სამეწარმეო თანაგადაწყვეტის საფუძვლები, ქრისტიანული ეკლესიების სოციალური ეთიკის გამოვლინებასა და ეკონომიკური თუ სოციალური წყობის საფუძველს წარმოადგენს. დასაქმებული ადამიანის ღირსების ჩვენეული გაგება მოითხოვს მის მონაწილეობას იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მისი შრომის გარემოს განაპირობებს.

147. დასაქმებულები, მეწარმეთა მსგავსად, მათი შესრულებული სამუშაოთი, უნართა და მზადყოფნით მათივე საწარმოების, მთლიანად ეკონომიკისა და მთლიანობაში ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და განვითარების წარმატების საწინდარს წარმოადგენენ. მათ, იმავდროულად, მათი და მათი ოჯახის წევრების უზრუნველყოფის საკითხშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.

საწარმოს წარმატების მისაღწევად უმაღლესი განათლების მქონე, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული და მოტივირებული თანამშრომლები ესაჭიროება. დასაქმებულებს მათივე ნიჭის ამომწურავად და წარმატებით გამოსავლენად თანამონაწილეობის შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და მოქმედების თავისუფლება ესაჭიროებათ. მათი განათლება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება მათ დასაქმებასა და შრომისუნარიანობას უზრუნველყოფს. იმავდროულად, დასაქმებულებს საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად ფუნდამენტური სოციალური და შრომის სამართლებრივი გარანტიები ესაჭიროებათ. ისინი საზოგადოებრივ კეთილდღეობაში ჯეროვანი მონაწილეობის მიღებას ითხოვენ.

148. საწარმოს გასავეითარებლად და დასაქმების უზრუნველსაყოფად გერმანიაში, შესაძლოა, სამუშაო ადგილების საზღვარგარეთ გადატანაც აუცილებელი გახდეს. თუმცა, ჩვენ საწარმოებისგან ველით, რომ ისინი ასეთი გადაწყვეტილების სოციალურ თუ საზოგადოებრივ შედეგებს გაითვალისწინებენ და სამუშაო ადგილებს გერმანიაში დატოვებენ.

## 2. სოციალური საბაზრო ეკონომიკა გლობალურ სამყაროში

149. სოციალური საბაზრო ეკონომიკის სიძლიერეს ზედმეტი ნორმები კია არა, მხოლოდ მეტი თავისუფლება და კონკურენცია განაპირობებს. რამდენადაც ძვირი ჯდება გერმანია საერთაშორისო დონეზე სხვა ქვეყნებთან შედარებით, იმდენად უკეთესები უნდა ვიყოთ. ამიტომაც დღევანდელ დინამიურ სამყაროში ცნობისმოყვარე, ნოვატორული და შემოქმედებითი ნიჭით აღსავსე გერმანია გვესაჭიროება. ეკონომიკური წარმატებები დღესდღეობით, როგორც არასდროს ისეა დამოკიდებულია ტექნოლოგიებზე, ნიჭსა და ტოლერანტობაზე. მხოლოდ გახსნილი და მრავალმხრივი საზოგადოება ქმნის შემოქმედებით გარემოს, რომელშიც ჩნდება იდეები და კეთილდღეობა ნოვაციების საშუალებებითაა უძრუნველყოფილი.

150. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, როგორც სახალხო პარტია, გლობალიზაციის პირობებში მეწარმეთა თუ დასაქმებულთა, დამკვეთთა და შემსრულებელთა, ქალაქისა თუ სოფლის ინტერესებს ითვალისწინებს. ჩვენი ქრისტიანული ფუნდამენტური ფასეულობების საფუძველზე ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რათა ადამიანებმა მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში მაშინაც კი უკეთესი პერსპექტივები მიიღონ, თუ ეს გერმანიაში მეტ ეკონომიკურ კონკურენციას გამოიწვევს. ჩვენი მიზანი ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაა. ჩვენ ჩვენი ავტორიტეტის მთელ მსოფლიოში გამოყენება გვსურს. მზარდი საერთაშორისო სავაჭრო კონტაქტები და ბაზრების გახსნა სიღარიბის, შიმშილის, სხვადასხვა დაავადების, უწიგნურობის, კორუფციის, ადამიანის უფლებათა დარღვევების, დისკრიმინაციისა და საომარი კონფლიქტების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა.

151. ევროკავშირის ეკონომიკური და ფასეულობების თანამეგობრობა წარმატებული მოდელია იმისთვის, რომ ბაზრის გახსნა და კონკურენცია, ეროვნული ინტერესების დაცვისა თუ სამართლებრივი, სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტების გათვალისწინების კუთხით, ყველასთვის სასარგებლო გახდეს. იმავედროულად, ევროპა, გლობალური ეკონომიკის პირობებში სამართლიანი წეს-წყობილების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, სხვა ეკონომიკურ ცენტრებთან შედარებით ძლიერ მოთამაშეს წარმოადგენს. ჩვენ მომავლის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესასრულებლად ევროკავშირის გაძლიერება გვსურს.

152. ჩვენ მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედუნარიანობის, სიძლიერის, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის ვიბრძვით. სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციებია ის ძალა, რომლითაც თავისუფალი და ჰუმანური წესწყობილების მოწყობაა შესაძლებელი. ეკონომიკურად ძლიერმა სახელმწიფოებმა სხვების, მათ შორის

ეკონომიკურად შედარებით სუსტი ქვეყნების დახმარების პასუხისმგებლობა უნდა გაითავისონ. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირს სურს, ისარგებლოს მსოფლიო თანამეგობრობაში არსებული ინსტიტუტებითა და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა თუ ეკოლოგიური და სოციალური მინიმალური სტანდარტების მთელ მსოფლიოში დანერგვას. დაუშვებელია ბავშვთა დასაქმება და დასაქმებულთა ექსპლუატაცია.

153. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი დიდი ხანია მხარს უჭერს ისეთ პოლიტიკას, რომელიც თავისუფალი ბაზრისა და სამართლიანი კონკურენციის დადებით ეფექტს ეფუძნება. ჩვენთვის გლობალური ეკონომიკური ზრდისა და სამართლიანობის გადამწყვეტ კრიტერიუმს მრავალმხრივი თავისუფალი ვაჭრობა წარმოადგენს. ბაზრების გახსნა ვაჭრობისა და კაპიტალისთვის, ასევე საერთაშორისო კონკურენცია სამართლიან პირობებს უნდა ეფუძნებოდეს. კონკურენციის ეს სამართლიანი პირობები დღესდღეობით ჯერ კიდევ არ მოქმედებს. ამიტომაც, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების დასანერგად ყველაფერს ვაკეთებთ. შესაბამისად უნდა შემცირდეს არსებული სავაჭრო შეზღუდვები.

154. ბაზარს ყოველთვის როდი შესწევს მონოპოლიისა და ჰეგემონიის ჩამოყალიბების თავიდან აცილების უნარი. აუცილებელია საერთაშორისო ბაზრის თავისუფლების დაცვა, რათა საერთაშორისო, კერძო თუ სახელმწიფო მთაბამეებმა ძალაუფლების შეუზღუდავად და ბოროტად გამოყენება ვერ მოახერხონ. საამისოდ კი საჭიროა საერთაშორისო დონეზე არსებული კონკურენციის წესი.

155. ჩვენი ეკონომიკურ-პოლიტიკური მოსაზრებები ეწინააღმდეგება იმ სახელმწიფოთა ქმედებებს, რომლებიც აქტიური ჩარევით ცდილობენ ეროვნული ეკონომიკურ-სტრატეგიული მიზნების მიღწევას. გვინდა, თვით ასეთი ტიპის ქვეყნებიც კი დავარწმუნოთ თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის მართებულობაში და გავაძლიეროთ საერთაშორისო თანამშრომლობის კომპონენტი. თუმცა მანამ, სანამ გაბატონებულია კონკურენციის დამახინჯებელი პირობები და საფრთხის ქვეშ იმყოფება ცენტრალური სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროებში არსებული ჩვენი ეროვნული ინტერესი, შესაძლოა, გამართლებულიც კი იყოს ამ ინტერესთა გარკვეული სახელმწიფო ქმედებებით დაცვა. გაურკვეველობის შემთხვევაში პრიორიტეტი მაინც ბაზრის თავისუფლებას ენიჭება.

156. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების გრძელვადიანი აქტიურობის საფუძველსა და, მასთან ერთად, ჩვენი ეკონომიკური წარმატებების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას ნათლად განსაზღვრული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები წარმოადგენს. თუმცა მთელ მსოფლიოში პატენტებსა თუ იდეებზე საკუთრების უფლება ხშირად ირღვევა. სწორედ გერმანიისთვის, როგორც ნოვატორული ქვეყნისთვისაა უმნიშვნელოვანესი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ისეთი სავალდებულო და მისაღები წესების ჩამოყალიბება, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, განვითარებას, დანერგვასა და გამყარებას შეუწყობს ხელს.

157. გლობალურ დონეზე მოქმედი საწარმოები სულ უფრო ხშირად არიდებენ თავს ეროვნულ კანონმდებლობას. ვინაიდან ბაზრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობა ვერასოდეს იქნება სრულყოფილი, და შეიძლება, ზედმეტმა მოწესრიგებამაც ეკონომიკური შეფერხებები და სირთულეები გამოიწვიოს, პასუხისმგებლობით აღსავსე საწარმოებს ამიტომაც ვენდობით. ამიტომაც უნდა დაეუჭიროთ მხარი ისეთი ტიპის ნებაყოფლობით ვალდებულებებს, როგორებიცაა გაეროს „გლობალ კომპაქტი“ ან კიდევ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მულტინაციონალურ საწარმოთა მიმართ არსებულ ძირითად წინადადებებს.
158. გლობალური ფინანსური ბაზარი მთელ მსოფლიოში კეთილდღეობის ამაღლებას უწყობს ხელს და შესაძლებელს ხდის ინვესტიციებით ბევრი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლას. გახსნილი ბაზრებისა და თავისუფალი კონკურენტების უზრუნველყოფა მხოლოდ გერმანული კაპიტალის ბაზრის მიმზიდველობითა და ლიკვიდურობითაა შესაძლებელი. გარკვეულმა ფონდებმა შეიძლება, გერმანიაში საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და ნოვატორულობის პროცესს შეუწყონ ხელი. თუმცა, იმავდროულად, ცალკეული კერძო საინვესტიციო ჯგუფების ფინანსური სახსრები ბევრად აღემატება საწარმოებისა და დიდი ბანკების მხრიდან ბაზარზე არსებულ ძალაუფლებას. ამიტომაც გვინდა არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების საიმედო თანამშრომლობის ფარგლების ჩამოყალიბებისა და მსოფლიოს სავაჭრო და საფინანსო ბაზრებზე მეტი გამჭვირვალობის მიღწევისთვის გამოყენება.
159. მომხმარებელი უფრო ხელმისაწვდომი ფასებისა და მრავალმხრივი პროდუქტის არა მხოლოდ უზუფრუქტუარი, არამედ გლობალიზაციის თანამონაწილედ გახდა. მომხმარებელი, ამა თუ იმ პროდუქტის ყიდვა-არყიდვის გადაწყვეტილებით, უკვე მუდმივად ზემოქმედებს ცალკეული პროდუქტებისა და მწარმოებლების საბაზრო წარმატებებზე. გერმანიაში უკვე ბევრი უცხოური პროდუქციაც იმავე სოციალური, სამართლებრივი თუ ეკოლოგიური პირობებით იწარმოება, როგორც თავად გერმანული პროდუქცია. გვინდა, პასუხისმგებლობით აღსავსე მომხმარებელს გადაწყვეტილების საფუძველი გაეუუმჯობესოთ და, ამდენად, გამჭვირვალობის საერთაშორისო დონეზე აღიარებული, მოქმედი და საიმედო ლუქების შემოღებას შეეუწყოთ ხელი.

### 3. ეკონომიკა და დასაქმება

160. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ბევრმა ადამიანმა დაკარგა სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნდობა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მას ძირითადი ეკონომიკური და საზოგადოებრივი საკითხების, უპირველეს ყოვლისა კი მაღალი უმუშევრობის მოგვარების უნარი არ შესწევს. თუმცა ამ პრობლემების მოგვარებას სოციალური საბაზრო ეკონომიკა კი არა, მისი ფუნდამენტური პრინციპების არაერთჯერადი დარღვევა უშლის ხელს. გლობალიზაციის პროცესმა დანაკარგები ბევრად უფრო თვალნათელი გახადა.
161. კიდევ უფრო ძლიერად უნდა მოვახდინოთ სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ პრინციპებზე კონცენტრირება და სწორი

ბალანსი მოუუძებნოთ მათ, რათა დასაქმებას, პერმანენტულ და გონივრულ ეკონომიკურ ზრდას, სოლიდურ ბიუჯეტსა და სოციალური უსაფრთხოების სტაბილურ სისტემას მივადწიოთ. ამასთან, უნდა დავიცვათ კაცობრიობა და ეკონომიკურად ვხარჯოთ ბუნებრივი რესურსები. ჩვენ სამომავლოდაც ის თავისუფალი და სამართლიანი ქვეყანა ვიქნებით, სადაც წინსვლა და უსაფრთხოება, თანადგომა და თანაცხოვრება უზრუნველყოფილია. ამოსავალი წერტილი კი უნდა იყოს სუბსიდიურობის პრინციპი. უნდა მოქმედებდეს პრინციპი: რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან, მხოლოდ იმდენი, რამდენიც საჭირო და გარდაუვალია. გერმანიას ესაჭიროება ფუნდამენტური რეფორმები ჩვენივე კეთილდღეობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. სოციალური სამართლიანობის განმსაზღვრელი მოქალაქეთა ცხოვრების დონეა.

162. მსგავსი სახის რეფორმების წყალობით, სოციალური საბაზრო ეკონომიკა მოქალაქეს, დახმარების პასიური მიღების როლში ყოფნის ნაცვლად, საკუთარი სასიცოცხლო პირობების ბევრად უფრო უკეთ მოწყობას შესთავაზებს. საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების მონაწილეობა ორმხრივად საჭირო პროცესია. სოციალური საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატია მხოლოდ ერთობლივად შეიძლება, წარმატებული და საიმედო იყოს.

### **მეტი კონკურენცია, მეტი თავისუფლება, მეტი თანამონაწილეობა**

163. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა საწარმოთა დინამიურ განვითარებაზეა დამოკიდებული. გერმანიის ეკონომიკა სახელოსნო პროფესიების, საშუალო საწარმოების, ვაჭრობის, თვითდასაქმებული პროფესიების, მრეწველობის, კარგად მომზადებული პროფესიული დასაქმებულების საუკუნოვან ტრადიციებს, ასევე, ერთის მხრივ, საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მყოფ უზრუნველყოფასა და, მეორეს მხრივ, გლობალური თვალსაზრისით კონკურენტუნარიან და საერთაშორისო დონეზე წარმატებულ ძლიერ საწარმოებს ეფუძნება. საშუალო საწარმოები, მომსახურებისა და სახელოსნო პროფესიების ფაბრიკა-ქარხნები და თვითდასაქმებულთა პროფესიები ჩვენი ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. სწორედ ისინი ქმნიან განათლებისა და სამუშაო ადგილებს. ამიტომაც, სახელმწიფოს ამოცანაა, დამფუძნებელთა და მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებას მათთვის ოპტიმალური ჩარჩო-პირობების შექმნით შეუწყოს ხელი. ბაზრის მეტი აქტიურობა წარმატებული ბიზნესისათვის მეტი შესაძლებლობების მიცემას ნიშნავს. გვინდა, შევამციროთ სახელმწიფო ქვოტები და შევზღუდოთ ბიუროკრატია. გამჭვირვალე და მოქნილი გავხადოთ შრომის სამართალი, კონკურენტუნარიანად წარვმართოთ საგადასახადო სამართალი და გავაუმჯობესოთ საწარმოს დაფინანსების პირობები.

164. ჩვენი მიზანია, ნდობა და საიმედოობა ვაქციოთ გერმანიაში მეტი ინვესტიციის მოზიდვის წინაპირობად. გვინდა, გერმანია გახდეს მიმზიდველი ადგილი საწარმოთათვის, ასევე საინვესტიციო ადგილი საერთაშორისო ინვესტორებისთვის და საკუთარ ქვეყანაში მრეწველობის განვითარების უმაღლეს დონეს მივადწიოთ. გერმანიას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ჭრილში.

165. ჩვენ მეტი თავისუფლება და კონკურენცია უნდა უზრუნველყოთ. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, ბაზრების გახსნასა და მათ ამგვარად შენარჩუნებას, არაჯანსაღი კონკურენციის აკრძალვასა და არაკონკურენტუნარიანი ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს. გვინდა, შევზღუდოთ და შევამციროთ სახელმწიფო სუბსიდიები, მოვახდინოთ კვლავინდებურად სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული ეკონომიკური საწარმოების პრივატიზაცია. ადგილობრივ დონეზეც ვრცელდება შემდეგი პრინციპი: სახელმწიფო უნდა ჩაერიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულებული სამუშაო არ არის იმდენად კარგი, ან უკეთ შესრულებოდა კერძო პირების მიერ.

166. კონკურენტუნარიანი პოლიტიკის ბევრმა ამოცანამ ევროპის შიდა ბაზარზე, ანუ ევროპულ დონეზე გადაინაცვლა. გლობალიზაციისა და შიდა ბაზრის უფრო ძლიერი გამოწვევების ფონზე, გვინდა, კონკურენციის ეროვნული ორგანოების და ნორმების სრული დაცვით განვაახლოთ და შემდგომშიც განვაგითაროთ ევროკავშირის კონკურენციის კონტროლი.

167. კონკურენცია უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მომხმარებელთა უკეთესი დაცვის თვალსაზრისით, რამეთუ ნებისმიერი მონოპოლია, რომელიც ამცირებს კონკურენციას, ზღუდავს მომხმარებელთა მრავალფეროვნებასა და არჩევანის თავისუფლებას. მომხმარებელთა უფლებები სამოქალაქო უფლებებია, ხოლო მომხმარებელთა დაცვა კი ჩვენს უპირველეს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. ის არის მომხმარებელთა ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მომხმარებელთა და ეკონომიკის ინტერესების დაბალანსებას გერმანიაში ცხოვრების მაღალი დონის შესანარჩუნებლად ცდილობს. ანუ უნდა გამოინახოს მომხმარებელთა დაცვის ოპტიმალური ვარიანტი – ერთგვარი ბალანსი თვითგამორკვევასა და სახელმწიფო დაცვას შორის. საიმედო, ყოვლისმომცველი და საქმიანი ინფორმაცია პროდუქციისა და მისი ხარისხის შესახებ შესაძლებელს ხდის საკუთარი პასუხისმგებლობით განმსჭვალული მომხმარებლის ქცევას. ჩვენი იდეალია სრულფასოვანი და ინფორმირებული მომხმარებელი. მომხმარებელთა დაცვა არა მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენციაა, ის ასევე დამოკიდებულია მწარმოებელთა, მიმწოდებელთა და თავად მომხმარებელთა თანამონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე. ჩვენ სახელმწიფოს მხრიდან მომხმარებელთა სფეროს მართვის წინააღმდეგი ვართ.

168. კარგად მოქმედი ინფრასტრუქტურა მიმზიდველი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. სწორედ გერმანიაში, როგორც ევროპის შუაგულში მდებარე ტრანზიტულ ქვეყანაში ნიშნავს ეკონომიკური ინტეგრაცია სატრანსპორტო მოძრაობის გაზრდას. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უკეთ სარგებლობა, მოთხოვნილებებზე ორიენტირებული შემდგომი გაფართოება და ინტელიგენტური მოწყობა, ზრდისა და წინსვლის თვალსაზრისით, ყველა სფეროსთვის უკეთესი წინაპირობის არსებობას ნიშნავს. იგივე ვრცელდება აგლომერაციის ცენტრების შექმნის პერსპექტივებსა და რეგიონებზეც. ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების აუცილებლობა გერმანიის როგორც ძველ, ასევე ახალ ფედერალურ მხარეებში არსებობს. ინვესტიციების მოზიდვის მაღალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის

მოთხოვნის ხარჯზე შეუძლებელია, ამიტომაც უფრო ინტენსიურად უნდა იქნას გამოყენებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კერძო დაფინანსების მომგებიანი შესაძლებლობები მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად მომგებიან ენერგომომარაგებას.

169. გერმანია სოციალური საბაზრო ეკონომიკის წარმატებულად განახლების ჭრილში მისი მოქალაქეებისა და ეკონომიკის დარგის შრომისა და ნოვაციის უნარიანობაზეა დამოკიდებული. გვინდა, ჩამოვყალიბოთ მომავლის ბაზრები. გერმანულ ნოვაციებს, ახალ პროდუქციასა და მომსახურებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ შანსი მსოფლიო ბაზარზე, თუ ყოველივე ამის რეალიზება გერმანიაშიც მოხდება. აღმოჩენებისა და პატენტების ქვეყანა კვლავ იდეების დანერგვის ქვეყნად უნდა იქცეს. გერმანიამ უნდა წარმოაჩინოს ნათელი გონების ადამიანები, მთელ მსოფლიოში გაუკეთოს მათ რეკლამა და მიმზიდველი ჩარჩო-პირობებიც შექმნას. სახელისუფლო პროფესიების მომსახურებისა და მრეწველობის დარგებში სასწრაფოდ ესაჭიროებათ კარგი სპეციალისტები.

## სამუშაო ყველასთვის

170. სამუშაო ყველასთვის სოციალური სამართლიანობის ამოსავალი წერტილია. სამუშაო შესაძლებელს ხდის თვითგამორკვევას, იძლევა ცხოვრების დედააზრსა და გადამწყვეტი წინაპირობაა საზოგადოებრივი თანამონაწილეობისთვის. ნებისმიერი ადამიანი საჭიროა, არავინ უნდა გაირიყოს. სამუშაო ქმნის შემოსავალსა და ხელს უწყობს კეთილდღეობას. სოციალური საბაზრო ეკონომიკა ითხოვს სრულ განაკვეთზე დასაქმებას, რისი შესრულების ვალდებულებაც აქვთ სახელმწიფოსა და კოლექტიური ხელშეკრულების მხარეებს. მასიური უმუშევრობა აუტანელი, მიუღებელი და ეკონომიკურად მაგნეა. არსებულმა უპერსპექტივობამ შესაძლოა, მთელი ოჯახები მოიცვას და ცხოვრების დონის დაქვეითებამდე შემდგომი თაობების დროსაც კი მიგვიყვანოს.

171. უმუშევრობა გერმანიაში, ძირითადად, სტრუქტურული პრობლემებითაა განპირობებული, ამიტომაც გვესაჭიროება არა მხოლოდ მეტი მდგრადი განვითარება, არამედ განათლებისა და გადამზადების სფეროში მიზანმიმართული ინვესტიციები და შრომის ბაზრის ყოვლისმომცველი რეფორმა. ასევე გვესაჭიროება დასაქმების უკეთესი შესაძლებლობები ასაკოვანი ადამიანებისთვის, ნაკლებად კვალიფიციური კადრებისა და გრძელვადიანი უმუშევრებისთვის. სწორედ ეს მიზნობრივი ჯგუფები მიიჩნევენ თავს თავისუფლებაშელახლებად და თანამონაწილეობისგან გარიყულებად.

172. შრომის ბაზართან მიმართებაში დასაქმებულთა, უმუშევართა დასაქმების შესაძლებლობებსა და თავად საწარმოთა შორის ინტერესებისა და დაცვის კანონიერი მოთხოვნილებების სამართლიან დაბალანსებაზეა საუბარი. შრომის ბაზარზე მოქმედი დაცვითი დებულებები და თავად შრომის სამართალიც იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ უმუშევრობას არ მფარველობდეს. ხელშეკრულების მოშლისაგან დაცვის ნორმების მოქნილობა და უმუშევართა დასაქმების პერსპექტივები სამართლიანობის ძირითადი პრინციპებია. მთავარი დასაქმებაა. ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილება კოლექტიური ხელშეკრულების მხარეებთან ერთად, ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების ჭრილში უნდა იყოს მიღებული.

173. სატარიფო დამოუკიდებლობა გერმანიის ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარანტი და სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოწყობის განუყოფელ ნაწილია. კოლექტიური ხელშეკრულების მხარეებმა 21-ე საუკუნის შრომის სახეცვლილი ბაზრის მოთხოვნებზე მოქნილი პასუხების გაცემა მოახერხეს. მოუქნელი კოლექტიური ხელშეკრულებები, რომლებიც თანაბრად განიხილავს ყველა საწარმოსა თუ სფეროს, დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ იქნება. ამიტომაც პროფესიულ კავშირებსა და დამსაქმებელთა ასოციაციებს კვლავინდებურად საწარმოებზე მათი წილი პასუხისმგებლობის დელეგირებისკენ მოუწოდებთ. მხოლოდ ასე აღმოფხვრება ის სპეციფიური მოთხოვნები, რომელთა დეცენტრალიზებაც ცენტრალურად შეთანხმებული ჩარხო კოლექტიური ხელშეკრულების ფარგლებში ხდება. ჩვენ ამ პროცესის საწარმოო გაერთიანებათა სამართლებრივად უსაფრთხო მოწყობით განვრცობა გვსურს. საწარმოო გადაწყვეტილებებში დასაქმებულთა თანამონაწილეობის უფლებას, როგორც მომავალზე ორიენტირებული საწარმოო ინტრესების მქონე და დასაქმების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, კვლავინდებურად ხელს შევუწყობთ. ამასთან, საწარმოთა მზარდი საერთაშორისო ურთიერთობებიც უნდა იყოს გათვალისწინებული.
174. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი იბრძვის იმისთვის, რომ სოციალური კაპიტალის პარტნიორობის ფარგლებში თითოეულ ცალკეულ დასაქმებულს როგორც არასდროს, ისე მიეცეს მისი საწარმოს წარმატებასა და კაპიტალში თანამონაწილეობის შესაძლებლობა. ეს დასაქმებულებს შემოსავლის დამატებით წყაროებს უხსნის, აძლევს დამატებით საპენსიო უზრუნველყოფასა და თანამშრომელთათვის მეტი სამართლიანობისა და საწარმოსთან თვითიდენტიფიკაციის წინაპირობებს ქმნის. შესაბამისი, მათ შორის, გაკოტრების საწინააღმდეგო მექანიზმები, მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს საწარმოო ინტერესებზე და ყოველი ცალკეული საწარმოს განსაკუთრებული პირობები უნდა გაითვალისწინოს. ამასთან, საწარმოს კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის უფლება საწარმოს საკუთარი წილობრივი კაპიტალის ქვოტას აძლიერებს.
175. საზოგადოების კეთილდღეობა დასაქმებაზეა დამოკიდებული. კეთილდღეობის მეტი ზრდა და მეტი სამუშაო ერთმანეთს განაპირობებს. სამუშაოს მოქნილად და ნაყოფიერად მოწყობა სამუშაო დროის ისეთი მოქნილი მოდელების გამოყენებითაა შესაძლებელი, როგორც, მაგალითად, წლიური სამუშაო დროის ანგარიშებია. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი კოლექტიური ხელშეკრულების მხარეებს ამ კონტექსტში სამუშაო დროის ამ მოდელით გაკოტრებისგან თავდაცვის შესაძლებლობების ჭრილში სარგებლობას ურჩევს.
176. დასაქმებულები ხშირ შემთხვევაში მტკივნეულად განიცდიან კანონით ან საწარმოო შინაგანაწესით დადგენილი ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, შრომითი ცხოვრებიდან მათი ნების საწინააღმდეგო გარიყვას. ზღვრული ასაკის დანიშნულება საპენსიო მოთხოვნის წარმოშობაა. თუმცა ის, ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია ან სურს მუშაობა, პენსიაზე გასვლის ვალდებულებით ძირითადად არ უნდა შეფერხდეს. შრომის ბაზარი ისე უნდა განვითარდეს, რომ დემოგრაფიული ცვლილებები მართვადი იყოს.
177. ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს არსებობის უზრუნველსაყოფი შემოსავალი. ჩვენი შრომის ბაზრის პოლიტიკის პრინციპია: „მუშაობა



უნდა ღირდეს“, რომელიც შეესაბამება დასაქმების სამართლიანობის პრინციპს ანუ მუშაობის შემთხვევაში გქონდეს მეტი, ვიდრე უმუშევრობის დროს. გვინდა, შევქმნათ ისეთი ჩარჩო-პირობები, რომლებიც მიმზიდველს გახდის თვით დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მარტივ სამუშაოზე ლეგალურად დასაქმების პერსპექტივას. ამასთან, გვინდა დავეხმაროთ დაბალანაზღაურებად დასაქმებულებს. ამან დასასაქმებელს დასაქმების შესაძლებლობით სარგებლობის, ხოლო დამსაქმებელს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მოტივაცია უნდა გაუჩინოს. ანუ ჩვენ უმუშევრობის კი არა, დასაქმების მხარდაჭერა გვსურს.

178. ჩვენ არ გვინდა გერმანიაში ყველაზე დაბალ ხელფასებზე კონკურენცია. უნდა აიკრძალოს ისეთი არაზნეობრივი ანაზღაურება, რომელიც კონკრეტული დარგის ხელფასს ბევრად ჩამოუვარდება.

179. ანაზღაურების მაღალი დამატებითი ხარჯები უმუშევრობასა და არალეგალურ საქმიანობას უწყობს ხელს. ამიტომაც გვინდა ასეთი დამატებითი ხარჯების შემცირება. სოციალური ხარჯები სამუშაო ხარჯებისგან ნელ-ნელა და მაქსიმალურად უნდა გაემიჯნოს. ამით თავიდან ავიცილებთ სამუშაო ადგილების საზღვარგარეთ გადატანის საშიშროებასა თუ არალეგალური დასაქმების აღბათობას.

#### 4. დემოგრაფიული ცვლილებები – სოციალური უსაფრთხოება ყველა თაობისათვის

180. სოლიდარობა და სოციალური უსაფრთხოება, პირველ რიგში, სახელმწიფოსგან მოდის. ადამიანი თავისი ბუნებით სოციალური საზოგადოების მოყვარული არსებაა, რომელსაც აქვს სოლიდარობის უნარი და ვალდებულება. არსებობს მრავალი სოციალური ადგილი თუ დაწესებულება, იქნება ეს ოჯახი თუ სამეზობლო, საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობა თუ გაერთიანებები, ინიციატივები, ეკლესიები თუ ქრისტიანული ასოციაციები, რომლებიც ყოველდღიური სოლიდარობის განცდით ცხოვრობენ. იმ შემთხვევაში, თუ სოლიდარობა საზოგადოების წიაღიდან თავისთავად არ აღმოცენდა, მის საჭიროებას მაშინ აღმოვაჩინოთ, როდესაც სოციალური უსაფრთხოების საფუძველზე იქნება საუბარი. ქორწინება, ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა და პროფესიული განათლება ადამიანთა სასიცოცხლო შესაძლებლობებისა თუ მათი სოციალური უსაფრთხოების კუთხით უფრო მნიშვნელოვანია.

181. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ახორციელებს ისეთი სახის სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ადამიანების ცხოვრების პირობებსა და საზოგადოებაში თანაცხოვრებას აუმჯობესებს. ჩვენ მხოლოდ ფინანსურ დოტაციაზე დაფუძნებული უსაფრთხოებისა და სოლიდარობის წინააღმდეგნი ვართ. უსაფრთხოება მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობის, სახელმწიფო დოტაციისა და სამოქალაქო აქტიურობის ისეთი ნაზავით, რომელიც ადამიანებს ესაჭიროება.

182. სოციალურმა სახელმწიფომ დღემდე დიდ წარმატებებს მიაღწია. მისი მნიშვნელობა დღესაც განუზომელია. ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოციალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში, რომლითაც ადამიანისათვის რისკის ფაქტორების სოლიდარული უსაფრთხოებაა უზრუნველყოფილი. ამ სისტემას ფართო კეთილდღეობა, სოციალური მშვიდობა და თანამონაწილეობა ახასიათებს. თუმცა, სამომავლო მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მისი შემდგომი განვითარება და შეცვლა მოხდება.

ჩვენი მიზანია აქტიური სოციალური სახელმწიფო, რომელიც თითოეულ ადამიანს მოტივაციას უძლიერებს და შეაძლებლობის ფარგლებში ინიციატივისა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების საშუალებას აძლევს.

183. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებისას აქცენტს სამ ძირითად პრინციპზე ვაკეთებთ: მან უნდა გააძლიეროს საკუთარი პასუხისმგებლობის პრინციპი, შეესაბამებოდეს თაობათა თანასწორობის და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შრომითი თანასწორობის პრინციპებს. უნდა შემცირდეს დასაქმებაზე მათი დამოკიდებულების ფაქტორი. ამიტომაც, სოციალური უსაფრთხოების კომპონენტი უნდა გაემიჯნოს დასაქმებას და დაფინანსებამაც უფრო ფართო ასპარეზზე უნდა გადაინაცვლოს. ჩვენი სოციალური უსაფრთხოების სისტემა განსხვავებულ მოთხოვნებებს, ცხოვრების სტადიებსა და მდგომარეობებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთან, ძირითადი სარისკო ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინოთ და ინდივიდუალური ზრუნვის მზადყოფნისა და უნარის კომპონენტებიც გავაძლიეროთ. კონკურენცია, გამჭვირვალობა, ეფექტურობა, ხარჯებისა და პასუხისმგებლობის განცდა და სუბსიდიურობის პრინციპი უსაფრთხოების ყველა სისტემაში უნდა გაძლიერდეს. ჩვენ აქტიურად ვიბრძოლებთ სოციალური დოტაციების ბოროტად გამოყენებისა და არალეგალური დასაქმების წინააღმდეგ, რღვან ისინი სოლიდარობის პრინციპს ანგრევენ.

## სამედიცინო დაზღვევა

184. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი იქითკენ ისწრაფის, რომ გერმანიაში მომავალშიც ყველა – შემოსავლის, ასაკისა და ჯანმრთელობის რისკის მიუხედავად, უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო მომსახურებითა და იმავდროულად სამედიცინო დარგის პროგრესშიც მიიღოს მონაწილეობა. ექიმის არჩევანისა და ჯანდაცვის სფეროს პროფესიების თავისუფლება ჯანდაცვის სფეროს თავისუფლების პრინციპს განეკუთვნება.
185. დემოგრაფიული ცვლილებებისა და სამედიცინო-ტექნიკური პროგრესის ფონზე სახელმწიფო თუ კერძო სამედიცინო დაზღვევის მომავალზე ორიენტირებული სტრუქტურა, ორგანიზაცია და დაფინანსება კვლავინდებურად უნდა განვითარდეს. კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს პასუხისმგებლობა, მზრუნველობა და პრევენცია. უნდა ამოიწუროს ეფექტურობისა და ეკონომიკური პოტენციალი და, მასთან ერთად, უზრუნველყოფილი იყოს არჩევანის ინდივიდუალური შესაძლებლობები და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება.
186. ჯანდაცვის ქმედითი სისტემის წყალობით სხვასხვა დაავადების თავიდან აცილება და ჯანმრთელობის შენარჩუნება თითოეული ინდივიდის პასუხისმგებლობისა და ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამიტომაც, მკურნალობას, რეანიმაციასა და წინასწარ ზრუნვასთან ერთად, პრევენციაც დამოუკიდებელ კომპონენტად იქცევა. პასუხისმგებლობის, პრევენციისა და ჯანდაცვის ხელშეწყობის გასაძლიერებლად აუცილებელია სხვადასხვა მოდელის შემუშავება, არჩევითი და არსებული ტარიფების შენარჩუნება.
187. ჩვენი ჯანდაცვის თავისუფალი და თვითრეგულირებადი სისტემის ხარისხის, ზრუნვის უზრუნველყოფისა და დაფინანსების შესანარჩუნებლად, ხარისხის კონკურენციის კომპონენტის გაძლიერება გვსურს. ამისათვის მიღწეული შედეგები და ხარჯები გამჭვირვალე უნდა გაგხადოთ.

188.სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაფართოვდეს სოლიდარული პრემიის კომპონენტით, რომელიც შრომის ანაზღაურების ნაწილი უნდა გახდეს. ეს კომპონენტი მაქსიმალურად მოკლე დროში სოლიდარული პრემიის მოდელითა და კაპიტალის ჩამოყალიბებით უნდა შეიცვალოს. დაბალი ანაზღაურების მქონე ადამიანები სოციალურ კომპენსაციას მიიღებენ. რამდენადაც ბავშვები სოლიდარული სისტემის გაგრძელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენენ, მათი სამედიცინო დაზღვევის ხარჯები სამომავლოდ საზოგადოებამ უნდა გაიღოს. საბავშვო სოციალური კომპენსაცია და დაზღვევა საბიუჯეტო სახსრებიდან ფინანსდება. ჯანდაცვისა და შრომის ხარჯების ერთმანეთისგან გამიჯვნით სამედიცინო დაზღვევა მომავალზე ორიენტირებულ დაფინანსებას მიიღებს.

## საპენსიო უზრუნველყოფა

189.საპენსიო უზრუნველყოფა გერმანიაში 3 ძირითად კომპონენტს: სახელმწიფო საპენსიო დაზღვევას, საწარმოო და კერძო საპენსიო უზრუნველყოფას ეფუძნება.

190.სახელმწიფო საპენსიო დაზღვევა დღესდღეობით წარმოადგენს საპენსიო უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ფორმას და ე.წ. თაობათა ხელშეკრულებას ეფუძნება. მოსახლეობის ასაკთან დაკავშირებული ცვლილებებისა და სოციალური დაზღვევის ვალდებულების მქონე დასაქმებულთა რაოდენობის კლების გამო, პენსიონერთა მუდმივად მზარდი რაოდენობის პირისპირ შედარებით უფრო ნაკლები დასაქმებული აღმოჩნდა. ამიტომაც თაობათა ხელშეკრულება უნდა მიესადაგოს ახალ სტაბილურ გარემოს, რომელიც ახლგაზრებს თავიანთი ცხოვრების უსაფრთხოდ დაგეგმვისა და მოწყობის შეაძლებლობას მისცემს და, იმავდროულად, ზრდასრულ ადამიანებს საიმედოობის მაღალ ხარისხსაც შესთავაზებს.

191.აქტიური თაობა თავისი შენატანებით უკვე პენსიონერი თაობის შემოსავლის დიდ ნაწილს ანაზღაურებს და საკუთარი შეიღების მეშვეობით სოლიდარული საზოგადოების არსებობის გაგრძელებას უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომაც ვუჭერთ მხარს ოჯახზე ორიენტირებულ საზოგადოებას, რომელიც აღიარებს და ეხილება აღმზრდელთა მრავალჯერად დატვირთვებს.

192.სახელმწიფო საპენსიო დაზღვევას გარკვეული შენატანების გადახდასთან მომავალშიც საგრძნობი კავშირი უნდა ჰქონდეს და უზრუნველყოფის გარკვეულ ზღვარს ქვემოთ არ უნდა ჩამოვიდეს, რათა შენატანის გადახდელი არ გადაიტვირთოს. სახელმწიფო საპენსიო დაზღვევა სალეგიტიმაციო კრიზისში იმ შემთხვევაში მოხვდებოდა, თუ ის მხოლოდ იმ სამუშაოებზე იქნებოდა დამოკიდებული, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფის სხვა სისტემებში უფასოდაა შესაძლებელი. ამის შედეგი იქნებოდა მინიმალური უზრუნველყოფა ყველასთვის, როგორც საარსებო მინიმუმი.

193.სახელმწიფო პენსია მოხუცებულობის დროს სიღარიბის პრევენციის ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს. ის ადამიანს გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს და უფასებს იმ შრომას, რომელიც მას გადასახადებისა თუ შენატანების გადახდით, შეიღების აღზრდითა თუ ოჯახის წევრებზე ზრუნვით განუხორციელებია. ის მომავალშიც იქნება სავალდებულო დახმარება ჭირისუფლებისა და იმ ადამიანებისთვის,

- რომლებიც, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, პროფესიულ საქმიანობას ვეღარ ეწვიან.
194. თუმცა მხოლოდ სახელმწიფო პენსია ვერ უზრუნველყოფს მომავალში ცხოვრების ჩვეულ სტანდარტებს. ამიტომაც აუცილებელია, რომ უზრუნველყოფის ისეთმა ფორმებმა, როგორებიცაა კერძო და საწარმოო საპენსიო დაზღვევა, საპენსიო ასაკში ცხოვრების სტანდარტების უზრუნველყოფას შეუწყოს ხელი. უზრუნველყოფის ასეთი ფორმები ეფექტურია და მიზანმიმართულ ხელშეწყობას საჭიროებს.
195. საწარმოო-საპენსიო უზრუნველყოფა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. დასაქმებულთა მიმართ მობილურობისა და მოქნილობის მეტი მოლოდინი არსებობს, რაც საწარმოო-საპენსიო უზრუნველყოფის ჩარჩო-პირობებით უნდა განისაზღვროს. ჩვენ ასევე მხარს ვუჭერთ პირადი საწარმოს ფარგლებს გარეთ არსებულ საპენსიო უზრუნველყოფის ანგარიშებს, რომლებზეც დამსაქმებელსა და დასაქმებულს თანხების ჩარიცხვა და მათი სტაჟირებისთვის მოკლევადიანი პერსპექტივით გამოყენება შეუძლიათ. ამ საწარმოო პენსიის გაცემაზე მოთხოვნა თვით მოკლე დროით დასაქმების შემთხვევაშიც უნდა დაკმაყოფილდეს.

## მუდმივი მოვლის დაზღვევა

196. კარგად დაიმკვიდრა თავი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მიერ შემოღებულმა მუდმივი მოვლის დაზღვევამ. ამ მოდელმა მომავალშიც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს მოვლის რისკის დაზღვევაში და მოვლისა და მზრუნველობის მაღალი ხარისხი შემოგვთავაზოს. დაზღვევის ყოვლისმომცველი ვალდებულება მომავალშიც აუცილებელია, თუმცა ის ვერც მომავალში გაათავისუფლებს ცალკეულ პიროვნებებს მოვლის რისკის უზრუნველსაყოფად საჭირო პასუხისმგებლობისგან.
197. მუდმივი მოვლის სოციალური დაზღვევა მომავალზე ორიენტირებულ დაფინანსებას უნდა ეფუძნებოდეს. ამისთვის, დაფინანსებას ნელ-ნელა უნდა დაემატოს სოლიდარული პრემიის კომპონენტი და, თაობათა თანასწორობის მოტივით, მაქსიმალურად მოკლე დროში კაპიტალის სოლიდარული პრემიის მოდელით შეიცვალოს. პრემიის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს მშობელთა აღზრდის ფაქტორი და სსოციალური კომპენსაცია საბიუჯეტო სახსრებიდან უნდა გამოიყოს.
198. პრევენცია და რეაბილიტაცია მოვლის ზომებზე პრიორიტეტული უნდა იყოს. ჩვენი პრინციპია: „სტაციონარულის ნაცვლად არასტაციონარული დახმარების აღმოჩენა“. უნდა შემუშავდეს და გაძლიერდეს განთავსებისა და მოვლის ახალი ფორმები. გვინდა, გავაძლიეროთ შინ მოვლის კომპონენტი და უფრო უკეთ დავაფასოთ ოჯახის მომვლელი წევრების აქტიურობა მოვლისა და მზრუნველობის ბიუჯეტების საშუალებით, რომლებიც მოსავლელმა პირმა შეიძლება, არასტაციონარულ, ნაწილობრივ სტაციონარულ ან სტაციონარულ პირობებში გამოიყენოს.
199. სტრუქტურაში არსებული ცვლილებები და მუდმივი მოვლის დაზღვევის დაფინანსება მუდმივი მოვლის, დაზღვევის ტარიფის დინამიზაციისა და მოვლის აუცილებლობის, პირველ რიგში კი, უნარშეზღუდული, მათ შორის, გონებრივად სუსტი ადამიანების განსაზღვრის შესაძლებლობას ქმნის. მიზანს კი მოვლის ტარიფის რეალური დონის უზრუნველყოფა და მოსავლელი პირის, მისი ოჯახის წევრებისა და სოციალური დაზღვევის მიმღებთათვის დამატებითი ხარჯების თავიდან აცილება წარმოადგენს.

## უმუშევართა დაზღვევა

200. უმუშევართა დაზღვევა მომავალში უმუშევრობის შემთხვევაში უკანასკნელი საქმიანობისას არსებული შემოსავლის ოდენობის მნიშვნელოვანი ნაწილის დროში შეზღუდული უზრუნველყოფაა. დასაქმების უნარიის შენარჩუნებითა და აღდგენით ის შემდგომისთვის მნიშვნელოვან სოციალურ, ჯანდაცვისა და ეკონომიკურ ფუნქციებს ასრულებს.
201. უმუშევართა დაზღვევა კვლავინდებურად რჩება სოლიდარულ დაზღვევად, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ადამიანისათვის შემოსავლის პროცენტული თვალსაზრისით თანაბრად მაღალი ნაწილის გადახდას გონივრული ვადის განმავლობაში და სოლიდარული თვალსაზრისით ცალკეული ადამიანის რისკის ფაქტორს ამცირებს. უმუშევართა ფულადი დახმარების გადახდის ვადა თანხის გადახდის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის აზრით, უმუშევართა დაზღვევას, უფრო მოქნილი შრომის ბაზრის შექმნის აუცილებლობის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს.
202. უმუშევართა დაზღვევა უმუშევარ ადამიანს საშუალებას აძლევს, რომ სიდუხჭირის გამო პირველსავე შემთავაზებულ სამუშაოს არ დათანხმდეს და მისი უნარისა და შესაძლებლობების უფრო შესაფერისი სამუშაოს ძებნა გააგრძელოს. *მეორე მხრივ, უმუშევარმა კარგად უნდა გაიაზროს მისი ვალდებულება და დათანხმდეს მაგნიკლებად მისთვის შესაბამის სამუშაოს.* გვინდა, უკეთესი შესაძლებლობები შევუქმნათ ადამიანებს უმუშევრობის დადგომის შემთხვევაში და, დასაქმების უზრუნველყოფის დაბალანსებული მოდელის ჩამოყალიბებით, სტიმულიც მივცეთ.
203. უმუშევართა დაზღვევა დასაქმების ხელშეწყობაზე უნდა იყოს ორიენტირებული და, ძირითადად, მისი დაძლევის ფუნქციით შემოიფარგლოს. ჩვენი პირველი მიზანია, მეტი დასაქმებული შრომის პირველ ბაზარზე და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის მექანიზმების ორიენტაციაც სწორედ ამ მიზანზე უნდა მოვახდინოთ. საერთო საზოგადოებრივი ამოცანები, განათლების მიღების უნარიანობის ხელშეწყობა, კომპეტენციისდა მიხედვით, საბიუჯეტო სახსრებიდან უნდა დაფინანსდეს.

## უბედური და საწარმოო შემთხვევების დაზღვევა

204. უბედური და საწარმოო შემთხვევების სახელმწიფო დაზღვევა დასაქმებულის შრომის უსაფრთხოების, უბედური შემთხვევების პრევენციისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის პრევენციის სამედიცინო უზრუნველყოფისა და რეაბილიტაციის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი დასაყრდენია. უბედური და საწარმოო შემთხვევების თვითრეგულირებადი სახელმწიფო დაზღვევა მომავალშიც ეკონომიკურ კრიტერიუმებზე უნდა იყოს ორიენტირებული და მხოლოდ ლეგალური საქმიანობისას მომხდარი უბედური და საწარმოო შემთხვევებით შემოიფარგლოს.

## სოციალური უსაფრთხოების გარანტიები უნარშეზღუდული ადამიანებისათვის

205. მომავალში უნარშეზღუდული ადამიანების თანამონაწილეობისა და თვითგამორკვევის უზრუნველყოფა გვსურს. ეს უნარშეზღუდული

ადამიანებისთვის საზოგადოების ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, პროფესიულ და პოლიტიკურ საკითხებში თანასწორუფლებიან მონაწილეობას ნიშნავს. ჩვენ საამისოდ ჩარხო პირობების შექმნა გვსურს.

უნარშეზღუდულობა ხშირ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ძლიერ შეზღუდვებთანაა დაკავშირებული, რომელთა კომპენსირებაც ყოველთვის ვერ მოხდება. სოლიდარული საზოგადოება მხარს უჭერს უნარშეზღუდულ ადამიანებს იქ, სადაც აუცილებელია ხელშეწყობა და ინდივიდუალური ნაკლოვანებების აღმოფხვრა. თუმცა ეს გადამეტებულ მზრუნველობას როდი გულისხმობს.

206. უნარშეზღუდულებსა და არაუნარშეზღუდულებს, შორის ჩვეულებრივი ურთიერთობის არსებობა აუცილებელია და ადრეული ასაკიდანვე უნდა ისწავლებოდეს. ეს ყველაზე უკეთ ოჯახებში, ბაგაბალებსა და სკოლებში ერთობლივი აღზრდითა და განათლებით მიიღწევა. აქაც, მუდმივი მოვლისა და საცხოვრებელი ფორმების მსგავსად და უნარშეზღუდულ ადამიანებსა და მათი ოჯახის წევრებთან შეთანხებით, მოქმედებს პრინციპი: „არასტაციონარული დახმარება სტაციონარული დახმარების ნაცვლად“. ეს კი იმის ნიშანია, რომ წინა პლანზე უნარშეზღუდული და არაუნარშეზღუდული ბავშვების მაქსიმალურად ტერიტორიულად ერთმანეთთან ახლოს ცხოვრების საკითხი უნდა იდგეს. ასევე ხელი უნდა შევუწყოთ უნარშეზღუდული ადამიანების მონაწილეობას შრომის ბაზარზე.

207. გვინდა, შევქნათ ცხოვრების ისეთი გარემო, რომელშიც ყველა ადამიანი, მათ შორის, უნარშეზღუდული და ფიზიკურად სუსტი, თავისუფლად მოახერხებს გადაადგილებას. ბევრი უნარშეზღუდული ადამიანი გადაადგილების თვალსაზრისით მართლაც ძალიან შეზღუდულია. ქალაქისა თუ საცხოვრებელი ფართის დაგეგმვის დროს სირთულეთა დაძლევისა და თავისუფლების მოთხოვნილების განცდა უნდა გაძლიერდეს.

## 5. სოლიდური ფინანსები, სოლიდური გერმანია

### ვალების შემცირება და ახალი დავალიანების დაუშვებლობა

208. ვალების ტვირთი გერმანიაში უკვე დღეს ძალიან დამამძიმებელია. ამასთან, ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობების ძალიან მცირე ნაწილი იდება მომავალში. დემოგრაფიული განვითარება გერმანიის სოციალური უზრუნველყოფის სისტემასა და სახელმწიფო ბიუჯეტს ძალიან დაამძიმებს. ამიტომაც დავალიანებებს უკან სერიოზულად უნდა დავახევინოთ. პოლიტიკა, რომელიც ვალების ეტაპობრივად შემცირების პრინციპს ეფუძნება, მოქალაქეთა და მეწარმეთა ნდობას და საკუთარი ეკონომიკის სფეროში კაპიტალდაბანდებებისთვის მზაობას აძლიერებს. დღევანდელი ვალები ხვალინდელ გადასახადებს ნიშნავს.

209. ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა საფრთხის წინაშე იმ შემთხვევაში დგება თუ სახელმწიფოს უფრო მეტი გრძელვადიანი გასავალი აქვს, ვიდრე შემოსავალი. თუ დავალიანების ზრდის პროცესს ვერ შევაჩერებთ, სახელმწიფო მომავალში მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებას ვეღარ შეძლებს. ჩვენ ვიბრძვით ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც საკუთარი შვილების ხარჯზე კი არ ცხოვრობს, არამედ მათ მომავალს უზრუნველყოფს. ჩვენ გვინდა ისეთი ქვეყანა, რომელშიც სახელმწიფოს

უფრო სუსტების დახმარების უნარი შესწევს. იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და ასევე თაობათა თანასწორობის მოტივით, მოქმედებს პრინციპი: „სახელმწიფო დავალიანება არასოციალური მოვლენაა“.

- 210.ახალი დავალიანების შესახდულად, პირველ რიგში, „სახელმწიფო ინვესტიციის“ ცნების – ამ სიტყვის ვიწრო გაგებით – განსაზღვრება აუცილებელია. კრედიტებით მხოლოდ ისეთი ინვესტიციები უნდა დაფინანსდეს, რომლებიც ფასეულობებსა და ქონებას ქმნიან. ამასთან, ვალები კრედიტით დაფინანსებული ინვესტიციებიდან, როგორც წესი, ამ კრედიტის აღებისას განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა გაქარწყლდეს. მხოლოდ ასე შეგვიძლია იმის უზრუნველყოფა, რომ კრედიტის აღება მართლაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებით იყოს შეზღუდული და, ამასთან, ვალების შემახერხებელი მექანიზმიც მართლა იყოს შემოღებული. არაუგვიანეს შემდეგი ათწლეულის შუახანებამდე გვინდა, ახალი დავალიანების პრინციპულად დაუშვებლობის წესის ყველა დონეზე შემოღება, რომელიც ახალი დავალიანების ქონას მხოლოდ გამონაკლისი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შემთხვევაში დაუშვებს. ეს პრინციპი როგორც ფედერალურ კონსტიტუციაში, ასევე გერმანიის ყველა ფედერალური მხარის კონსტიტუციასა და ადგილობრივ დონეზეც უნდა აისახოს.
- 211.გვინდა, მივადწიოთ ფედერალურ მხარეებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ვალების შემცირებასთან დაკავშირებულ ერთობლივ შეთანხმებას. ეკონომიკური აყვავების პერიოდში, სახელმწიფო ვალების შემცირების პარალელურად, წინასწარ უნდა ვიზრუნოთ სამომავლო გეგმებზეც. ამასთან, ყველა ამოცანა და ყველა დონეზე არსებული გასავალი მათი აუცილებლობისა და ნამდვილობის კუთხით უნდა გადამოწმდეს. სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების მართვისა და განკარგვის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, გვინდა, დავავალდებულოთ ფედერაცია, ფედერალური მხარეები და მუნიციპალიტეტები, რომ ბუღალტრული აღრიცხვა კეთილსინდისიერი სამეწარმეო პრინციპების საფუძველზე აწარმოონ.
- 212.სამუშაო ყველსათვის და სოლიდური სახელმწიფო სახსრები ერთმანეთს განაპირობებს. ამიტომაც, იმდენად განვაახლებთ სახელმწიფო შემოსავლების სისტემას, რომ დასაქმების კომპონენტი განგტვირთოთ. გერმანიაში მეტი სამუშაო ადგილის შესაქმნელად ხელფასის დამატებითი ხარჯების სამუშაო ხარჯებისგან გამიჯვნა გვსურს. ამიტომაც გვინდა პირდაპირი გადასახადებისა და სოციალური შენატანების შემცირება და ამ განტვირთვის არაპირდაპირი გადასახადებით დაფინანსება. მნიშვნელოვანია, რომ პირდაპირი გადასახადებისა და სოციალური შენატანების დროს არსებული განტვირთვა, სულ მცირე, არაპირდაპირი გადასახადების დამატებით დატვირთვას ემთხვეოდეს.

### **ფინანსური მოწყობის რეფორმა**

- 213.ფედერალიზმი გერმანიაში გამჭვირვალე ფინანსურ მოწყობას საჭიროებს. სხვადასხვა სახელმწიფო დონეზე არსებული პასუხისმგებლობა მოქალაქისთვის გასაგები უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს იგი პოლიტიკური გადაწყვეტილებების სწორედ გაგებასა და მათ საკუთარი გადაწყვეტილებების საფუძველად გამოყენებას. ამდენად, მკაცრად უნდა მიექცეს ყურადღება თანაფარდობის პრინციპის დაცვას.

ფინანსურმა მოწყობამ უნდა გაითვალისწინოს განსხვავებული ამოსავალი მდგომარეობა, შექმნას ანალოგიური ჩარჩო-პირობები გერმანიის ფედერალურ მხარეებში და მოახდინოს ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის გაძლიერება. ჩვენ მხარს ვუჭერთ სამართლიანი პირობების ფედერალურ კონკურენციას. ამიტომაც, უნდა გაიზარდოს ფედერალური მხარეებისთვის ადგილობრივი შენატანების შენარჩუნების უფლება საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერების ფონზე. 2019 წლამდე უნდა იმოქმედოს გარდამავალმა დებულებამ, რომელიც ამ საკითხს დამატებითი სპეცილური ნორმების გარეშე, მარტივი ფინანსური კომპენსაციის გზით მოაწესრიგებს. ამ დროისთვის სოლიდარობის პაკეტის მოქმედების ვადაც ამოწურული იქნება.

214. ჩვენ ფედერალურ მხარეებისთვის მეტი ფინანსური პასუხისმგებლობის შეთავაზება და, მასთან ერთად, საგადასახადო სამართალში შესაბამისი წინაპირობების შექმნაც გვსურს. ფედერალური მხარეები, რომლებიც ვერ ჩაეტევინან ფინანსური მოწყობის დავალიანების ფარგლებში და ვერ შეიტანენ წვლილს მაასტრიხტის კრიტერიუმების განვითარებაში, სამომავლოდ სარეაბილიტაციო პროგრამას დაექვემდებარებიან.

215. ჩვენ ბიუჯეტის უკიდურესი მდგომარეობის შესახებ კანონის მიღებით დროული გაფრთხილებისა და შეტყობინების სისტემის შემოღება გსურს. აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს, რომ სამომავლოდ მოქმედება მხოლოდ ბიუჯეტის უკიდურესი მდგომარეობის დადგენის შემდეგ არ დაიწყოს. ამის წინაპირობად კი ფედერაციასა და კონკრეტულ ფედერალურ მხარეებს შორის სახელმწიფო სარეაბილიტაციო ხელშეკრულების გაფორმება უნდა იქცეს.

216. მუნიციპალიტეტებსაც უნდა მიეცეთ საკუთარი პასუხისმგებლობის მეტი გამოვლენის შესაძლებლობა, რამეთუ მათი ფინანსური პოტენციალი უშუალო ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამიტომაც, იმგვარად განვაითარებთ ადგილობრივ გადასახადებს, რომ მუნიციპალიტეტების პოტენციალი მათი მოქალაქეების ინტერესებს მოემსახუროს.

## გადასახადები – მარტივი და სამართლიანი

217. გადასახადების გადახდით მოქალაქე სახელმწიფოს განკარგულებაში გადასცემს აუცილებელ ფინანსურ სახსრებს, რომლებიც მას საკუთარი ამოცანების შესასრულებლად ესაჭიროება. საგადასახადო სისტემის მოქალაქეთა მიერ საღიარებლად ის შემდეგ პრინციპებს – მარტივი, დაბალი, სამართლიანი – უნდა აკამყოფილებდეს. სოლიდარობისა და სამართლიანობის ჩვენი ძირითადი ფასეულობების შესაბამისად, ფინანსურად უფრო ძლიერმა ფინანსურად უფრო სუსტთან შედარებით მეტი გადასახადი უნდა გადაიხადოს. იმავდროულად, საგადასახადო სამართალმა მოქალაქეთა ფინანსური თავისუფლება ძალზე მაღალი საგადასახადო განაკვეთებით არ უნდა შეზღუდოს. დაბალი საგადასახადო განაკვეთების მქონე საგადასახადო სისტემა ხელს უწყობს წარმატებასა და ინიციატივას და მოქალაქეებს თავიანთი ცხოვრებისეული რისკებისგან თავის დაზღვევაზე წინასწარ ზრუნვის შესაძლებლობას აძლევს. მარტივი საგადასახადო სისტემა ქმნის მეტ სამართლიანობას, ვიდრე რთული სისტემა, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე ორიენტაციას ცდილობს. რაც უფრო რთულია ეს სისტემა, მით უფრო მეტი სარგებელი აქვს იმას, ვისაც შეუძლია, თავს ძვირადღიებული კონსულტაციების ისე



- გავლის უფლება მისცეს, რომელთა გარეშეც მას როგორც წესი გადასახადების დაზოგვის საშუალება არ ექნება.
218. საწარმოთა მომავალზე ორიენტირებული დაბეგვრა უნდა გამომდინარეობდეს პრინციპიდან, რომ საწარმო, პირველ რიგში, ეკონომიკურ და არა საგადასახადო სუბიექტს წარმოადგენს. ან ისე უნდა მოეწეოს საგადასახადო ტვირთი, რომ ჩვენს ქვეყანაში საწარმოს დაფუძნება და განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, სამეცნიერო კვლევებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში კაპიტალდაბანდება ღირდეს. საგადასახადო პოლიტიკა ნოვაციების პოლიტიკაცაა. მან კონკურენციის მიუკერძოებლობა საწარმოს სამართლებრივი ფორმის მიუხედავად უნდა უზრუნველყოს და მარტივი და გამჭვირვალე იყოს. ამასთან, სახალხო ეკონომიკის დარგის მთელი მსოფლიოს მასშტაბით მზარდი კავშირებიც უნდა გავითვალისწინოთ.

## 6. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება – გერმანიის ახალი ფედერალური მხარეების განვითარების ხელშეწყობა

219. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა გერმანიის გაერთიანების წინაპირობები თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიმართ ნდობითა და 1953 წლის 17 ივნისის სახალხო აჯანყებისა და, განსაკუთრებით, 1989 წლის მშვიდობიანი რევოლუციის მოწეობით შექმნეს. ამ ისტორიული მოვლენით როგორც გერმანიის დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი უნდა ამაყობდეს. ახალი ფედერალური მხარეები, თავიანთი მდიდარი და კულტურული ტრადიციების წყალობით, ახალი იმპულსებს მატებენ გერმანულ ფედერალიზმს.
220. გერმანიის ახალმა ფედერალურმა მხარეებმა ტოტალიტარული დიქტატურიდან დემოკრატიამდე და ცენტრალისტური დაგეგმარებითი ეკონომიკიდან სოციალურ საბაზრო ეკონომიკამდე გზა განვლეს. ბევრი ახალი რეგიონი აყვავდა გერმანიაში არსებული აქტიურობისა და სოლიდარობის წყალობით, ერთჯერადი ისტორიული ფინანსური დახმარებებით, სიბეჯითისა და აღმშენებლობის ნების წყალობით და დღეს ყოველი მათგანი ევროპის შუაგულში, გერმანიის თანამედროვე ნაწილს წარმოადგენს.
221. ახალმა ფედერალურმა მხარეებმა და მათმა მოქალაქეებმა თავის თავზე აიღეს წინამძღოლის როლი განათლების დარგის რეფორმირების, დაგეგმარების პროცედურების დაჩქარების, ბიუროკრატიის შემცირების, ასევე ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის მჭიდრო თანამშრომლობის საქმეში.
222. ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაძლეული კომუნისტური დიქტატურის, გერმანიის გაყოფისა და წარუმატებელი ეკონომიკის შედეგები, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ეკონომიკის განვითარების სათანადო დონე. ბევრი ხელშესახები სიახლის მიუხედავად, ჯერ კიდევ იგრძნობა დეფიციტი სახელმწიფო თუ ეკონომიკურ სტრუქტურებში.
223. ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით გაფართოებამ ახალი შესაძლებლობების გაჩენასთან ერთად, აღმოსავლეთ გერმანიის ჯერ კიდევ სუსტ ეკონომიკაში კონკურენციის წნეხიც გაზარდა. ბევრი მცირე და საშუალო საწარმო ჯერ კიდევ საკმარისად მზად არ არის ამ გამოწვევებისა და გლობალიზაციის მოთხოვნებისათვის.
224. დემოგრაფიული ცვლილებები უფრო ძლიერ ზეგავლენას დასავლეთზე მეტად, აღმოსავლეთ გერმანიაზე ახდენს. შობადობის

საგრძნობი კლება, სიბერის მაღალი მაჩვენებელი და ბევრი მაღალკვალიფიციური, შრომისმოყვარე ახალგაზრდა ადამიანის მიგრაცია მის ისედაც მცირე რესურსებს კიდევ უფრო ამცირებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიამ ცხადყო, რომ მიგრაციის რეგიონების მომავლის რეგიონებად გარდაქმნა შესაძლებელია. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პოლიტიკის მიზანი აღმოსავლეთ გერმანიის რეგიონებში ადამიანებითვის ცხოვრების მიმზიდველი პირობების შექმნაა.

225. ახალ ფედერალურ მხარეებში სამოქალაქო საზოგადოების, როგორც დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძვლის გაძლიერება გვესაჭიროება. წელში გამართული სამოქალაქო საზოგადოება ეკონომიკურ ზრდასა და ჩვენი თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების სტაბილურობაზე ზრუნავს. ამიტომაც ადამიანებს მომავალზე პასუხისმგებლობით ზრუნვის მნიშვნელოვანი საშუალებებები უნდა ჰქონდეთ. მხოლოდ ამგვარად შევქმნით მცოდნე კადრების სამშობლოში დარჩენისა და ახალ ფედერალურ მხარეებში ინვესტორების შემოსვლის პირობებს. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა ახალგაზრდა წამყვანი სპეციალისტების შრომის რეგიონალურ ბაზარზე ინტეგრაციაა. ყველა მონაწილე მხარის თანამშრომლობით ხელი უნდა შეეწეოს რეგიონთა დემოგრაფიულ სტაბილურობას.

226. უწინარეს ყოვლისა, დიდ ქალაქებსა და ტურისტულ ცენტრებში წარმოიქმნება ნოვატორული, ეკონომიკური თვალსაზრისით დინამური ზრდის რეგიონები. გვინდა, მხარი დაუჭიროთ იქაურ სამეწარმეო ინიციატივებს, რომელსაც საშუალო კონკურენტუნარიან საწარმოთა სტრუქტურამდე და დიდ საერთაშორისო დონეზე მოქმედ საწარმოებამდე მიყვავართ. საამისოდ კი ეკონომიკური ზრდის მქონე რეგიონებისთვის, მათი ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურისთვის სახსრები უნდა გამოვეყოთ. მსოფლიო ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციის შესაქმნელად მაღალი დონის სამეცნიერო კვლევები და მაღალი ტექნოლოგიები საწარმოებსა და ინვესტორებთან მჭიდროდ უნდა დავაკავშიროთ.

227. ეკონომიკური ზრდის რეგიონები სტრუქტურულად სუსტ რეგიონებს ქმედითი ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით მგზავრთა, მიმზიდველი სატრანსპორტო გადაზიდვებით უნდა დაუკავშირდეს. სწორდ ასე შეძლებენ სუსტი რეგიონები ეკონომიკურ აღმავლობაში მონაწილეობის მიღებას. ნაკლებად დასახლებულ რეგიონებში, სადაც არ არის საწარმოო ცენტრები, გარკვეული სექტორებისა და დარგების ხელშეწყობაზე უნა მოვახდნოთ კონცენტრირება. ევროკავშირმა უნდა გააგრძელოს გერმანიის ახალი ფედერალური მხარეების, განსაკუთრებით, ჩამორჩენილი რეგიონების დახმარება, რათა ფეხი აუწეოს საერთაშორისო რეგიონალურ კონკურენციას.

228. გერმანიის ახალი ფედერალური მხარეები 2019 წლამდე სოლიდარობის პაქტის სახსრებს სრული ოდენობით საჭიროებენ. აღნიშნული სახსრები მიზნობრივად უნდა იქნას გამოყენებული ინფრასტრუქტურის ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ინვესტიციების მიზანმიმართული ხელშეწყობისა და ქვეპროპორციული ფინანსური პოტენციალის მუნიციპალიტეტის დონეზე დასაბალანსებად და ამ გზით იყოს მიღწეული ეკონომიკური განვითარება და შემდგომი განახლება.

229. ეკონომიკური ზრდის ძირითადი წინაპირობაა ტრანსნაციონალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება. ევროპის სატრანსპორტო მაგისტრალები კვლავინდებურად უნდა გაშენდეს. ეს განსაკუთრებით, შუა და აღმოსავლეთ ევროპასა და ასევე აღმოსავლეთ ზღვის ტერიტორიას ეხება.
230. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მდგრადი ინვესტიციები მხოლოდ დემოგრაფიული განვითარების შემთხვევაშია შესაძლებელი. ნაკლებ დატვირთული ინფრასტრუქტურა მოსახლეობის განვითარების მოთხოვნილებებს უნდა მიესადაგოს განსხვავებული სტანდარტები კი მზრუნველობისა და ადმინისტრაციის სფეროში უნდა იყოს მისაღები. სახელმწიფომ მინიმალური სტანდარტების დაცვაზე უნდა იზრუნოს. ჩვენს მიზნად კვლავინდებურად ცხოვრების თანასწორი პირობები რჩება. პირადი ინიციატივები ადგილებზე უნდა წარმოიშვას. ცხოვრების ხარისხის განსხვავებული განსაზღვრა მომავალშიც აუცილებელი იქნება და – არა მხოლოდ გერმანიის ახალ ფედერალურ მხარეებში.

## VI. სამყაროსა და სიცოცხლის დაცვა – ეკოლოგიურად სუფთა გარემოსთვის

### 1. ადამიანის ღირსების დაცვა მისი დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე

231. ადამიანი, როგორც ღმერთის ქმნილების ღირსება ხელშეუხებელია და დაცვას საჭიროებს. ადამიანი ყოველთვის სუბიექტია და არა ობიექტი. ადამიანის ღირსება ამოსავალი და საორიენტაციო წერტილია ასევე ბიოეთიკური გამოწვევების შეფასებისთვისაც, რაც ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე პატივისცემას და დაცვას საჭიროებს. ჯერ კიდევ დაუბადებელი სიცოცხლე, თესლისა და კვერცხუჯრედის შერწყმიდან დაწყებული, ჩვენს განსაკუთრებულ დაცვასა და შესაბამისი დიაგნოსტიკის განვითარების ფონზე ჩვენს კრიტიკულ დამოკიდებულებაც საჭიროებს. ჩვენ წინააღმდეგი ვართ გადანერგვის დიაგნოსტიკისა. ასევე მიუღებელია ჩვენთვის აბორტის მაღალი მაჩვენებელი, განსაკუთრებით, ორსულობის გვიან სტადიაზე. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ქალებსა და მამაკაცებს, რათა მათ სიცოცხლის შენარჩუნების გადაწყვეტილება მიიღონ.
232. სიცოცხლისთვის სახიფათო სიტუაციაში მყოფი ადამიანების განკურნება, ტკივილების შემსუბუქება და დახმარების გაწევა პუმიანურობის, სოლიდარობისა და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაფუძნებული მოყვასის სიყვარულის გამოვლინებას წარმოადგენს. უნარშეზღუდულ, დაავადებულ, მომაკვდავ და სხვა რთულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ღირსეული ცხოვრების უფლება აქვთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ პალიატიური მედიცინის, მძიმედ დაავადებული ადამიანების დაწესებულებებისა და ევთანაზიის სხვა ფორმების არსებობას, რამაც მომაკვდავ ადამიანს სიცოცხლის ბოლო სტადია, მისი ოჯახის წევრებს კი მასთან განშორება უნდა შეუმსუბუქოს. ჩვენ გამოვდივართ აქტიური ევთანაზიის წინააღმდეგ და ორგანოთა გადანერგვის კომპონენტის გაძლერება გვსურს.
233. ბიოსამედიცინო გამოკვლევები გვთავაზობს მომავლის პრობლემების მოგვარების შესაძლებლობებსა და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დაავადებების განკურნებასა და ტკივილების შემსუბუქებას. შესაძლებლობები და რისკი კეთილსინდისიერად უნდა იყოს გააზრებული. ჩვენთვის ადამიანის ხელშეუხებელი ღირსების გათვალისწინება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე კვლევის თავისუფლება და

კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. გვინდა, მივადწიოთ ემბრიონთა დაცვის შენარჩუნებასა და წინააღმდეგი ვართ, გამოყენებულ ემბრიონთა ხელახალი გამოყენებისა. რასაც მხარს ვუჭერთ ევროპულ და საერთაშორისო დონეზე. ასევე წინააღმდეგი ვართ ადამიანთა კლონირებისა.

## 2. ბუნებრივი სასიცოცხლო პირობების დაცვა

234. ქრისტიანული გაგებით, ადამიანი, ბუნება და სამყარო ღმერთის ქმნილებებია. ჩვენი ამოცანა კი მათი დაცვაა. მდგრადობის პრინციპი ქრისტიანულ-დემოკრატიული პოლიტიკის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. გვინდა, ჩვენს შთამომავლებს ისეთი სამყარო დაეუტოვოთ, რომელშიც ცხოვრება ხვალაც ეღირება. შემდგომ თაობებს აქვთ ეკონომიკური განვითარების, სოციალური კეთილდღეობისა და სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება.
235. მომავალზე ორიენტირებული გარემოსა და კლიმატური პირობების დაცვა ახალ სამუშაო ადგილებს წარმოშობს. ამიტომაც, ხელი უნდა შევეწყოთ მდგრადად ეკოლოგიურ განათლებას, სამეცნიერო კვლევებს, განვითარების პროცესს, გარემოს დაცვის ტექნოლოგიებს, გარემოსა და კლიმატური პირობების დაცვასა და შესაბამის ნოვაციებს. გვინდა, კვლავინდებურად გავაძლიეროთ გერმანიის წამყვანი როლი გარემოს დაცვის ტექნოლოგიების სფეროში, გარემოსა და კლიმატური პირობების გაუმჯობესების მოტივით. სწორედ ასე შეგვიძლია მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ საკუთარი ქვეყნის წინსვლის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და საშუალო საწარმოთა გაძლიერების საქმეში.
236. სიღარიბესთან ბრძოლა და ცხოვრების ბუნებრივი პირობების დაცვა განუყოფელი ცნებებია. სიღარიბემაც შეიძლება გამოიწვიოს ბუნების ზედმეტიექსპლოატაცია. ბოლოს და სბოლოს, ამგვარად ნადგურდება ბიოლოგიური მრავალფეროვნება და იქ მცხოვრებ ადამიანთა პირობები. გარემოს დაცვის პოლიტიკა ჩვენი საგარეო და განვითარების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს გლობალური სამართლიანობის საკითხშიც.
237. ჩვენი გაგებით, ეკონომიკური განვითარება გარემოს დაცვას არ ეწინააღმდეგება. *განსაკუთრებით*, ჩვენს დროში, როდესაც დედამიწის ეკოლოგიური დატვირთვის ფარგლები სულ უფრო ნათელი ხდება, მოქმედებს პრინციპი: მდგრადი ეკონომიკური განვითარება მხოლოდ გარემოსა და კლიმატური პირობების დაცვითაა შესაძლებელი. ამასთან, ეს რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება თანხების დაზოგვისა და რეგიონალური განვითარების წინაპირობაცაა. სწორედ ამ მოტივით ვუჭერთ მხარს ეკოლოგიური და სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, რომლის მიზანიც გაძლერებული კვლევები და განვითარება, მიზანმიმართული, მასტიმულირებელი სისტემები და პროგრამები და ასევე გარემოს დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკური ჩარჩო პირობების შექმნაა. ამასთან, გრძელვადიანი პერსპექტივით რესურსების ხარჯვაზე ან გარემოს დაბინძურებაზე გადასახადის ნაცვლად მოსაკრებელი უნდა დაწესდეს, ამონაგები თანხა კი მიზნობრივად მოხმარდეს გარემოსა და კლიმატური პირობების დაცვას.
238. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი მხარს უჭერს, გამოლევადი რესურსების ეკონომიური და ფრთხილი გამოყენების პოლიტიკას. სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებასთან დადებით დამოკიდებულებასა და გარემოსა და ბუნების დაცვას, რომელიც ხელს

უწყობს ადამიანების შემოქმედებით უნარსა და პასუხისმგებლობას. ძალიან მნიშვნელოვანია მაღალი დონის ეკოლოგიური განათლების მიღება. სკოლებთან, მუნიციპალიტეტებთან, ფედერალურ მხარეებთან, გარემოსა და ბუნების დაცვის გაერთიანებებთან, ფერმერებსა და მეტყევეებთან ერთად საზოგადოებაში გარემოსადმი პატივისცემის დამკვიდრება გვსურს.

## კლიმატური პირობების დაცვა

239. დიდი კლიმატური ცვლილებები კაცობრიობისა და მომავალი თაობების ცხოვრების პირობებს სერიოზული საფრთხით ემუქრება. ჩვენს ეთიკურ ვალდებულებად და მომავლის უპირველეს პოლიტიკურ ამოცანად ამ პროცესის შეჩერებას მივიჩნევთ. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი მხარს უჭერს ინიციატივას, რომ გერმანიამ კვლავინდებურად დაიკავოს წამყვანი როლი კლიმატური პირობების დაცვის კუთხით და საერთაშორისო დონეზეც იმპულსის მთავარი მიმცემი იყოს. მაქსიმალურად ბევრ სამრეწველო განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყანასთან ერთად გვინდა, მხარი დაუჭიროთ გლობალური კლიმატური პირობების დაცვას. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია კიოტოს ოქმზე დაფუძნებული კლიმატური პირობების დაცვის საერთაშორისო შეთანხმება, რომელც 2012 წლის შემდგომ პერიოდზე ვრცელდება, შეიცავს საბაზრო ეკონომიკის სტიმულს და ამ საქმეში დღევანდელ დღემდე განზე მდგომი სამრეწველო განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნების აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.
240. გერმანიამ 2012 წლამდე სათბურების გამონაბოლქვის რაოდენობის 21 %-ით, ხოლო 2020 წლისთვის სულ მცირე 30%-ით შემცირების გადაწყვეტილება მიიღო. იმავდროულად მნიშვნელოვანია, რომ სხვა სამრეწველო ქვეყნებმაც საგრძნობლად შეამცირონ გამონაბოლქვთა მაჩვენებლები.
241. მხარს ვუჭერთ ისეთი ორმაგი კლიმატური სტრატეგიის განხორციელებასაც, რომელიც სასათბურე გამონაბოლქვის ზღვრის დადგენას, კლიმატური პირობების, დაცვითი ტექნოლოგიების გამოყენებასა და განვითარებას უწყობს ხელს. ნახშირის დიოქსიდს გონივრული ფასი უნდა ედოს მთელი მსოფლიოს ბაზარზე, რათა აზრი ჰქონდეს კლიმატურ პირობებზე ზემოქმედების ტექნოლოგიებში კაპიტალდაბანდებას. ამ მიზანს ემსახურება გამონაბოლქვის უფლებებით ვაჭრობა და კლიმატური პირობების განვითარების პროექტების განხორციელება განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში. ჩვენი მიზანია, დედამიწის ატმოსფეროს დათბობა წინა სამრეწველო ამოსავალ მდგომარეობასთან შედარებით, მაქსიმუმ 2 გრადუსით შემოიფარგლოს.
242. კლიმატური პირობების დაცვის კუთხით ჩვენი პოლიტიკის ძირითადი კომპონენტებია: ენერჯის დაზოგვა, ენერგოეფექტურობის ამაღლება და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენება. იმავდროულად, აუცილებელია სტრატეგიის შემუშავება კლიმატური ცვლილებების უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად, მაგალითად, უნდა დაიწყოს წყალდიდობისგან სანაპიროების გაძლიერებული დაცვა. ამასთან, შეცვლილი კლიმატური პირობების ფონზე მიწის გამოყენების სტრატეგიაც აუცილებელია უნდ შემუშავდეს.

## ენერგომომარაგების უზრუნველყოფა

243. მთელ მსოფლიოში იზრდება ენერგორესურსებზე მოთხოვნა. ვინაიდან გერმანია მწირი და ძვირადღირებული ენერგონედლეულის იმპორტზეა დამოკიდებული, ენერგომომარაგების უსაფრთხოდ, ეკოლოგიურად სუფთად და ეკონომიურად შემუშავება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. გვინდა, შევამციროთ იმპორტზე დამოკიდებულების რისკი. ენერგონედლეულის მიღების წყაროები და მოწოდების საშუალებები უნდა გაფართოვდეს და გაძლიერდეს ენერგოსექტორში თანამშრომლობა მიმწოდებელ და ტრანზიტულ სახელმწიფოებთან. ევროკავშირის ერთობლივი ენერგოპოლიტიკის წყალობით გვინდა, მყარი საფუძველი შევუქმნათ ენერგომომარაგებას.
244. მხარს ვუჭერთ ასევე ენერგორესურსების ეკონომიურ მოხმარებას, ადგილობრივი, განახლებადი ენერგოწყაროების შექმნის დაჩქარებასა და გამომუშავების უფრო ეფექტური ტექნოლოგიების ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანი პოტენციალია ენერგეტიკული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციაში. გვინდა, 2020 წელს, 1990 წელთან შედარებით, ენერგოწარმოების გაორმაგება შევძლოთ, რასაც ენერგოწარმოების დეცენტრალური დაწესებულებებიც შეუწყობს ხელს.
245. უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიურად მომგებიანი ენერგომომარაგების საფუძველი ფართო და დაბალანსებული ენერგო ნაზავია. გვინდა რაც შეიძლება, ეკოლოგიურად სუფთად გამოვიყენოთ წიაღისეული ენერგორესურსები და, ამასთან, გერმანიაში მსოფლიოში ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა ელექტროსადგურების აშენების პირობებიც შევქმნათ.
246. განახლებადი ენერგორესურსები, როგორც ადგილობრივი ენერგორესურსები, მნიშვნელოვანი წვლილია ენერგომომარაგების უსაფრთხოების ამაღლებასა და კლიმატური პირობების დაცვის საკითხში. ის ზრდის ეკოლოგიურად სუფთა შესაძლებლობებს, ბიზნესის ნოვატორულ სფეროებსა და ახალ სამუშაო ადგილებს გვთავაზობს. გვინდა, *მატებადი* ნედლეულის გამოყენებისა და რეგენერაციული ენერგოწყაროებით სარგებლობის მიზნით წამოწყებული საქმეც გავაგრძელოთ. ამასთან, ოფშორულ ზონაში ქარის ენერჯის გამომუშავების ისეთი შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ, როგორცაა სოლარული ენერჯია, ბიოენერჯია და გეოთერმია. გვინდა, კვლავინდებურად დავუჭიროთ მხარი ენერგოდაზოგვის ტექნოლოგიების შექმნასაც.
247. ჩვენ ტექნოლოგიური ნოვაციების შესაბამისი სტიმულის განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებით გაძლიერება გვსურს. 2020 წლამდე გერმანიაში რეგენერაციული ენერგორესურსების მთლიანი რესურსების ხარჯვითი წილის 20%-იანი ოდენობის მიღწევა და განახლებადი ენერგორესურსების გაძლიერებული გამოყენება გვსურს. მიზანი ისაა, რომ განახლებადმა ენერგორესურსებმა 2050 წლამდე გერმანიაში ენერჯის გამომუშავების ძირითადი ნაწილი შეადგინოს.
248. გერმანია უახლოეს მომავალში ენერჯის ატომური ენერჯის გამოყენებით გამომუშავებაზე უარს ვერ იტყვის. ამ გზით ერთგვარად დროის მოგებაა შესაძლებელი მანამ, სანამ საკმარისი რაოდენობის კლიმატური და ეკონომიკური რესურსები არ იქნება წარმოდგენილი. ჩვენი კლიმატური პირობების დაცვის სტრატეგიის ფარგლებში საიმედო ატომური ელექტროსადგურების ვადის გასაგრძელებლად ვიღვივით. ჩვენთვის პრიორიტეტულია ყოველი ცალკე აღებული ელექტროსადგურის უსაფრთხოების დონის მაქსიმალური შემოწმება. განსაკუთრებული

- მნიშვნელობა ენიჭება ამ კუთხით რადიოაქტიური ნარჩენების უსაფრთხო განთავსებასაც. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი მხარს უჭერს გერმანიაში არსებული სამეცნიერო, ტექნოლოგიური და უსაფრთხოების კომპეტენციების შენარჩუნებას. მხოლოდ ასე შეძლებს გერმანია საკუთარი წვლილის შეტანას ატომური ელექტროსადგურის დანადგარების უსაფრთხოების მთელ მსოფლიოში მუდმივ გაუმჯობესებასა და, იმავედროულად, ს გერმანიაში სამუშაო ადგილების შექმნაში.
249. ენერგეტიკის დარგში არსებული გამოკვლევები და ნოვატორული ენერგეტიკული ტექნოლოგიები მომავალზე ორიენტირებული ენერგომომარაგებისთვისაა აუცილებელი. გვინდა, ხელი შევუწყოთ ენერგეტიკის სფეროს ფართო და გახსნილ გამოკვლევებსა და ტექნიკურ განვითარებას, რომელსაც დიდი წვლილი აქვს ყველა ეკოლოგიურად სუფთა ენერგორესურსის, ენერჯის გამომუშავების შემდგომი განვითარებისა და რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეში. მასვე განეკუთვნება თანამედროვე ეკოლოგიურად სუფთა ნახშირისა და გაზის ელექტროსადგურები და თერმობირთული დარგის გამოკვლევები. ჩვენი საწარმოების ზრდის შესაძლებლობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ეკონომიური პროდუქციის შემუშავებასა და მომსახურების სფეროზე დამოკიდებული.
250. ენერგორესურსებზე ფასების ზრდის შესაჩერებლად გვინდა, ხელი შევუწყოთ ჯანსაღ კონკურენციას ელექტრო-ენერჯისა და გაზის ბაზარზე. ამიტომაც, მხარს ვუჭერთ კონკურენციის შეზღუდვის შემცირებასა და თავისუფლად ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის დაჩქარებულ ჩამოყალიბებას ელექტროენერჯითა და გაზით ვაჭრობისთვის ევროპის ეკონომიკურ სივრცეში.

### ჩამოყალიბე მობილურობა გარემოს დაცვაზე ზემოქმედების კუთხით

251. მობილურობა თანამედროვე საზოგადოების ძირითადი მოთხოვნა და ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის წინაპირობაა. ეს მოთხოვნა ისე უნდა დაკმაყოფილდეს, რომ არც გერმანიის განვითარება შეფერხდეს და არც ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობას შეექმნას საფრთხე.
- მხარს ვუჭერთ გარემოს დაბინძურების შემცირებას ყველა სატრანსპორტო სფეროში და ხელს ვუწყოთ განვითარების შესაბამის პროცესებს. გვინდა, შევამციროთ სატრანსპორტო ხმაური და ჰაერის დაბინძურება. ჩვენი არჩევანია გონივრული სატრანსპორტო მოძრაობის მართვის ღონისძიებები, მაგნე ნივთიერებათა ზღვრის გონივრული შემცირება, მაგნე ნივთიერებათა გამონაბოლქვის არმქონე ავტომობილებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება, საჰაერო ტრანსპორტის ჩართვა მაგნე გამონაბოლქვებით ვაჭრობაში და ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაძლიერება. ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალებათა ჭრილში დიდი მნიშვნელობა აქვს, აგეთვე, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებას. ამასთან, ჩვენ მხარს ვუჭერთ ეკონომიური, ტექნიკური საშუალებების შემდგომ განვითარებასა და ხელს ვუწყოთ ალტერნატიული საწვავის შექმნას.
252. ეკოლოგიურად ნამდვილი ჩარჩო-პირობებითა და საბაზრო ეკონომიკის სახსრებით გვინდა, კლიმატურ პირობებზე საჰაერო, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტის ზემოქმედების ფაქტორის ამაღლება. აუცილებლად მიგვაჩნია ახალი ავტომობილების CO<sub>2</sub> გამონაბოლქვის

შემცირება გაუმჯობესებული ძრავებით, ბიო-საწვავის გამოყენებითა და სხვა ჩანაფიქრების განხორციელებით. გვინდა, ასევე მკვეთრად შევამციროთ ყველა ავტომობილის მიერ საწვავის ხარჯვა, რადგან ეს თანაბრად დაზოგავს გარემოსა და მომხმარებელთა ჯიბეს.

### **ბუნების მრავალფეროვნების დაცვა**

253. მთელს მსოფლიოში მიმდინარე ბუნების მრავალფეროვნების დრამატული მკვეთრი კლების გამო მხარს ვუჭერთ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას გარემოსა და ბუნების დაცვის სფეროებში. გვინდა, ხელი შევუწყოთ განვითარებად ქვეყნებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მათ ორიენტირებულ გამოყენებაში, ასევე შემდგომშიც განვავითაროთ ბიოლოგიური მრავალფეროვნების წარმატებით დამცავი მექანიზმები. პრიორიტეტულია ნაკრძალებისა და მრავალმიზნობრივი გამოყენების ტერიტორიების ევროპული და მსოფლიო სისტემის, როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო მსოფლიო ქსელის ჩამოყალიბება. ამ კონტექსტშიც მხარს ვუჭერთ გაერთიანებული ერების გარემოს დაცვის დამოუკიდებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ამასთან, ვლობირებთ საერთაშორისო სამართლებრივად სავალდებულო ნორმის შემოღებას ტყეების, განსაკუთრებით კი, ბუნებრივი ხელუხლებელი ტყის დასაცავად.

### **ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა**

254. მთელი კაცობრიობის პატივისცემა ჩვენს „უმცროს ძმებზე“ სრული პასუხისმგებლობით ზრუნვას გავავლდებულვებს. ამდენად, ცხოველთა დაცვა ჩვენი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ამიტომაც, მხარს ვუჭერთ ცხოველთა ნაირსახეობების დაცვასა და მათ, როგორც ღმერთის ქმნილებათა ნაწილის პატივისცემასა და დაცვას. მაქსიმალურად უნდა შემცირდეს და ალტერნატიული მეთოდებით შეიცვალოს ცხოველებზე ცდების ჩატარება.

### **ჩვენი ბუნების მემკვიდრეობა – ჩვენი სამშობლოს ნაწილი**

255. გერმანიის ბუნებისა და კულტურის მრავალმხრივი ლანდშაფტი ჩვენი სამშობლოს განსაკუთრებით ფასეული ნაწილია. ამიტომაც გვინდა ბუნების ამ მდიდარი ეროვნული მემკვიდრეობის მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება.

256. ნიადაგსა და დაუსახლებელ ტერიტორიებს, როგორც ამოწურვად რესურსებს, განსაკუთრებული დაცვა და მოფრთხილება სწორედ გერმანიისნაირ მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში ესაჭიროება. ტერიტორიული მარაგის გამოყენება, განსაკუთრებით კი განაშენიანების დარგში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა ქალაქის ცენტრებში, მწვანე ტერიტორიების გამოყენებასთან შედარებით პრიორიტეტული უნდა იყოს. უნდა შემცირდეს ტერიტორიების გამოყენება, რაშიც ჩვენი პოლიტიკა ჩარჩო-პირობების შექმნით დიდ წვლილს შეიტანს.

### **3. სოფლისა და სოფლის მეურნეობის მომავალი განვითარებისთვის**



257. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი მხარს უჭერს მთელ გერმანიაში სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის ქმედითი სისტემების არსებობას. ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითადი აქცენტი მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტების წარმოებაზე მოდის. ფერმერები და მეტყვევები ასევე მნიშვნელოვან ნედლეულსა და განახლებად ენერჯის აწარმოებენ. ათწლეულების მანძილზე ზრუნავენ ისინი ჩვენს კულტურულ ლანდშაფტზე და ხელს უწყობენ სოფლის აღორძინებას და ამას ადამიანის, ცხოველის, ბუნებისა და გარემოსთვის პასუხისმგებლობის სრული გაცნობიერებით აკეთებენ. ისინი არიან სახელოსნო პროფესიისა და სამეწარმეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი დამკვეთნი. იმავედროულად, სოფლის მეურნეობა და მეტყვეობა დასვენების, თავისუფალი დროისა და ტურიზმის საფუძველიცაა.
258. მიწის კერძო საკუთრება რესურსების დაცვისა და დაზოგვის კუთხით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ადამიანის პასუხისმგებლობა და იდენტიფიკაცია საკუთარ ქონებასთან სახელმწიფო ფუნქციებზე უფრო მნიშვნელოვანია. თუმცა შეუმჩნეველი არც დარჩეს გარემოსა და ბუნების დაცვის კუთხით საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოები უნდა დარჩეს. ისინი პრიორიტეტულად სახელშეკრულებო შეთანხმებების მეშვეობით უნდა შესრულდეს.
259. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის იდეალია მრავალფუნქციური და მეწარმეობაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობა, რომელიც აღიარებს საკუთარ გლესურ ფესვებსა და, იმავედროულად, ხელს უწყობს შემოქმედებით ნიჭსა და ნოვაციებს. ამიტომაც, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად შეიკავოს თავი აგრარული ბაზრის მართვისგან და თავიდან აიცილოს ბიუროკრატია და ზედმეტი ნორმები. ბაზარზე ორიენტაცია, შემოქმედებითი ნიჭი, მაღალკვალიფიციური უმაღლესი განათლება და მართვის კარგი უნარი სადღეისოდ როგორც არასდროს, ისეთი საკვანძო უნარ-ჩვევებია. სწორედ ასე გვსურს ფერმერებისა და მეტყვევების გაძლიერება. ამასთან, ჩვენ არ განვასხვავებთ საწარმოო ფორმებსა და პროდუქციის მიმდინარეობებს, კონვენციონალურ და ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობის პროდუქციას შორის. გერმანიის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მრავალმხრივობა და ბაზარზე ორიენტაცია ნიშნავს, რომ ჩვენ როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალურ ბაზრებზე უნდა ვიყოთ წარმოდგენილი.
260. გვინდა, ევროპის აგრარული პოლიტიკის ფარგლებში გავაუმჯობესოთ ფერმერთა პროდუქციისა და სამუშაო პირობები. ჩვენი მიზანი ევროპულ და საერთაშორისო აგრარულ ბაზრებზე კონკურენტუნარიანი პირობების შექმნაა. ამდენად, ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, რომ ევროკავშირმა მისი სამართლებრივი ჩარხო პირობების ჰარმონიზაცია გარემოს, ბუნების მომხმარებელთა და ცხოველთა დაცვის ასპექტების საერთაშორისო დონეზე შეთანხმება-გათვალისწინებით მოახდინოს.
261. გვინდა, სიცოცხლით აღსავსე სოფლის გარემოს შექმნა, რადგან ეს ეკონომიკის, კულტურის, ბუნებისა და დასვენების ადგილებია. ამ ადგილებს განვითარების ისეთი პერსპექტივები ესაჭიროება, რომლებიც იქ მცხოვრებ ადამიანებს ცხოვრების, განათლებისა და შრომის კარგ შესაძლებლობებსა და პირობებს შეუქმნის. ჩვენს თვალსაწიერში განსაკუთრებულად მოიაზრება სტრუქტურულად ნაკლებად განვითარებული რეგიონები, რომლებიც შემდგომშიც საჭიროებს სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარების

ხელშეწყობასა და მათი ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერების მხარდაჭერას.

262. ულვეი ნედლეულის მოპოვება და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენება სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის ფარგლებს გარეთაც ახალი ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ დინამიური განვითარების დიდ შესაძლებლობებს გვთავაზობს. ამ მხრივ მომავალშიც გვსურს სოფლის მეურნეობის დარგში გერმანიის წამყვანი როლის გაძლიერება.
263. მწვანე გენტექნიკა მომავალში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც საკვები პროდუქციით, ისე ენერჯით უზრუნველყოფის საქმეში. ეკონომიკური განვითარების ჭრილში უსაფრთხოება პრიორიტეტული საკითხია. საფუძვლიანად უნდა იყოს გამოკვლეული მწვანე გენტექნიკის ნედლეულის ეფექტურად გამოყენების, მისი უზრუნველყოფისა და ენერგომცენარეთა საწარმოებლად მოხმარება. წარმატებული გამოკვლევის შემდეგ, გერმანიაში ახალი პროდუქციის პრაქტიკული დანერგვაც უნდა მოხდეს.
264. ასევე გვინდა, აქტიურად შევუწყოთ ხელი მულტიფუნქციური სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომლის დროსაც, მოშენებასთან ერთად, რეგიონალური ეკონომიკური წრეების მეშვეობით პროდუქციის გადამუშავება და რეალიზაციაც უნდა მოხდეს.

## VII. აქტიური მოქალაქე, აქტიური სახელმწიფო, მსოფლიოსთვის გახსნილი ქვეყანა

### 1. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება – კერძო ინიციატივების ხელშეწყობა

265. ჩვენი თავისუფალი და დემოკრატიული მართლწესრიგი და მისი პოლიტიკური ინსტიტუტები სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიის საფუძველს ქმნის. ჩვენი მიზანი ამ მართლწესრიგის აღიარებისა და ავტორიტეტის პერმანენტული ხელშეწყობაა. სწრაფი ცვლილებების სამყაროში ჩვენი ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, რომ მოქალაქეებმა სხვებზე პასუხისმგებლობა იტვირთონ და ეს მათი პირადი და საზოგადოებრივი თავისუფლების დამოვლინებად აღიქვან. ჩვენი დიდი სურვილია, მოქალაქეებსა და სახელმწიფოს ერთმანეთთან პარტნიორული და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ჰქონდეთ. გვინდა, გვექონდეს ისეთი სახელმწიფო, რომელიც თანადგომას უწევს მოქალაქეს, რომელიც უზრუნველყოფს, ეხმარება და მეტ თავისუფლებასა და შესაძლებლობას აძლევს შედარებით სუსტ რგოლს.
266. მოქალაქის დემოკრატიული მონაწილეობა არჩევნებსა და კენჭისყრაში, ასევე მოქალაქეობრივი აქტიურობის სხვა მნიშვნელოვანი ფორმებით გამოხატება. ჩვენი ქმედითი დემოკრატია საჭიროებს ნებაყოფლობით და უსასყიდლო აქტიურობას საზოგადოების კეთილდღეობისთვის და იმედი აქვს მისი აქტიური მოქალაქეებისა.
267. მოქალაქეობრივი აზროვნება საზოგადოების ერთიანობას წარმოშობს. მოქალაქეთა მონაწილეობა აუცილებელი კომპონენტია. ყველას აქვს გარკვეული სახის უნარ-ჩვევები, რომლებსაც საზოგადოების გამდიდრება შეუძლია. ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია საზოგადოების კეთილდღეობაზე. მოქალაქეობრივი აზროვნება და პასუხისმგებლობის გრძნობა ყველაზე უკეთ ქორწინებასა და ოჯახში, ეკლესიაში, სამსახურში, გაერთიანებებსა თუ კავშირებში, მოქალაქეთა ინიციატივებში, ასევე მუნიციპალიტეტებსა და სახელმწიფო დონეზე ვლინდება.

268. ჩვენი საზოგადოება ძალიან ჩამორჩებოდა მოქალაქეთა საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული აქტიურობის გარეშე. ადამიანებს, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას საზოგადოებრივ საწყისებზე, აქვთ ნებაყოფლობითი სოციალური სამუშაო ან სამოქალაქო პროექტები და აფინანსებენ მათ, ხელშეწყობა უნდა ჰქონდეთ და გარკვეული ნორმებითა და პრინციპებით არ უნდა შეფერხდნენ.
269. გვინდა, გვყავდეს ისეთი მოქალაქეები, რომლებიც გახსნილნი არიან სამოქალაქო აქტიურობისთვის და მზად არიან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის ასაღებად. საზოგადოებრივი საქმიანობის ბირუბმა და ნებაყოფლობითი დასაქმების სააგენტოებმა მხარი უნდა დაუჭირონ და ორგანიზება გაუკეთონ ნებაყოფლობით საქმიანობას. ჩვენ საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობისა და ნებაყოფლობითი წლის პროფესიულ ბიოგრაფიებში აღიარებას მოვითხოვთ.
270. ბევრმა ადამიანმა, მათ შორის განსაკუთრებით მეწარმეებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენს კეთილდღეობაში. გვინდა, მხარი დაუჭიროთ მათ ძალისხმევას საფონდო და საგადასახადო სამართლის ნორმების ხელშეწყობითა და ასევე საზოგადოებრივ საწყისებზე გაწეული საქმიანობისთვის.
271. გაერთიანებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თუ ჯგუფები ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ და თავისუფალ ნაწილს წარმოადგენს. ისინი თავიანთ ამოცანებს მათივე კეთილდღეობის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვარვენ და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ განხილვებს მართავენ.

## სპორტი და ფიზიკულტურა

272. სპორტი გვაერთიანებს, გვანათლებს, გვააქტიურებს, აღგვაფრთოვანებს და ახდენს ინტეგრაციას. სპორტი ხელს უწყობს ისეთი ჰუმანური ფასეულობების ჩამოყალიბებას როგორცაა ტოლერანტობა, სამართლიანობა, მიღწევები, კონკურენცია, პასუხისმგებლობა საკუთარი შესაძლებლობების შეცნობა და სხვათა პატივისცემა. სწორედ ამგვარად უწყობს ხელს სპორტი უფრო მშვიდობიანი და უკეთესი მსოფლიოს ჩამოყალიბებას.

სპორტი არის ქვეყნის სიმპათიის ობიექტი. სპორტის გაშუქება მასმედიის საშუალებებში მას თითოეული ადამიანისთვის ხელმისაწვდომს ხდის. სპორტი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს და ქმნის სამუშაო ადგილებს. ჩვენი სპორტის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება მთლიანი კულტურის ფარგლებში სპორტის მდგრადი მხარდაჭერა, მისი დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებაა.

კავშირები გერმანული სპორტის საფუძველს წარმოადგენს. ჩვენი სპორტის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზანია გაერთიანებათა და საზოგადოებრივ საწყისებზე დასაქმებულ ადამიანთა საიმედო ხელშეწყობაა. სპორტი, მოძრაობა და კვება ჯანმრთელობის შენარჩუნების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია. თითოეული ადამიანის მიერ საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა წინასწარი ზრუნვის კუთხით სხვადასხვა სტიმულით უნდა გაძლიერდეს. სპორტითა და მოძრაობით მიღებული პრევენციული ზომები ჩვენს სოციალურ სისტემას განტვირთავს.

სპორტული დაწესებულებები და სპორტის მრავალმხრივი ინფრასტრუქტურა აუცილებელი წინაპირობებია აქტიური სპორტული ცხოვრების აუცილებელი წინაპირობებია.

## **მაღალი მიღწევებისა და მასობრივი სპორტის გონივრული ხელშეწყობა**

273. ჩვენ სპორტში წარმატებების პრინციპს, უმაღლესი მიღწევების ჰუმანურ სპორტს ვაღიარებთ. უმაღლესი მიღწევების სპორტს მასობრივი სპორტისთვის მნიშვნელოვანი, სამაგალითო ფუნქცია აქვს. სპორტის ხელშეწყობა გერმანიის შეიარაღებულ ძალებში, პოლიციასა თუ საბაჟო სამსახურებში, უმაღლესი მიღწევების სპორტის განვითარების კუთხით უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც არსებული მოცულობით უნდა შენარჩუნდეს. ეკონომიკის დარგმაც უნდა შესთავაზოს მაღალი წარმატებების მქონე სპორტსმენებს პროფესიული პერსპექტივები.

ნიჭიერი თაობების მიზანმიმართული და სისტემატური ხელშეწყობა სპორტული, სასკოლო და პროფესიული განათლების კუთხით შეთანხმებული და კოორდინირებული უდა იყოს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ელიტარული სპორტული სკოლების შექმნას.

უნარშეზღუდული ადამიანების წარმატებები აღფრთოვანებას იწვევს განურჩევლად იმისა, იქნება ეს მაღალი წარმატებებისა თუ მასობრივი სპორტის სფერო და შეუზღუდავი ნებისა და შესაძლებლობების გამოვლინებას წარმოადგენს. სპორტი და მოძრაობა აძლიერებს პირად შესაძლებლობებს, თვითდაჯერებას, ამარტივებს ტერიტორიულ და სოციალურ მობილურობასა და ნამდვილ სასიცოცხლო დახმარებას.

უნდა გავაფართოოთ უნარშეზღუდული ადამიანების შესაძლებლობები და სტიმული, რათა ისინიც მისდევდნენ სპორტს. ასევე უნდა უზრუნველვყოთ მათთვის სპორტული დაწესებულებების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა.

## **დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა**

274. დოპინგი ანგრევს სპორტის ძირითად ფასეულობებს, ატყუებს ტურნირის კონკურენტებს, მაყურებელს და ბოლოს საფრთხეს უქმნის თავად სპორტსმენის ჯანმრთელობასაც. მაღალი მიღწევების სპორტის აღიარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დოპინგის წინააღმდეგ სარწმუნო და წარმატებულ ბრძოლაზე.

დოპინგს ვხვდებით ასევე ფიტნესისა და დასასვენებელ კლუბებშიც. მის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია სპორტის პოლიტიკის, ეკონომიკის, მასმედიისა და მთელი საზოგადოების საშუალებით.

## **2. ძლიერი სახელმწიფოსთვის: მოქალაქეთა თავისუფლება და უსაფრთხოება**

275. ჩვენი სახელმწიფო ემსახურება ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას და საკუთარ ავტორიტეტს განსაკუთრებით ძირითად უფლებებზე აფუძნებს. მან ხელი უნდა შეუწყოს ნებისმიერი ადამიანისა თუ

- საზოგადოების ერთიანობას. დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს უფლება ვალდებულებისა და თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე.
276. სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებაა. მან საკუთარი მოქალაქეები საგარეო და საშინაო საფრთხეებისგან უნდა დაიცვას თავისუფლებისა და მშვიდობისთვის აღებული ვალდებულებები შეასრულოს. მან ნებიმიერ პირს თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა უნდა მისცეს, გააძლიეროს სუსტები და იზრუნოს რისკის იმ სოლიდარულ ფაქტორებზე, რასაც ცალკეული პიროვნება ვერ შეამცირებს. ამასთან, სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს ადამიანთა თანაცხოვრებისთვის საჭირო მართლწესრიგი, და ასევე დაიცვას საზოგადოებრივი პოტენციალის თავისუფლება და მრავალმხრივობა. მან უნდა შეინარჩუნოს ცხოვრების ბუნებრივი პირობები მომავალი თაობებისთვის და ხელი შეუწყოს კაცობრიობის განვითარებას.
277. სახელმწიფომ რომ მის ძირითად ამოცანებზე კონცენტრირება მოახერხოს, დაუშვებელია, რომ მან არ უნდა დაუშვას ისეთი მოთხოვნები ან ამოცანები, რომელთა განხორციელებაც საკუთარი პასუხისმგებლობის, თავისუფლებისა და სუბსიდიურობის პრინციპებს ეწინააღმდეგება. ქმედითი საჯარო სამსახური საიმედო სახელმწიფო ინფრასტრუქტურის წინაპირობაა, ხოლო პროფესიულ მოხელეთა ინსტიტუტი სუვერენულ ამოცანათა შესასრულებლად აუცილებელი. გვინდა, ძლიერი და ქმედითი სახელმწიფო გვქონდეს.

### თავისუფლება ღმერთისა და ადამიანების წინაშე აღებული პასუხისმგებლობით

278. ჩვენი თავისუფალი სახელმწიფო სულდგმულობს წინაპირობებით, რომლებსაც ის თავად ვერ უზრუნველყოფს. სახელმწიფო ვერ დააწესებს ფასეულობებს. ეს უფრო მეტად საზოგადოებრივი მსჯელობის საგანია, რომლის საფუძველზეც წარმოიშვება თავისუფლება და პასუხისმგებლობა.
279. ჩვენ ვაღიარებთ კონსტიტუციის პრემამბულას და მასთან ერთად ღმერთისა და ადამიანების წინაშე ჩვენს პასუხისმგებლობას. კონსტიტუცია ეფუძნება იმ ფასეულობებს, რომელთაც აქვთ ქრისტიანული ფესვები და რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების ჩამოყალიბებას. მათი ცნობიერად შენარჩუნება, დაცვა და გამოყენება, ჩვენი აზრით, არის არა ქრისტიანული ეკლესიების ამოცანა, არამედ სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების უპირველესი ვალდებულება. ქრისტიანული სიმბოლოები სახელმწიფო დონეზე ისევე უნდა შენარჩუნდეს, როგორც, მაგალითად, ქრისტიანული საფუძვლის მქონე კვირა და დასვენების დღეები.
280. იმავედროულად ვაღიარებთ, რომ სხვა რელიგიებსაც აქვთ ფასეულობები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ჩვენს საზოგადოებასა და თავისუფალ მართლწესრიგზე. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა რელიგიურ მიმდინარეობას, თუმცა იგივეს ველით სხვადასხვა რელიგიის ყველა წარმომადგენლისგანაც. განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ გერმანიაში ებრაული სათვისტომოს მიმართ, რადგან ის ჩვენი კულტურისა და საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ისინი თავიანთი საზოგადოებრივი აქტიურობით ხელს უწყობენ გერმანიის ავტორიტეტის გაზრდას მთელ მსოფლიოში.
281. ვაღიარებთ ქრისტიანული ეკლესიებისა და ტრადიციული რელიგიური გაერთიანებების თვითმყოფადობასა და დამოუკიდებლობას. ჩვენთვის

სწორედ ისინი წარმოადგენენ კეთილდღეობის და პასუხისმგებლობის წინაპირობას. ამიტომაც, მხარს ვუჭერთ საეკლესიო გადასახადების გაზრდის არსებულ სისტემას. ამასთან, კვლავინდებურად ხელშეუხებელი უნდა დარჩეს ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის თავისუფლება. ჩვენი თავისუფალი მართლწესრიგი თავისუფალი აღმსარებლობის უფლებას უზრუნველყოფს. ჩვენ ველით მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისა და მთავრობებისგან, რომ ისინიც უზრუნველყოფენ საკუთარ ქვეყნებში რელიგიის თავისუფლებას. მხარს ვუჭერთ რელიგიათა შორის მუდმივ დიალოგს.

## თავისუფალი და დემოკრატიული მართლწესრიგი

282. გერმანიაში ადამიანთა თანაცხოვრების საფუძველი კონსტიტუციაში გამაგრებული ძირითადი ფასეულობებია. ჩვენი ერთი დემოკრატიულ, თავისუფალ, სოციალურ, ფედერალურ და სამართლებრივ სახელმწიფოში ამ დამკვიდრებული ფუნდამენტის საფუძველზე გაერთიანდა.
283. ჩვენ ვაღიარებთ წარმომადგენლობით დემოკრაციას, რომელიც აერთიანებს პოლიტიკურ მმართველობასა და დემოკრატიულ პასუხისმგებლობას. წარმომადგენლობითი დემოკრაცია არ გამოირიცხავს პირდაპირი დემოკრაციის კომპონენტების არსებობასაც, რომელთაც წარმომადგენლობითი სისტემის რეგიონულ დონეზე გონივრულად განვრცობა შეუძლიათ.
284. ჩვენ ვცხოვრობთ განსხვავებული მსოფლმხედველობის, მოსაზრებებისა და ინტერესების საზოგადოებაში. ამისთვის კი აუცილებელია დემოკრატიული ნების არსებობა, რომლის პირობებშიც დაპირისპირებული აზრები და ინტერესები უმრავლესობის პრინციპით ისე დაჯგუფდება, რომ, უმცირესობის აზრიც გათვალისწინებული იქნება. უმრავლესობის პრინციპი უმცირესობათა დაცვის საკითხს უკავშირდება.
285. პოლიტიკური პარტიები განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობენ სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ისინი ეხებიან საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებს, მონაწილეობენ პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაში და ხელს უწყობენ მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში. ისინი თავიანთ დავალებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებენ, როდესაც მოქალაქეთა ნდობას მოიპოვებენ და თავიანთ საბოლოო გადაწყვეტილებას საფუძველად საქმიან და პირად წინადადებებს დაუდებენ. აზრის ჩამოყალიბება და სამუშაო პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს.

სახალხო პარტიები გერმანიაში ნებისმიერ ადამიანს მიმართავენ. ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს, როგორც ცენტრისტულ სახალხო პარტიას, განსაკუთრებით შესწევს განსხვავებული ინტერესებისა და საზოგადოების მოთხოვნილებების შეჯწობის უნარი.

286. ჩვენი თავისუფალი საზოგადოების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია მასმედიის თავისუფლება და პასუხისმგებლობა. მასმედია ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და კონტროლს უწევს ხელისუფლების ქმედებებს. მისი წინაპირობა დამოუკიდებლობა და მრავალმხრივობაა.

## თავისუფლება და უსაფრთხოება სამართლებრივ სახელმწიფოში

287. თავისუფლების უზრუნველყოფა და ადამიანთა თანაცხოვრების მოწყობა სამართლის კომპეტენციაა. სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელება სამართლებრივ სახელმწიფოში სამართლისა და კანონისადმი მორჩილებას ექვემდებარება. სამართალი უწესებს ჩვენს საზოგადოებას მოქმედების გარკვეულ ფარგლებს. ის ეფუძნება ფასეულობებს და აწესებს ფარგლებს იქ, სადაც ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას საფრთხე ემუქრება. ჩვენი სამართლებრივი სახელმწიფო სამართლებრივ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.
288. თავისუფლება და უსაფრთხოება ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებებია. ეს ორი ფაქტორი ერთმანს კი არ გამორიცხავს, არამედ განაპირობებს. სახელმწიფოს სუვერენული მოთხოვნიდან, განახორციელოს ძალაუფლების მონოპოლია, გამომდინარეობს მისი ვალდებულება: უზრუნველყოს თავისუფლება და უსაფრთხოება. სახელმწიფო, რომელიც ვერ იცავს თავს მტრისგან, ვერც საკუთარ მოქალაქეთა თავისუფლებას უზრუნველყოფს. ამიტომაცუნდა ვუფრთხილდეთ არატოლერანტობის, ექსტრემიზმისა და ძალადობის ნებისმიერი გამოვლინებას. არატოლერანტობის მიმართ ტოლერანტობა არ უნდა გამოვიჩინოთ. ექსტრემისტულად მოტივირებული და განწყობილი ძალადობის მწარე გამოცდილების ფონზე სრულად გვაქვს გაცნობიერებული ჩვენი უდიდესი პასუხისმგებლობა მემარჯვენე თუ მემარცხენე ექსტრემისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლაში.
289. მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელი წინაპირობა სისხლის სამართლის დანაშაულებათა თავიდან აცილება, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის საფრთხეებისგან დაცვა, დანაშაულებათა და გადაცდომათა გამოვლენა და სათანადოდ დასჯაა. დანაშაულის თავიდან აცილება მთელი საზოგადოების ამოცანაა. ამიტომაც, ოჯახმა და სახელმწიფომ, მასმედიის მხარდაჭერით, ერთობლივად უნდა იბრძოლონ განსაკუთრებით მოხარდთა და არასრულწლოვანთა შორის ძალადობისა და დანაშაულის წინააღმდეგ, რომლის მიზეზებიც არშემდგარი ინტეგრაცია, არასათანადო ქცევა და უპერსპექტივობაა. ჩვენს სახელმწიფოს მხოლოდ ის ენდობა, ვისაც საკუთარი და ოჯახის უსაფრთხოების, საკუთრების დაკარგვის შიში არ აქვს. ის, ვინც უგულვებელყოფს უსაფრთხოებას, საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს დანიშნულებას.
290. კრიმინალის სათანადოდ შეუფასებლობა არასწორი გზაა. ის, ვინც არღვევს კანონს და ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების ძირითად ფასეულობებზე დაფუძნებულ მართლწესრიგს, სათანადოდ უნდა დაისაჯოს. კრიმინალისგან პოლიცია და სასამართლო გვიცავს. ქმედითმა დემოკრატიაში შესაძლებლობა უნდა მისცეს სახელმწიფო ორგანოებს, კანონის ფარგლებში და აუცილებელი ტაქტიკის მოშველიებით აწარმოონ კრიმინალთან ბრძოლა და საამისოდ აუცილებელი ინფორმაციაც მოიძიონ. მონაცემთა დაცვა და კრიმინალთან ნამდვილი ბრძოლა უთუოდ ჰარმონიულად უნდა ხდებოდეს. მონაცემთა დაცვა ბოროტმოქმედთა დაცვად არ უნდა იქცეს.
291. იზრდება საერთაშორისო ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხე. ამიტომაც, მოქალაქეები დაცული უნდა იყვნენ. უნდა გაფართოვდეს სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს საერთაშორისო თანამშრომლობა. ფარგლებს გარეშე არსებული დანაშაული ერთობლივად, უსაზღვრო სამართლით უნდა დაიძლიოს.
292. პოლიტიკური და ტერორისტული ისლამიზმი, რომელიც ისლამის რადიკალურ განმარტებას ჩვენს კონსტიტუციაზე მაღლა აყენებს,

გერმანიის მოქალაქეების, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები კანონმორჩილი მაჰმადიანებისთვისაც განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ კვლავინდებურად შევუწყობთ ხელს ყველა დემოკრატი ადამიანის საზოგადოებრივ თანაარსებობას მისი რელიგიური აღმსარებლობისდა მიუხედავად და გაგაგრძელებთ ბრძოლას ძალადობრივი ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ.

293. შიდა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომელმაც ახალი გამოწვევების გამო გლობალური განზომილება შეიძინა, აუცილებელია პოლიციის გაძლიერება. ქმედითი თანამშრომლობა უნდა ჰქონდეთ შიდა და საგარეო უსაფრთხოების მექანიზმებს და ორგანოებს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ფარგლებში უნდა გაუმჯობესდეს ფედერალურ, სამხარეო და მუნიციპალურ დონეებს შორის თანამშრომლობა.

მსგავსი კონცეფციის შემადგენელი ნაწილია გერმანიის შეიარაღებული ძალებიც, რომლებიც ასევე უწყობს ხელს სამშობლოს დაცვის უზრუნველყოფას. მათი გამოყენება განსაკუთრებული საფრთხის შემცველ სიტუაციებში უნდა ხდებოდეს. გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა კანონის ფარგლებში უნდა აღმოუჩინონ დახმარება პოლიციის ფედერალურ თუ სამხარეო ორგანოებს და ტერორისტული საფრთხეების აღმოფხვრისა თუ ბუნებრივ მოვლენებთან ბრძოლის განსაკუთრებული უნარი გამოავლინონ.

## ბიუროკრატიის შემცირების ხელშეწყობა

294. ვეწინააღმდეგებით ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ადამიანის ყველა სასიცოცხლო სფეროს მოწესრიგებას საკუთარ თავზე იღებს. ჩვენ კანონის გადამეტებული მოწესრიგების, მმართველობის სფეროს ზედმეტი განკარგვისა და გადამეტებული ბიუროკრატიის წინააღმდეგ ვართ. სამოქალაქო თავისუფლება და სოციალური საბაზრო ეკონომიკა ნორმების მორევში არ უნდა ჩაიხრჩოს. არსებული კანონები და ნორმები მათი შემდგომი მოქმედების მიზანშეწონილობის კუთხით სისტემატურად უნდა შემოწმდეს. კანონმდებელმა უნდა შეამოწმოს და დაასაბუთოს ახალი კანონებისა და დებულებების არსებობის აუცილებლობა. მოქმედებს პრინციპი: იმ შემთხვევაში, თუ არ არის სავალდებულო ახალი კანონის მიღება, მაშინ მისი არმიღებაც სავალდებულო უნდა იყოს. მარტივი დებულებები და ნორმატიული აქტები მომავალში მხოლოდ დროში შეზღუდულად უნდა ამოქმედდეს. კანონი უნდა იყოს გასაგები და მაქსიმალურად მოკლე. კვლავინდებურად უნდა გაუმჯობესდეს სამართლის გამჭვირვალობა და სისტემატურობა. ასევე უნდა გამარტივდეს ადმინისტრაციული პროცესები და სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურები, გაფართოვდეს ელექტრონული პროგრამების გამოყენება.

295. ბიუროკრატიის შემცირება მიზნის განსაზღვრით უნდა იწყებოდეს: ზედმეტი ბიუროკრატიის შემცირება და მისი მოქალაქეთა ინტერესებზე ორიენტირებული ქმედითი მმართველობით ჩანაცვლება სახელმწიფოს ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. მოქალაქეებს შეუძლიათ და უნდათ, იმაზე მეტი საერთო ჰქონდეთ ჩვენს სასზოგაოებასთან, ვიდრე მათ ამის უფლებას სახელმწიფოს კომპეტენციათა გამიჯვნის გაუმჭვირვალე და ჩახლართული სისტემა აძლევს. ჩვენ ყველა სახელმწიფო დონეზე, მათ შორის, ევროპულ დონეზეც ცალსახა კომპეტენციებისა და მმართველობის



სფეროების მომხრე ვართ. მთავარი ბიუროკრატის შესამცირებლად ყველა დონეზე ყველაფრის გაკეთებაა.

## ეფექტური მართლმსაჯულება და ქმედითი სასჯელადსრულება

296. დამოუკიდებელი სასამართლო ჩვენი სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია. ის მოქალაქეს თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან იცავს და ზრუნავს იმაზე, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ შეძლოს საკუთარი უფლებების დაცვა.

სამართალწარმოების გაჭიანურება სამართლებრივი მშვიდობის გამყარებას აფერხებს. გვინდა, შევინარჩუნოთ და მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ სასამართლოსა და პროკურატურის ქმედუნარიანობა.

297. სასჯელადსრულების სისტემამ, პირველ რიგში, მოქალაქეთა უსაფრთხოების ინტერესი უნდა გაითვალისწინოს. ჩვენი მიზანი ყოფილი ბოროტმოქმედების საზოგადოებრივ პროცესებში დაბრუნებაა, თუმცა სახიფათო ბოროტმოქმედებისგან ჩვენი მოქალაქეებიც კვლავინდებურად უნდა დავიცვათ. უსაფრთხოება და რესოციალიზაცია კოლიზიური ცნებები როდია. რესოციალიზაცია უნდა დაემორჩილოს მოქალაქეთა კრიმინალისაგან დაცვის მიზანს. დაზარალებულის დაცვა დამნაშავის დაცვაზე მაღლა დგას.

## სოციალური სახელმწიფო

298. თავისუფალი, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ურთიერთგანპირობებულია. სამართლიანმა სოციალურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის ღირსეული ცხოვრების ჩარჩო-პირობები და დახმარება გაუწიოს მას გაჭირვების დროს. სოციალურმა სამართლიანობამ განსაკუთრებით სუსტები უნდა დაიცვას. სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემამ სახელმწიფოს დასუსტება არ უნდა გამოიწვიოს. მან ხელი უნდა შეუწყოს თითოეული ადამიანის ქმედუნარიანობას და მოითხოვოს მისი სოლიდარული აქტიურობა. აქაც სუბსიდიურობის პრინციპი მოქმედებს.

## ფედერალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა

299. გერმანიის ფედერალური მოწყობა კულტურული და ისტორიული ფაქტორების გამოვლინება, მისი მოქალაქეების მიერ სამშობლოსა და თვითმყოფადობის განცდაა. ფედერალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა ჩვენი სახელმწიფოს მოწყობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებია. გვინდა, შევინარჩუნოთ და კვლავინდებურად განვაფართოოთ ეს პრინციპები, რომლებიც ადამიანთა თავისუფლებასა და სახელმწიფო ძალაუფლების გადანაწილებას უზრუნველყოფს. ეს პრინციპები ასევე ხელს უწყობს ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების თავისებურებებისა და განსაკუთრებული ინტერესების განვითარებას. ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში ყოველდღიურად ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენად ქმედითია ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობა. ადამიანთა უშუალო გარემო სიცოცხლისუნარიანი აქტიურობით, ადგილობრივ დონეზე მისაღებ გადაწყვეტილებებში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით, ასევე მოქალაქეთა მხრიდან ჩვენი საზოგადოების

- კეთილდღეობის აღიარებით იმკვიდრებს თავს. ევროპეიზაციისა და გლობალიზაციის ჭრილში თვითმმართველი მუნიციპალიტეტები ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოსავალი წერტილია.
300. სახელმწიფო კომპეტენციები და ამოცანები მოქალაქეთა ჩართულობის ჭრილში ადგილობრივ დონეზე უნდა განხორციელდეს ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია. აუცილებელია მუნიციპალიტეტების საკმარისი თანხებით უზრუნველყოფა. ფედერაციას, ფედერალურ მხარესა და მუნიციპალიტეტს შორის კომპეტენციების გამიჯვნისას სუბსიდიურობისა და ... პრინციპებით უნდა ვისარგებლოთ.
301. ჩვენი ფედერალური მოწყობის მნიშვნელოვანი პრინციპია ასევე ფედერალურ მხარეთა მონაწილეობა ფედერაციის მართვასა და კანონმდებლობაში. იგივე ეხება ფედერალურ მხარეთა ერთმანეთთან თანამშრომლობასაც, რისი გაძლიერებაც გვსურს. გასაგები უნდა იყოს ასევე ფედერალურ სამხარეო თუ მუნიციპალურ დონეზე არსებული კომპეტენციები და პოლიტიკური პასუხისმგებლობა.
302. გლობალიზაციისა და ევროკავშირის გაფართოების ფონზე ფედერალიზმი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. გერმანია ფედერალური სტრუქტურებითა და მათთან დაკავშირებული გამოცდილებებით ევროპული ინტეგრაციის პროცესს ამკვიდრებს.

### 3. გერმანია, როგორც საინტეგრაციო ქვეყანა

303. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისთვის მიგრანტთა, განსაკუთრებით, მათ მეორე და მესამე თაობის შვილთა და მოზარდთა ინტეგრაცია საკვანძო პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. ჩვენთვის ინტეგრაცია მიგრანტთა პოლიტიკის დადებითი და წინწასული პროცესია. ამიტომაც, ხელი უნდა შევუწყოთ მიგრაციასა და ინტეგრაციას. ჩვენი პოლიტიკა გერმანიის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ინტერესებზე უნდა იყოს ინტეგრირებული. ის უნდა ითვალისწინებდეს მიგრაციის ევროპულ განზომილებას და აცნობიერებდეს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიმართ ჰუმანიტარულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.
304. გვინდა, განვახორციელოთ მიგრაციის კონტროლირებული პოლიტიკა იმ უმაღლესი განათლების მქონე, შრომისმოყვარე და ინტეგრაციის სურვილის მქონე ადამიანებისთვის, ვისაც ჩვენთან ცხოვრება, მუშაობა, ჩვენი ფასეულობების გაზიარება და ჩვენი ქვეყნის საკუთარ სამშობლოდ აღიარება სურს. გერმანია მიმზიდველი უნდა იყოს ასეთი ადამიანებისთვის. მათ ჩვენთვის მხოლოდ მოგება მოაქვთ.
305. კვლავინდებურად ვაცნობიერებთ ჩვენს ისტორიულ პასუხისმგებლობას გერმანული წარმომავლობის ჩვენი თანამოქალაქეების მიღების პოლიტიკის ჭრილში. ამასთან, მათი წარმომავლობის ადგილებში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლადაც ყველაფერს ვაკეთებთ.
306. გერმანია გახსნილი და ტოლერანტული ქვეყანაა, სადაც გერმანიის მოქალაქეები და მიგრანტები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ და საქმიანობენ. გერმანია ყოველთვის იღებდა ადამიანებს და ხშირ შემთხვევაში მათ ინტეგრირებსაც წარმატებით ახდენდა, რათა მათ თავიანთი უნარ-ჩვევები განევითარებინათ, სულიერად, კულტურულად თუ სოციალურად გაემდიდრებინათ ჩვენი ქვეყანა და ხელი შეეწყოთ მისი წინსვლისთვის. თავიანთი წარმატებებით მათ აღიარებაც ჰპოვეს. იმავდროულად, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უამრავ ადამიანს ჰუმანიტარული მოტივითაც მისცა თავშესაფარი, როგორც ეს ჩვენს,

ქრისტიანი ადამიანის სურათ-ხატზე დაფუძნებულ პასუხისმგებლობას შეესაბამება.

307. გერმანია არის საინტეგრაციო ქვეყანა. ინტეგრაცია, ზოგადად, გამიჯნული და გაცნობიერებული ძირითადი ფასეულობების საფუძველზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვასა და კულტურული მრავალმხრივობის აღიარებას ნიშნავს. ჩვენი ქვეყნისთვის ინტეგრაცია ასევე ნიშნავს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებასაც. ჩვენ ვეწინააღმდეგებით შეუკავშირებელ თანაცხოვრებას და პარალელურ საზოგადოებებს, რომლებშიც უარყოფილია ჩვენი მართლწესრიგი. ვისაც გერმანიაში ცხოვრება სურს, მან უნდა მიიღოს და აღიაროს ჩვენი თავისუფალი და დემოკრატიული მართლწესრიგის ფუნდამენტური ფასეულობები და ნორმები და, იმავდროულად, არც საკუთარ წარმომავლობასა და ფესვებზე თქვას უარი. კულტურული განსხვავებების უფლება არ არსებობს იქ, სადაც ირღვევა ადამიანის უფლებები და დემოკრატია. ეს კი განსაკუთრებით ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე ვრცელდება. ამაზე ყველა - როგორც მიმღები, ასევე მისაღები მხარეც უნდა შეთანხმდეს. ვინც ხანგრძლივი დროით იტყვის უარს ინტეგრაციაზე, მას გარკვეული სანქციები უნდა დაუწესდეს.
308. გერმანული ენის ცოდნა ინტეგრაციის გადამწყვეტი კრიტერიუმია. ცალსახა და გასაგები მოთხოვნები ჩვენთვის ბარიერს კი არა, საზოგადოებრივი ინტეგრაციის საფუძველს წარმოადგენს. ჩვენი პრინციპია: მოთხოვნა და მისი ხელშეწყობა. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ინტეგრაციის ყოველმხრივ ხელშეწყობის მომხრეა. ინტეგრაცია პოლიტიკის ყველა სფეროს ეხება.
309. წარმატებული ინტეგრაცია განაპირობებს ცალკეული პიროვნებების წინსვლას და, იმავდროულად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროს. მისი წინაპირობაა ყველას თანამშრომლობა და მოიცავს ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს წარმოადგენს. ინტეგრაცია თავს იჩენს მუნიციპალიტეტებში, ამა თუ იმ ადგილზე ცხოვრების დროს. განსაკუთრებული მოთხოვნები ეკლესიებზე, რელიგიურ გაერთიანებებზე, კულტურისა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, მიგრანტთა ორგანიზაციებზე, მასმედიის საშუალებებზე, სპორტზე, ფონდებზე, კავშირებსა თუ გაერთიანებებზე, საწარმოებსა თუ პროფესიულ კავშირებზე ვრცელდება. ამასთან, ყველასთვის, როგორც ეკონომიკის, ისე სამუშაოს თვალსაზრისით, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, წარმატებული ინტეგრაცია და მართული მიგრაციაა მომგებიანი.
310. მოქალაქეობის მინიჭება ჩვენთვის ინტეგრაციის წარმატებული პროცესის გამოვლინება და თანასწორუფლებიანი მონაწილეობის ყველა უფლებამოვალეობით ხორცშესხმაა. ეს გადამწყვეტი მომენტი თითოეული იმ ადამიანის ცხოვრებაში, ვინც ჩვენი სახელმწიფოს მიმართ ერთგულებასა და კეთილსინდისიერებას ავლენს. ეს მომენტი უნდა ვაღიაროთ და, მოქალაქეობის მინიჭების მაჩვენებლის მკვეთრი კლების გამო, ხელიც უნდა შევუწყოთ.
311. ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა სტიმული მისცა ინტეგრაციის ეროვნული გეგმის შემუშავებას. იგი მხარს უჭერს, საერთო პოლიტიკურ კონცეფციას, რომელიც შრომის ბაზრისა და სოციალურ, საოჯახო განათლებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პოლიტიკას ახალ საინტეგრაციო პოლიტიკად აერთიანებს. სწორედ ასე მივდივართ პარტნიორული საზოგადოებისკენ.

## VIII. გერმანიის პასუხისმგებლობისა და ინტერესების შეცნობა

### 1. გერმანიის, როგორც ევროპის ნაწილის წარმატებული განვითარების საწინდარი

312. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ევროპის გერმანული პარტიაა, რომელიც თავიდანვე ენერგიულად უჭერდა მხარს გერმანიის გაერთიანების პროცესს. ჩვენ ასევე მხარს ვუჭერთ ევროპის ინტეგრაციის გაგრძელებას, ანუ იმ პოლიტიკას, რომელიც თამამად წამოიწყო კონრად ადენაუერმა და რომელიც ჰელმუტ ქოლმა გერმანიის გაერთიანების შემდეგაც გააღრმავა. ევროკავშირი მისი ყველა წევრი სახელმწიფოსა და მათი მოქალაქეების ინტერესთა დამცველია. ევროპის სიძლიერე, იმავდროულად, გერმანიის შესაძლებლობებზეცაა დამოკიდებული.
313. ევროპა კულტურულ და სხვა სახის ფასეულობათა გაერთიანებაა. ის თავის მოქალაქეებს საკუთარი ევროპული თვითმყოფადობის ცნობიერებით აერთიანებს. ეროვნული სახელმწიფოები და მათი ხალხების თვითმყოფადობა განუყოფელი ევროპის მრავალმხრივი ერთიანობის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი კონტინენტის ერთობლივი ტრადიციები, რელიგიური, აზრობრივი, სულიერი თუ ისტორიული საფუძვლები მის ხალხებს ეროვნული თუ რეგიონური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური განსხვავებებისდა მიუხედავად აკავშირებს.
314. ქრისტიანობის შეხედულებები ადამიანის შესახებ, როგორც საერთო ევროპული მემკვიდრეობა, ძალიან მნიშვნელოვანია ევროპული თვითმყოფადობისათვის. გლობალიზაციის ეპოქაშიც კი ევროპაში ის საერთო მომავლის საფუძვლად რჩება.
315. გერმანიამ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიური როლი უნდა ითამაშოს ევროპის გაერთიანების დასრულების პროცესში. გაერთიანებულ ევროპას შეუძლია, ყველაზე უკეთ განახორციელოს ჩვენი ინტერესები გლობალიზაციის ეპოქაში, ჩვენს ტრანსატლანტიკურ პარტნიორებთან ერთად, რომლებთანაც საერთო ფასეულობები, თავისუფლება, დემოკრატია და კანონის უზენაესობა გვაკავშირებს.
316. ევროპის გაერთიანება ჩვენი კონტინენტის უდიდესი პოლიტიკური წარმატების ისტორიაა. ის მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის სამაგალითო მოდელი და საორიენტაციო ათვლის წერტილი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა უზრუნველყოფს თავისუფლებას, მშვიდობასა და კეთილდღეობას. ევროპის გაერთიანება ამის ხანგრძლივი ვადით უზრუნველყოფის გასაღებია. დღესდღეობით ევროკავშირი შიდა და გარე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ევროკავშირი საუკეთესო პასუხია ისეთი სახის გამოწვევებზე, როგორებიცაა გლობალიზაცია, მიგრაცია, ჩვენი უსაფრთხოების ახალი საფრთხეები, ცვლილებები კლიმატურ პირობებსა და ენერგოუსაფრთხოება.

ევროკავშირის ვერც ერთი ცალკე აღებული სახელმწიფო ამ გამოწვევებს წინ ვერ აღუდგება. გერმანიის მოქალაქეები და მათი პარტნიორები ევროკავშირში თავიანთი ბედისწერით არიან გაერთიანებულნი. ცალკეული წევრი-სახელმწიფოების სუვერენიტეტი მხოლოდ მისი ერთობლივად გამოსატყობი ვლინდება.

317. ევროკავშირისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ის მისაღება საკუთარი მოქალაქეებისთვის. ევროკავშირმა საკუთარ მოქალაქეებში

კვლავაც ახალი დამაჯერებელი პოტენციალი უნდა შეიძინოს, ვინაიდან მშვიდობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება ევროპელთა დიდი ნაწილისთვის თავისთავადი ცნებებია. ჩვენ ჩვენი პოლიტიკით ევროკავშირის მიმართ მოქალაქეთა ნდობის გაძლიერება გვსურს.

318. გვინდა, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ამის წინაპირობა კი ევროპის პოლიტიკისა და ისტორიის შესახებ მათი ინტენსიური ინფორმირებულობაა. გვინდა, რომ ევროპა ძლიერი და ქმედუნარიანი იყოს. ამიტომაც, ევროკავშირმა სუბსიდიურობის პრინციპის შესაბამისად, ისეთ კომპეტენციებზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება, რომელთა შესრულებაც შეიძლება, ეროვნული სახელმწიფოების რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებზე უკეთ მოახერხოს. ამიტომაც, აუცილებელი კომპეტენციათა სტრუქტურის ევროკავშირის ხელშეკრულების სამომავლო ცვლილებებისა და დამატებების ჭრილში შემოწმება. ამასთანავე, ცალკეული წევრი-სახელმწიფოებისთვის კომპენცენციების ნაწილობრივ უკან დაბრუნებაც შესაძლებელი უნდა იყოს. ევროკავშირი დემოკრატიულად, გამჭვირვალედ, ქმედუნარიანად, არაბიუროკრატიულად მოწყობილი და მოქალაქეებზე ორიენტირებული უნდა იყოს.
319. ევროკავშირის ფინანსური სახსრების გამოყენება მიზანმიმართულად, ეფექტურად და მომავალზე ორიენტირებულად უნდა მოხდეს. დაფინანსების სისტემის რეფორმირება საფუძვლიანად და ცალკეული წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური პოტენციალის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. ამასთან, ევროკავშირს გადასახადების დაწესების ან სახელმწიფო კრედიტებით სარგებლობის კომპენცენცია არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ ამ კონტექსტშიც შეგვეძლება, ადამიანებისთვის იმის განმარტება თუ რა სარგებელი აქვს და რომელ სამომავლო პერსპექტივებს ნიშნავს მათთვის ევროპა.
320. ევროკავშირი, როგორც მოქალაქეთა და წევრ-სახელმწიფოთა გაერთიანება, ლისაბონის ხელშეკრულებით იმ ახალი რეალობის წინაშე, რომელიც ერთობლივი ფასეულობებითა და ევროპელი ადამიანის სურათ-ხატითაა განპირობებული. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებას ქრისტიანობამ, იუდაიზმმა, ანტიკურმა და განმანათლებლობის ეპოქებმა შეუწვეეს ხელი. ადამიანის უფლებათა ქარტია ამ ფასეულობათა გამოვლინებაა. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ღმერთის ფაქტორს. ასევე, აქტიურად ვუჭერთ მხარს გრძელვადიან მიზანს – ევროკავშირის კონსტიტუციას.
321. ეროვნული სახელმწიფოები იცვლება, თუმცა ყოველი მათგანი საკუთარ არსს გრძელვადიანი პერსპექტივით ინარჩუნებს. ევროკავშირი მისთვის წევრი სახელმწიფოების მიერ მინიჭებული კომპეტენციების ფარგლებში და ფედერალური სახელმწიფოს პრინციპებითა და მეთოდებით ხელმძღვანელობს.
322. გვინდა, ევროკავშირში შემდგომშიც გავაძლიეროთ დემოკრატია და ევროპარლამენტის უფლებებიც გავზარდოთ. ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო ნებისმიერი ევროპული საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებში, როგორც ორპალატიანი სისტემის კომპონენტები, ჰარმონიულად უნდა მოქმედებდნენ. ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა ეროვნულმა პარლამენტებმა მომავალშიც ევროკავშირზე უნდა მოახდინონ წევრ-სახელმწიფოთა სუვერენული კომპეტენციების დელეგირება. მათ სუბსიდიურობისა და თანაზომიერების კონტროლის კუთხითაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ. ევროპარლამენტის

არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობა ევროპარლამენტის მიერ ევროკომისიის არჩევით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. აქედან გამომდინარე, მხარს ვუჭერთ პიროვნებებზე ორიენტირებული ევროპის საარჩევნო უფლებას.

323. ევროპულ დონეზე არსებული პოლიტიკური პარტიები ევროპული პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ევროკავშირის მოქალაქეთა ნების გამოვლენას უწყობენ ხელს. ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატები, ამ დაკვეთას ევროპის სახალხო პარტიის წევრის რანგში ვასრულებთ. ევროპულმა პარტიებმა ევროპული საზოგადოების შექმნის მათეული ამოცანა, მაგალითად, ევროპული პოლიტიკის უკეთესი პერსონალიზაცია, უფრო გულმოდგინედ უნდა შეასრულონ.
324. გერმანია, როგორც ევროპის შუაგულში მდებარე ქვეყანა, დამოკიდებულია მის მეზობლებთან კარგ ურთიერთობებზე და დამოკიდებული. ჩვენ, როგორც ევროკავშირში მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდმა და ეკონომიკურად განვითარებულმა ერმა, ევროპის გაერთიანების საქმეში საკუთარი წვლილი როგორც თავდაჯერებულმა, გახსნილმა და ურთიერთობების ჩამომყალიბებელმა ქვეყანამ, ისე შევიტანეთ. დარწმუნებულნი ვართ: ევროპა შედგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება თანასწორუფლებიანი თანაარსებობა, როგორც დიდ ისე პატარა, როგორც ძველ ისე ახალ წევრ-სახელმწიფოთა შორის. საფრანგეთი გერმანიის უმნიშვნელოვანესი პარტნიორია ევროპაში. გვინდა, კვლავინდებურად გავაძლიეროთ ეს თანამშრომლობა, რათა საფრანგეთმა და გერმანიამ ევროკავშირში წამყვანი როლი შემდგომშიც შეასრულონ.
325. ევროპა ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, რეგიონთა ევროპაა. ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა მრავალმხრივობა და თვითმყოფადობა მომავალშიც დაცული უნდა იყოს. სასახლვრო რეგიონები, პირველ რიგში, ის რეგიონებია, სადაც ევროპული ინტეგრაციის რეალობა შეიძლება, განსაკუთრებული მასშტაბით იყოს განცდილი. ტრანსნაციონალური თანამშრომლობის საუკეთესო წინაპირობაა მეზობელი რეგიონების პოლიტიკური, კულტურული, ენობრივი, ისტორიული და საზოგადოებრივი თავისებურებების ორმხრივად გაგება და გააზრება. ამიტომაც, გვინდა, ხელი შევუწყოთ სასახლვრო რეგიონებში ჩვენი მეზობლების ენათა შესწავლას. ამგვარად, სასახლვრო და ტრანსნაციონალური რეგიონები ევროპის გაერთიანების პროცესის იმ მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომელმაც წამყვანი როლი უნდა შეასრულოს.
326. მშობლიური ფესვები, ეროვნული თვითმყოფადობა და ევროპული საერთო ღირებულებები ერთმანეთს განავრცობს და განაპირობებს. ამიტომაც, მხარს ვუჭერთ ეთნიკურ ჯგუფთა და უმცირესობათა საერთაშორისო და ევროპული სამართლის ნორმებს, სამშობლოს, საკუთარი ენისა და კულტურის უფლებას.
327. გაერთიანებული ევროპის პირობებშიც კი, სადაც სულ უფრო და უფრო იმატებს გახსნილი საზღვრების რაოდენობა, ხალხთა შორის ურთიერთობის ჭრილში მნიშვნელოვანი შემაკავშირებელი ფუნქცია ეკისრებათ სამშობლოდან დევნილებსა და ეთნიკურ ჯგუფებს და იმ გერმანელებმაც, რომლებიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ აგრძელებენ ცხოვრებას. მათ გერმანიასა და მის მეზობლებს შორის ევროპის შემდგომი გაერთიანების კუთხით მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შეასრულონ. დევნა და გასახლება საერთაშორისო დონეზე უნდა დაიგმოს, დაგმობილი და დარღვეული უფლებები კი აღდგეს.

328. ევროკავშირის გაფართოების დღემდე არსებულმა ღონისძიებებმა განაგრძეს სტაბილურობის ზონა და გერმანიას როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სარგებელი მოუტანეს. დასავლეთის, ბალკანეთისა თუ აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრები ბევრი ადამიანისთვის ევროკავშირი ღია საზოგადოების ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მომავლის ეკონომიკური თუ პოლიტიკური იმედის მატარებლის იდეალად რჩება. ევროკავშირმა საკუთარი პასუხისმგებლობით ამ ევროპული რეგიონების ხალხთა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს.

ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობა ყოველთვის ერთადერთი და საუკეთესო გამოსავალი ვერ იქნება. ევროკავშირში ახალი წევრების მიღების მასშტაბი ყოველთვის გაწევრიანების კრიტერიუმების შესრულებასთან კი არა, თავად ევროკავშირის მიერ ახალ წევრთა მიღების უნართანაცაა დაკავშირებული. საუკეთესო გამოსავალია, მაგალითად, ევროკავშირის პრივილეგირებული პარტნიორობა თურქეთთან.

329. ევროკავშირის შემდგომი ინტეგრაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამომავლოდ კავშირის გაფართოების პროცესს. უნდა გაუმჯობესდეს თანაცხოვრება და ქმედუნარიანობა, გაგრძელდეს საინტეგრაციო პროცესი. ევროკავშირის გაფართოების პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს ევროპული თვითმყოფადობის გაძლიერებას. ასოცირებული ხელშეკრულებები, განსაკუთრებული პარტნიორობა თუ თანამშრომლობის მრავალმხრივი მოდელები, როგორებიცაა, მაგალითად, ევროპის ეკონომიკური ზონა, შეიძლება, როგორც შუალედური ნაბიჯები ან გრძელვადიანი გამოსავალი, ისე იყოს შეთანხმებული. მხოლოდ ევროპული სახელმწიფო შეიძლება გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

330. ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების უშუალო მეზობელ სახელმწიფოთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა უდიდესი მნიშვნელობისაა თავად ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის. ამიტომაც, ევროკავშირს საკუთარ მეზობლებთან ზუსტი შეთანხმებები და კარგი ურთიერთობები ესაჭიროება.

331. ერთიანი ევროპული ვალუტა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა თანაცხოვრებასა და ეკონომიკურ პოტენციალს აძლიერებს. ევროს საშუალებით შეუქცევადი გახდა პოლიტიკური ერთობა. საბაჟო კავშირებმა, შიდა ბაზარმა და ევრომ მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ევროპის სტაბილურობას, კეთილდღეობასა და კონკურენტუნარიანობას. ევროპა არის გლობალიზაციაზე ჩვენი პასუხის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რამეთუ ის საერთაშორისო კონკურენციის პირობებში გვაძლიერებს.

გრძელვადიან ამოცანად რჩება საერთო შიდა ბაზრის დახვეწა და შემდგომი განვითარება. საერთო ბაზრით სარგებლობა ზედმეტი ნორმებით არ უნდა გადაიტვირთოს. ევროკავშირმა ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად და კონკურენციის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად ინტენსიური ნაბიჯები უნდა გადადგას. ამავე კატეგორიას განეკუთვნება ევროპის ცენტრალური ბანკის შეუზღუდავი დამოუკიდებლობა და ევროპის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტის მკაცრი დაცვა. ასევე კვლავინდებურად უნდა გაგრძელდეს სამეცნიერო კვლევები, განვითარება და უმაღლესი განათლება.

332. ტექნიკური პროგრესი მაღალი ნაყოფიერებისა და ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ევროკავშირიც საჭიროებს მაღალი ტექნოლოგიების სტრატეგიას, რათა ევროპაში გრძელვადიანი პერსპექტივით შენარჩუნდეს მაღალანაზღაურებადი და კონკურენტუნარიანი სამუშაო ადგილები.
333. გვინდა, რომ ევროპა კვლავინდებურად კეთილდღეობის რეგიონად დარჩეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ სოციალურ საბაზრო ეკონომიკას როგორც ევროპულ, ეკონომიკურ და სოციალურ მოდელს. სოციალური და გარემოს დაცვის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებში უნდა განისაზღვროს ერთიანი ევროპული მინიმალური სტანდარტები, რომლებიც მოგვცემს სამართლიანი კონკურენციის შესაძლებლობას, შეზღუდავს კონკურენციის შემთხვევებს ევროკავშირის ფარგლებში და ზედმეტად არც ერთ წევრსახელმწიფოს არ გადატვირთავს. მხოლოდ ერთობლივად შეგვეძლება ჩვენ, როგორც ევროკავშირს, გლობალური, ჩვენი ფასეულობებით გაჯერებული სტანდარტების დანერგვა. ამასთან, ტრანსატლანტიკურ ეკონომიკურ თანამშრომლობასაც უდიდეს პრიორიტეტს ვანიჭებთ.
334. ჩვენი უმნიშვნელოვანესი მიზანი ნორმებისა და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით მოქალაქეთა და საწარმოთათვის გადაადგილების თავისუფლების გაფართოებაა, რაშიც ევროპის ნორმების კონტროლის დამოუკიდებელმა საბჭომ უდიდესი წვლილი უნდა შეიტანოს. ამასთან, ევროპული სამართლის გერმანულ სამართალში დანერგვისას ზედმეტი ნორმების გამოყენება უნდა ავიცილოთ.
335. უნდა გამარტივდეს ევროკავშირის კანონმდებლობა და ამდღეს ევროკავშირში კანონშემოქმედების კუთხით მიღებული კანონის ზემოქმედების ხარისხი. ევროკავშირშიც უნდა არსებობდეს კანონშემოქმედებითი ინიციატივების სისტემატური შემოწმების უფლება, როგორც ამას გერმანიაში წყვეტადობის პრინციპი წარმოადგენს. ჩვენი მიზანია თანამედროვე ევროპა ხელსაყრელი პირობებით.
336. შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეროვნული და ევროპული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტია. ევროკავშირს, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის ერთობლივი სივრცის ეტაპობრივი დანერგვით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოქალაქეთა თავისუფლებასა და თავისუფალ გადაადგილებაში. იმავდროულად, ის შესაძლებელს ხდის ტერორიზმისა და საერთაშორისო დანაშაულის სხვა ფორმებთან ეფექტურ ბრძოლას.
337. ჩვენი ერთობლივი ფასეულობების აქტიური და გაბედული დაცვის საფუძველზე განსაკუთრებით გვესაჭიროება ევროკავშირის წევრსახელმწიფოთა პოლიციისა და უშიშროების ორგანოთა შორის ინფორმაციის ტრანსნაციონალური გაცვლის გაუმჯობესება. უნდა გაუმჯობესდეს არსებული საინფორმაციო სისტემები და, თანამედროვე ტექნიკური განვითარების პროცესების ფონზე, დანაშაულსა და ტერორიზმთან ბრძოლის ახალ გამოწვევებს მიესადაგოს. ამისთვის ერთობლივი ინსტიტუტების – ევროპოლისა და ევროჯასტის გაძლიერება და პოლიციის ეროვნულ ორგანოებს შორის პირდაპირი და მჭიდრო თანამშრომლობა გვესაჭიროება. შემდგომი ამოცანები არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლა, თავშესაფრის ერთიანი ევროპული პოლიტიკის შემუშავება და ინტეგრაციის სკითხის ირგვლივ გამოცდილების გაზიარების გაძლიერებაა, რაც უახლოეს, ხანებში ევროპულ დონეზე უნა განვიხილოთ..
338. გვინდა, შევიმუშავოთ ევროპის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაც, რომელიც უსაფრთხოების ერთიანი სტრატეგიის ნაწილი



იქნება და ენერგეტიკისა და ნედლეულის უსაფრთხოების კომპონენტსაც მოიცავს. ეს ჩვენივე ქვეყნის ინტერესშია. ევროკავშირმა, მისი ინტერესებისა და ფასეულობების გათვალისწინებითა და მისი მოსახლეობის რაოდენობისა და ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით, გლობალიზაციის პროცესში გადაამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. ამისთვის აუცილებელია პოლიტიკური და ინსტიტუციონალური წინაპირობების შექმნა, რათა ევროკავშირმა ისაუბროს ერთსულოვნად და იყოს ქმედუნარიანი. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება ის, რეგიონალური მშვიდობის უზრუნველყოფისა და შიდა ბაზრის საერთო საფუძველზე ჩამოყალიბების კუთხით, მსოფლის სხვა რეგიონებისთვის მიმზიდველი პარტნიორი.

339. უსაფრთხოების ჩვენეული ფართო გაგების უმნიშვნელოვანესი განუყოფელი ნაწილი განვითარების თანამშრომლობაა. ევროკავშირი უდიდესი დონორი გაერთიანებაა. მოსახლეობაში აუცილებელი აღიარების შესანარჩუნებლად აუცილებელია, სახსრების გაცემა და მოხმარება გამჭვირვალე და ეროვნულ სახელმწიფოებთან შეთანხმებული იყოს. ის უნდა ემსახურებოდეს პრინციპს „დანხარება – თვითდანხარებას“ და განსაკუთრებით ადგილობრივად დამკვიდრებულ ადამიანებს ეხმარებოდეს, და, იმავდროულად, ხელისუფლების მართებულად მართვასა და ეფექტურ მმართველობას, კორუფციასთან ბრძოლის ჩათვლით, უწყობდეს ხელს.
340. ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ევროკავშირის თავდაცვის პოლიტიკის კომპონენტად უნდა ჩამოყალიბდეს. ვემხრობით ევროპული თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბებას, რომელსაც ექნება პოლიტიკური და სამხედრო თანადგომის ვალდებულება ნატოს წინაშე. ევროკავშირს საკუთარი სამხედრო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. გერმანიას საკუთარი შეიარაღებული ძალებით უდიდესი წვლილი შეაქვს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის განვითარებაში. ჩვენ კვლავინდებურად მხარს ვუჭერთ ეროვნული ქვედანაყოფების შემდგომ ინტეგრაციას ევროპის უსაფრთხოების სტრუქტურებში და მათ ერთიან ევროპულ არმიად ჩამოყალიბებას.
341. ტრანსატლანტიკური ურთიერთობები გერმანიასა და ევროპაში ყოველთვის მშვიდობის, თავისუფლებისა და კეთილდღეობის საფუძველი იყო. მათ მომავალშიც უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ. ამიტომაც, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი მხარს უჭერს ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის ჭრილში ერთიანი ხედვების შემუშავების პოლიტიკას. ამასთან, სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება. ჩვენს ტრანსატლანტიკურ პარტნიორებთან – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადასთან ერთად ჩვენი დასავლურ ღირებულებებზე მოწყობილი გაერთიანების აქცენტის ჩვენივე ფასეულობების საფუძველზე გაძლიერება გვსურს.
342. ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ვაჭრობითა და ინვესტიციებით მთელ მსოფლიოში ერთმანეთთან ყველაზე უფრო მეტად დაკავშირებული ეკონომიკური სივრცეებია. ტრანსატლანტიკურ სივრცეში ეკონომიკური კავშირების გამყარების ფონზე, სავაჭრო შეზღუდვების დაძლევისა და გრძელვადიანი პერსპექტივით, ტრანსატლანტიკური ბაზრის შექმნის ინიციატივით გამოვდივართ. ტრანსატლანტიკური ურთიერთობების ჭრილში მხარს ვუჭერთ შეგნებულ ევროპას, რომელიც თავს შეერთებული შტატების საპირწონედ კი არა, არამედ მის პარტნიორად თვლის.

## 2. თავისუფლებისა და მშვიდობის მხარდაჭერა – გერმანიის როლი მთელ მსოფლიოში

343. თავისუფლება, სოლიდარობა და სამართლიანობა ჩვენი საგარეო უსაფრთხოებისა და განვითარების პოლიტიკის ლაიტმოტივია. ეს შეესაბამება ჩვენს ვალდებულებას – უზრუნველყოთ ადამიანთა თავისუფლება და უსაფრთხოება გერმანიაში. გვინდა, ჩვენს ქვეყანას საფრთხეები ავაცილოთ და, იმავდროულად, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების დამყარებაში, მხარი დაუჭიროთ კანონის უზენაესობასა და ადამიანის უნივერსალურ უფლებათა დამკვიდრებას. მხოლოდ ამგვარად შევინარჩუნებთ იმ წინაპირობებს, რომელთა სხვა ქვეყნებისთვის გაზიარება და ახსნა (თუ მაგალითად, როგორ უნდა გააუმჯობესონ საზოგადოებრივი, კულტურული თუ ეკონომიკური კუთხით საკუთარი კეთილდღეობა და საზოგადოება) ჩვენს ქვეყანას მშვიდობიანობის პირობებში შეუძლია.
344. ცივი ომის დამთავრების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პირობები. წარსულს ჩაბარდა სამყაროს ორპოლუსიანი მოწყობა. 2001 წლის 11 სექტემბერს თავისუფალმა სამყარომ კარგად დაინახა, რომ ჩვენ დღეს ვდგავართ ასიმეტრიული საფრთხეების წინაშე, რომლებიც შეიძლება ჩვენს საზღვრებს გარეთ წარმოიშვას. გვინდა, კვლავინდებურად გავადრმავოთ საერთაშორისო ურთიერთობები, რათა მაქსიმალურად ნაყოფიერად და არაძალადობრივად მოვაგვაროთ ინტერესთა კონფლიქტები.
345. გლობალიზაციის პირობებში ყველა ქვეყანა ჩვენ მეზობლად იქცა. დაშლის პირას მყოფი სახელმწიფოები ხშირ შემთხვევაში ტრანსნაციონალური ტერორიზმისა და საერთაშორისო დანაშაულის კერებს წარმოადგენენ. კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის დანერგვა და ჩამოყალიბება თუნდაც ჩვენგან საკმაოდ მოშორებულ რეგიონებშიც კი უშუალოდ ჩვენს საკუთარ ინტერესებსა და უსაფრთხოებაზე აქტიურ წინასწარ ზრუნვას ემსახურება. დემოკრატია და კანონის უზენაესობა უზრუნველყოფს სტაბილურობას, რომელზეც ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკის პირობებში ესოდენ დამოკიდებულნი ვართ. ჩვენ არა მხოლოდ რეგიონალურ, არამედ გლობალურ დონეზეც მზად უნდა ვიყოთ სხვა დემოკრატიებთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის ასაღებად. ამასთან ჩვენ ურთიერთდაკავშირებული უსაფრთხოებისაკენ მივიღებთ: არავითარი განვითარება უსაფრთხოების გარეშე, არავითარი უსაფრთხოება განვითარების გარეშე.
346. ჩვენი საერთაშორისო პასუხისმგებლობის დასაკმაყოფილებლად და საგარეო, უსაფრთხოებისა და განვითარების პოლიტიკის ჭრილში არსებული ამოცანებისა და ვალდებულებების შესასრულებლად, საკმარისი სახსრები და მექანიზმები უნდა გამოიყოს. წარმატებული საგარეო პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს. ამასვე განეკუთვნება ჩვენი გამოცდილება: როდესაც ჩვენ სოლიდარულად ვმოქმედებთ საერთაშორისო დონეზე, სხვა სახელმწიფოებისგანაც სოლიდარობას ვიღებთ. ამიტომაც, ჩვენსავე ინტერესშია, რომ ჩვენი პოლიტიკა მხოლოდ ნაციონალურ დონეზე კი არ შემოფარგლეთ, არამედ კონცენტრაცია მოვახდინოთ ინტერესთა სამართლიან დაბალანსებაზე.
347. წარმატებული საგარეო პოლიტიკის წინაპირობა ინტელექტუალური და ეკონომიკური პოტენციალი და ჩვენი საზოგადოებრივი წყობისა და

კულტურის მიმზიდველობაა. ის უნდა იყოს სანდო და უნდა რათა ჩვენი პარტნიორებისა და მოკავშირეების ნდობა დაიმსახუროს. დაბოლოს, ის გამობრძმედილი უნდა იყოს ნებით, გაბედული გადაწყვეტილებითა და უნარით, ვაწარმოთ დიალოგი სხვა კულტურების წარმომადგენლებთან ჩვენს ფასეულობებზე, მსოფლმხედველობასა და ინტერესებზე. გვსურს, გავაღრმავოთ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხის განხილვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე ევროკავშირშიც.

348. მომავლის საგარეო პოლიტიკური გამოწვევების ღირსეულად შესახვედრად, გვინდა, შემდგომშიც განვაითაროთ ევროკავშირი, გავაღრმავოთ ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა და გავაძლიეროთ გლობალური წესრიგი. ჩვენი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად ჩრდილო-ატლანტიკური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღმავება გვსურს.

349. ნატო კვლავინდებურად გერმანიისა და ევროპის უსაფრთხოების გარანტად და ჩვენი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის უპირველეს ინსტრუმენტად რჩება. იმავდროულად, ნატო ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების პოლიტიკის დიალოგის მუდმივ ადგილადაც უნდა დარჩეს.

350. ტრანსატლანტიკური გაერთიანება საერთო ფასეულობების მსოფლიოში განუმეორებელ ქვაკუთხედს ეფუძნება. ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადასთან გვაკავშირებს საიმედო პარტნიორობა და მეგობრობა, რომლის გაღრმავებასაც მომავალშიც ვაპირებთ. ორივე სახელმწიფო ევროპელებმა დააფუძნეს. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში გამაგრებული პრინციპები მე-18 საუკუნის ბოლოს ევროპული ქვეყნებისთვის – თავდაპირველად, 1789 – წელს საფრანგეთისთვის, შემდგომში კი გერმანიისთვის სამაგალითო იყო.

გერმანიისა და ევროპის ნაციონალსოციალიზმისა და კომუნიზმისგან გათავისუფლება განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების დამსახურებაა. ამერიკის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა გერმანიის გაერთიანება და ევროკავშირის დაფუძნება. ჩვენს ტრანსატლანტიკურ პარტნიორობთან – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადასთან საერთო პოზიციების შეჯერება და გახმოვანება ძალზე მნიშვნელოვანია. გვინდა, ამგვარად გავაძლიეროთ დასავლურ ფასეულობათა გაერთიანების აქცენტი ჩვენი ერთობლივი ღირებულებების საფუძველზე.

351. თვალს ვუსწორებთ გერმანიის ისრაელის წინაშე არსებულ განსაკუთრებულ ისტორიულ პასუხისმგებლობასა და მხარს ვუჭერთ, ისრაელის, როგორც ებრაული სახელმწიფოს უსაფრთხო საზღვრებში არსებობას. გერმანიამ და ევროპამ, შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რეგიონის ქვეყნებთან ერთად პარტნიორული თანამშრომლობის წყალობით, ხელი უნდა შეუწყონ კრიზისული სიტუაციების დაძლევისა და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარებას. ამავე ჭრილში მოვიაზრებთ ქმედითი პალესტინური სახელმწიფოს არსებობასაც.

352. ასევე მხარს ვუჭერთ დასავლური დემოკრატიების ისლამურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას. ვითვალისწინებთ და ვაფასებთ ისლამური სამყაროს მდიდარ კულტურულ ტრადიციებს. ჩვენსავე ინტერესშია, მაჰმადიანური საზოგადოების თანამედროვე ძალების მხარდაჭერა მათი დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გზაზე. ისლამური ფუნდამენტალიზმი და ისლამურად მოტივირებული ტერორიზმი, უწინარეს ყოვლისა, თავად ისლამური საზოგადოებისთვის,

თუმცა ასევე ჩვენთვისაც საფრთხეს წრმოადგენს. ჩვენ, მაჰმადიანების უდიდეს ნაწილთან ერთად, მზად უნდა ვიყოთ ტერორიზმთან და ფუნდამენტალიზმთან საბრძოლველად და მათთვის ნიადაგის გამოსაცლელად.

353. გერმანია, ევროპა და დასავლეთი მთლიანობაში ძალიან დაინტერესებულია რუსეთთან კარგი ურთიერთობებით. ამიტომაც მხარს ვუჭერთ რუსეთთან ევროკავშირის სტრატეგიულ პარტნიორობას, რომელიც ევროსაბჭოს ფუძემდებლურ ფასეულობებს ეფუძნება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს შუა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტერესებიც. გვინდა, გავადრმაგოთ რუსეთთან ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი თანამშრომლობა. გვინდა, ასევე ღია და ყოვლისმომცველი დიალოგის საშუალებით ხელი შევუწყოთ რუსეთის დემოკრატიულ განვითარებას, კანონის უზენაესობას, მასშვიდის მრავალმხრივობასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.
354. გვინდა, მხარი დავუჭიროთ ჩვენს მეზობელ აფრიკის კონტინენტზე მდგრადი განვითარების, სტაბილურობისა და ხელისუფლების მართვის მცდელობებს, რათა ადამიანებს უკეთესი ცხოვრების პერსპექტივები გაუჩნდეთ. ამიტომაც, აქტიურად ვუჭერთ მხარს აფრიკის კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას. განსაკუთრებულ პრობლემად მიგვაჩნია ფართოდ გავრცელებული სიდუხჭირე, შიმშილი, განათლების არასაკმარისი შესაძლებლობები და დაავადებათა გავრცელება. ჩვენ ვერ დავრჩებით გულგრილნი აფრიკის კონტინენტზე გამეფებული ძალადობრივი კონფლიქტებისა და არასტაბილურობის, ასევე წესრიგისა და წესწყობილების უქონლობის მიმართ. თუმცა ჩვენ უშუალოდ გვეხება ჩვენივე ზემოქმედების შედეგები, მათ შორის – მიგრაციის მზარდი მანქვინებლები.
355. უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ, აგრეთვე, ლათინურ ამერიკასთან თანამშრომლობასაც, რომელთანაც ევროპა ისტორიითა და ფასეულობებითაა დაკავშირებული. ჩვენ ამ თვალსაზრისით ვაძლიერებთ ისეთ განვითარებად ქვეყნებს, როგორებიცაა ბრაზილია და მექსიკა, რათა გლობალური პრობლემების გადაჭრის დროს მათ მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროთ. სხვა ქვეყნებში არსებულ ჩვენ პარტნიორ პარტიებთან თანამშრომლობით უდიდესი წვლილი შეგვაქვს დემოკრატიის გაძლიერების საქმეში.
356. მრავალმხრივი გამოწვევების დასაძლევად და ჩვენი ინტერესების დასაცავად, აზიაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, უნდა გავადრმაგოთ თანამშრომლობა ევროპასა და აზიის ქვეყნებს შორისდა ხელი შეუწყოთ მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. გვინდა, მხარი დავუჭიროთ ჩინეთსა და ინდოეთს მათი მზარდი მნიშვნელობის გამო, რათა ისინი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების საქმის პასუხისმგებლობით აღსავსე მონაწილენი გახდნენ.
357. მხარს ვუჭერთ მთელ მსოფლიოში განიარაღების პროცესის შემდგომ გაგრძელებას, შეიარაღების პროცესის კონტროლის გაძლიერებასა და შეიარაღების ექსპორტის ევროპულ დონეზე კოორდინირებულ განხორციელებას. მასობრივი განადგურების იარაღისა და მათი ტექნოლოგიების შემდგომი გავრცელების პრევენცია მსოფლიოში მშვიდობის დამყარებასა და ჩვენსავე უსაფრთხოებას უწყობს ხელს. ამიტომაც, ყველა დონეს ვიხმართ საიმისოდ, რათა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ გაბედულად იმოქმედოს იმ ძალებზე, რომლებიც საერთაშორისო პრინციპებსა და შეთანხმებებს არღვევენ.

358. მხარს ეუჭერთ ყოველსმომცველ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების მთლიანი პოლიტიკის მექანიზმს და მას მთლიანი კონცეფციის ჭრილში განიხილავს. გვესაჭიროება მჭიდრო დარგთაშორისი თანამშრომლობა, რათა კრიზისული სიტუაციების დაძლევის დროს გაეროს, ნატოსა და ევროკავშირის სამოქალაქო და სამხედრო მექანიზმების კოორდინაცია მოვახდინოთ.
359. გერმანიის შეიარაღებული ძალების დაკვეთა ვერ შემოიფარგლება მხოლოდ კლასიკური პარტნიორობისა თუ ქვეყნის საკუთრებაში მყოფი ტერიტორიის თავდაცვით. გერმანიის შეიარაღებული ძალები უსაფრთხოების ქსელის კონცეფციის ფარგლებშიც, როგორც ქვეყნის, ასევე ნატოს თავდაცვითი სისტემის კონტექსტში, როგორც ახალი რეალობის, ასევე მთლიანი სპექტრის ჭრილში, საერთაშორისო კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილებისა თუ დაძლევის თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. იმავედროულად, გერმანიის შეიარაღებული ძალები როგორც საკუთარი სამშობლოს დაცვის, ისე ბუნებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხითაც უნდა იყოს გამოყენებული.
360. გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა მომავალშიც უნდა გამოავლინონ გერმანიის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისთვის მზადყოფნა. ამიტომაც, საჭიროა ჩვენი შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაცია და მათ მოთხოვნილებებზე ორიენტირებული დაფინანსების გაგრძელება. მხოლოდ ასე შეეძლებათ გერმანიის შეიარაღებულ ძალებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და გერმანიისათვის მთელ მსოფლიოში უსაფრთხოების პოლიტიკური თვალსაზრისით ქმედუნარიანობის, თანამშრომლობისა და სხვა სახის გეგმების განხორციელება.
361. გერმანიის შეიარაღებული ძალები დემოკრატიის წარმატებული გარანტია. მან გაიარა გზა საშინელებათა არმიიდან გაერთიანებულ ჯარამდე, ასევე მშვიდობისთვის ბრძოლის შეიარაღებულ ძალებამდე და კარგად დაიმკვიდრა თავი. ჩვენთვის გერმანიის შეიარაღებული ძალები კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართალში გამაგრებული პოლიტიკის გარანტად რჩება.

გერმანელმა ჯარისკაცებმა მთელ მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის ამაღლებას უდიდესი გარჯის ფასად შეუწყვეს ხელი. ჩვენ მხარს ეუჭერთ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, რომელმაც უსაფრთხოების პოლიტიკის სახეცვლილი ჩარჩო პირობების ფონზე დაიმკვიდრა თავი. იგი უნდა მიესადაგოს უსაფრთხოების პოლიტიკის გამოწვევებსა და შესაბამისადაც განვითარდეს. გერმანიის შეიარაღებული ძალების მზადყოფნა და გამძლეობა კვალიფიციურ რეზერვისტთა საკმარისი რაოდენობითაა უზრუნველყოფილი. ამის საფუძველი კი სავალდებულო სამხედრო სამსახურია. იმავედროულად, გვინდა, შევინარჩუნოთ სამოქალაქო სამსახური, როგორც ალტერნატიული სამსახური, რომელსაც უდიდესი სოციალური თუ მოზარდებსა და ახალგაზრდებზე ორიენტირებული დანიშნულება აქვს.

362. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გლობალური პრობლემების გადასაჭრელად მაღალ ლეგიტიმურობას ფლობს. გაერო უნდა გახდეს უფრო ქმედუნარიანი და ძლიერი, რათა მთელ მსოფლიოში დანერგოს ადამიანის უფლებები, თავისუფლება, დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ასევე ხელი შეუწყოს კაცობრიობის დაცვასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შემდგომ განვითარებას.

363. უშიშროების საბჭოს რეფორმის ჭრილში მხარს ვუჭერთ ევროკავშირის მუდმივ ადგილსამყოფელს. ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე გერმანია კვლავინდებურად მზადაა, თავის თავზე იტვირთოს უშიშროების საბჭოს მუდმივი ადგილსამყოფელი შესაბამისი პასუხისმგებლობით.
364. აქტიურად ვუჭერთ მხარს მსოფლიოს საინტეგრაციო ეკონომიკის პირობებში თავისუფალ და სამართლიან მსოფლიო ვაჭრობასა და, ამდენად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ტიპის ინსტიტუტების გაძლიერებაც გვსურს. გერმანიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საერთაშორისო სავაჭრო გზების უსაფრთხოებაც. ეს ჩვენს ქვეყანას მთელ მსოფლიოში კეთილდღეობის გაუმჯობესებაში მონაწილეობას უფრო გაუადვილებს. იმავედროულად, თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობა სიღარიბის დაძლევისა და, მასთან ერთად, სახელმწიფოთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას უწყობს ხელს.
365. გერმანიის ინტერესშია მრავალი ქვეყნის განვითარების ისეთი პრობლემების დაძლევაში აქტიური მონაწილეობა, როგორებიცაა სიღარიბე, არასაკმარისი განვითარება, ადამიანის უფლებათა დარღვევა, დაავადებები, გარემოს განადგურება, ომები, ტერორიზმი და სახელმწიფოს დაშლა. პარტნიორული თანამშრომლობის ჩვენი განვითარების პოლიტიკა სამ ძირითად კომპონენტს – სიღარიბეში მყოფთა მიმართ და კაცობრიობის წინაშე ქრისტიანი ადამიანის ჩვენეული სურატ-ხატის საფუძველზე პასუხისმგებლობას, რისკის ფაქტორების თავიდან აცილებას და ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ სამეცნიერო პარტნიორობის გაძლიერებას ეფუძნება. განვითარების პარტნიორობა ნიშნავს, რომ ჩვენ გავაძლიერებთ საკუთარი რეფორმების ინიციატივებსა და განვითარებად ქვეყნებში ერთობლივ პასუხისმგებლობას მოვითხოვთ.
366. განვითარების პოლიტიკა ფასეულობებს უკავშირდება და მსოფლიო მართლწესრიგის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დარბი ქვეყნების განვითარების ხელშეწყობა თავისუფალი დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ხელისუფლების კარგად მართვისა და სოციალურად სავალდებულო საბაზრო ეკონომიკური წყობის დასამკვიდრებელ საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია, რომელიც იმავედროულად ცხოვრების ბუნებრივ პირობებსაც უზრუნველყოფს. ეს მიზნები ჩვენი განვითარების პოლიტიკის საკვანძო კომპონენტებია. გრძევადიან ფაქტორად მოაზრებული განვითარების თანამშრომლობა წინაპირობად საკუთარ და განსაკუთრებით პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირებისა და განვითარებადი ქვეყნების ელიტარული წრეების ძალისხმევას მიიჩნევს. ჩვენ მხარს ვუჭერთ დახმარებას თვითდახმარებისთვის.
367. ჩვენ ძალიან ვაფასებთ განვითარების თანამშრომლობის სფეროში დასაქმებული ადამიანების წარმატებებს. ეკლესიები და არასამთავრობო ორგანიზაციები უშუალოდ ეხმარებიან განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობას. პოლიტიკური ფონდები უდიდეს როლს ასრულებენ განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო მოწყობისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობის, საპარლამენტო თუ პარტიული კონსულტაციების, დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დანერგვის საქმეში. კერძო ეკონომიკის დარგმა შეიძლება, გაძლიერებულად იმუშაოს განვითარების პოლიტიკის დარგის მიზნების, მათ შორის, ჩარჩო-პირობების გაუმჯობესებით ეკონომიკური აქტიურობის მისაღწევად. კერძო ეკონომიკის სფეროსთან თანამშრომლობას ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამოქალაქო და სამხედრო თანამშრომლობას.

368. კერძო შემოწირულობათა დიდი რაოდენობა გაყოფისა და განაწილებისთვის ადამიანთა მზადყოფნას ადასტურებს. სახელმწიფოს ფუნქცია კერძო ინიციატივების ხელშეწყობაა. ჩვენ განვითარების სახელმწიფო თანამშრომლობისთვის საჭირო სახსრების ქვეყნის შიდა შემოსავლების 0,7%-მდე გაზრდის ვალდებულებას ვემხრობით.
369. უსაფრთხოება, განვითარება და ადამიანის უფლებები განუყოფელი ცნებებია. ასევე განუყოფელია ადამიანის უფლებებიც. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი მომავალშიც აიმაღლებს ხმას თუ დემოკრატია, თავისუფლებას, კანონის უზენაესობასა და უმცირესობათა უფლებებს საფრთხე შეექმნება. ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს უპირატესობა მთელ მსოფლიოში სუვერენობის პრინციპიდან გამომდინარე უნდა მიენიჭოს. ჩვენ ჩვენი წვლილი შეგვაქვს თავისუფალი, მშვიდობიანი და სამართლიანი სამყაროს ჩამოყალიბებაში.

**საკვანძო სიტყვების საძიებელი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის  
ძირითადი პრინციპების ახალი პროგრამისათვის**

<b>საკვანძო სიტყვები</b>	<b>გვერდი</b>
ადამიანის სურათ-ხატი	6, 7, 19, 79, 81, 82
ადამიანის უფლებები	16, 39, 79, 91, 92
ადამიანის ღირსება	3, 6, 7, 14, 15, 41, 43, 62, 72, 75
ადგილობრივი	38, 47, 57, 58, 59, 65, 77, 78
ასაკოვანი ადამიანები (სენიორები)	18, 22, 49
ახალგაზრდობა	13, 20-23, 25, 28-31, 33, 34, 39, 40, 53, 60, 61, 81, 91
აღზრდა	12, 20, 26-30, 40, 54, 56, 86, 88
აშშ/ამერიკის შეერთებული შტატები	86, 88
ბავშვები	12, 21-32, 53, 56
ბაზარი	5, 16, 17, 26, 34-37, 42, 44, 45, 47-50, 55, 56, 61, 64, 66, 68, 69, 84, 87
ბიოსამედიცინო	15, 62
ბიუროკრატის შემცირება	60, 76, 77
ბიუჯეტი	33, 46, 48, 53, 54, 55, 57, 58, 59
ბუნების დაცვა	64, 67, 68
გადასახადები	33, 54, 57, 58, 59, 73, 82
განვითარების პოლიტიკა	16, 63, 87, 91, 92
გარემო	3, 5, 10, 12, 15, 17, 21, 22, 25, 28, 29, 30, 42, 43, 53, 56, 62, 63, 64, 67, 68, 69, 78, 91
გარემოს დაცვა	35, 63, 64, 66, 67, 68, 69, 85
გერმანიის ახალი ფედერალური მხარეები	3, 6, 60, 61
გერმანიის გაერთიანება	13, 88
გლობალიზაცია	5, 16, 40, 81, 84
დამსაქმებელი	34, 49, 50, 54



დასაკმებული	18, 42, 43, 47, 53, 55, 56, 92
დემოგრაფია/დემოგრაფიული დემოკრატია/დემოკრატიული	2, 3, 5, 15, 18, 51, 52, 57, 60, 62 7, 12, 18, 38, 39, 61, 70, 74, 92
ენერგეტიკა/ენერგეტიკული/ენერგეტიკის <ul style="list-style-type: none"> <li>• ენერგოეფექტურობა</li> <li>• ენერგოკვლევა</li> <li>• ენერგომომარაგება</li> <li>• განახლებადი ენერგია</li> <li>• ბირთვული ენერგია</li> </ul>	65, 66, 85
ევროკავშირი	44, 47, 60, 65, 78, 80, 81, 82, 84, 85, 86, 88, 89, 90, 91
ევროპა	4, 14, 17, 31, 44, 62, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90
ეკლესია	14, 70
ემიგრაცია მიგრაცია	15, 16 60, 78, 80, 81
ერი	2, 13, 14, 28, 37, 38, 74
ვალები	57
თავისუფლება/პიროვნების განვითარება თავისუფალი	4, 6, 7, 8, 9, 10, 11, 15, 17, 20, 23, 25, 28, 30, 33, 35, 37, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 49, 52, 54, 59, 61, 63, 70, 72, 73, 74, 75, 76, 78, 81, 85, 87, 91, 92/ 9, 11, 12, 14
თანამონაწილეობა	3, 14, 17, 41, 43, 46, 48, 49, 50, 51, 56
თანასწორუფლებიანი საზოგადოება	2, 5, 12, 17, 19, 21, 29
თანასწორუფლებიანობა	12, 14, 32, 42, 79
თაობა	5, 7, 10, 12, 15, 18, 20, 21, 23, 24, 25, 42, 49, 51, 52, 53, 54, 57, 63, 64, 68, 72, 73, 78
თვითმყოფადობა	11, 20, 37, 42, 50, 78, 80, 81, 83, 84
ინტეგრაცია	14, 20, 23, 32, 38, 48, 61, 71, 75, 78, 79, 80, 81, 83, 85, 86, 88
კვლევა	17, 30, 35, 36, 37
კლიმატური პირობების დაცვა	63, 64, 65, 66

კონკურენცია	16, 30, 33, 35, 37, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 50, 52, 58, 59, 60, 61, 66, 71, 84,
კულტურა	14, 18, 37, 38, 39, 40, 42, 61, 68, 69, 71, 73, 78, 83, 88
მამული/სამშობლო	4, 6/13, 15, 38, 61, 68, 76, 78, 79, 83, 90
მართლმსაჯულება	77
მასმედია	39, 40, 71, 72, 74, 75, 80, 89
მეწარმე	16, 36, 42, 43, 57, 70
მობილურობა, მოქნილობა	54, 66, 72/16, 23, 29, 31, 34, 49, 54, 55
მომხმარებელი	16, 46, 47, 48, 67, 69
მოქალაქე/მოქალაქეობრივი	5, 6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 20, 22, 46, 48, 50, 57, 58, 59, 69, 70, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 85, 89/13, 38, 70
მშვიდობა	11, 17, 41, 51, 72, 77, 81, 86, 87, 90
მშობლები	22, 23, 24, 25, 26, 27, 28
ნატო	86, 88, 90
ოჯახი	12, 13, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 33, 39, 40, 42, 43, 49, 51, 53, 54, 55, 56, 62, 70, 75, 80
პატრიოტიზმი	14
პოლიცია	71, 75, 76, 85
პრევენცია	22, 33, 52, 53, 54, 56, 90
პროფესიული კავშირები	
პროფესიული საქმიანობა	13, 22, 25, 26, 30, 34
საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობა	22, 23, 51, 70
საკუთარი პასუხისმგებლობა	8, 9, 12, 19, 23, 25, 29, 30, 33, 37, 42, 48, 51, 52, 54, 55, 59, 61, 70, 71, 73, 83
საკუთრება	8, 42, 45, 61, 68, 75
სამართლებრივი სახელმწიფო	10, 12, 13, 30, 61, 74, 75, 77
სამართლიანობა	4, 5, 7, 8, 10, 11, 18, 21, 23, 24, 27, 41, 44, 46, 48, 49, 50, 52, 59, 63, 71, 77

<ul style="list-style-type: none"> <li>• თანასწორუფლებიანობა/სამართლიანი შესაძლებლობები</li> <li>• ოჯახური თანასწორუფლებიანობა /სამართლიანობა</li> <li>• თაობათა თანასწორუფლებიანობა /სამართლიანობა</li> <li>• შესრულებული სამუშაოს თანასწორუფლებიანობა</li> </ul>	12, 14, 32, 42, 79
სამედიცინო დაზღვევა	52, 53
სამოქალაქო საზოგადოება	3, 61, 70, 89
სამოქალაქო (ალტერნატიული) სამსახური	91
სამოქალაქო უფლებები (იხ. ადამიანის უფლებები)	47/16, 39, 79, 91, 92
სამშობლო	13, 15, 38, 61, 68, 76, 78, 79, 83, 90
საპენსიო დაზღვევა	27, 53, 54
სასკოლო განათლება	29, 30
სატარიფო დამოუკიდებლობა	42, 49
კოლექტიური ხელშეკრულება	49, 50
საშუალო საწარმო	37, 47, 60, 63
სახალხო პარტია	4, 5, 6, 15, 43, 74, 82
სახელმწიფო კომპეტენციები	78
სახელმწიფო მოწყობა	92
სოლიდარობა	4, 7, 9, 10, 13, 19, 20, 21, 23, 25, 29, 41, 51, 52, 58, 59, 60, 61, 62, 87, 88
სოლიდარობის პაქტი	61
სოფლის მეურნეობა	3, 68, 69
სოციალური	4, 5, 6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 36, 40, 41, 42, 43, 44, 46, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 60, 61, 63, 69, 70, 71, 72, 74, 76, 77, 79, 80, 84, 85, 91, 92, 97

სოციალური საბაზრო ეკონომიკა	4, 5, 6, 12, 13, 19, 20, 40, 41, 42, 43, 46, 48, 49, 60, 61, 63, 76
სოციალური სახელმწიფო	13, 15, 40, 51, 77
სოციალური უსაფრთხოება	10, 19, 20, 29, 41, 46, 51, 52, 56
<ul style="list-style-type: none"> <li>• უმუშევართა დაზღვევა</li> <li>• მზრუნველობის დაზღვევა</li> <li>• საპენსიო დაზღვევა</li> <li>• უბედურ შემთხვევათა დაზღვევა</li> </ul>	55 27, 53, 54
სპორტი/ფიზკულტურა	71, 72
სუბსიდიურობა	8, 10, 13, 23, 46, 51, 52, 73, 77, 78, 81, 82
ტერორიზმი	18, 75, 85, 87, 89 91
ტრანსატლანტიკური	81, 86, 87, 88
უმაღლესი განათლება	29, 30, 32, 34, 37, 43, 69, 79, 84
უმუშევარი	49, 55
უნარშეზღუდულები	7, 22, 23, 31, 55, 56, 62, 72
უნივერსიტეტი	31, 32, 33, 34
ფინანსები	27, 30, 39, 47, 48, 52, 53, 54, 55, 57, 70, 82, 90
ფედერალური	6, 14, 30, 31, 36, 37, 38, 48, 57, 58, 59, 60, 61, 62, 74, 76, 78, 82
ფედერალიზმი	58, 60, 77, 78
ქრისტიანული	4, 6, 7, 11, 15, 23, 37, 42, 43, 51, 62, 63, 73
ქორწინება	12, 24, 26, 27, 51, 70
ღირსება	4, 6, 7, 8, 9, 10, 14, 15, 23, 28, 35, 41, 43, 62, 63, 72, 75
შესაძლებლობა	4, 5, 8, 10, 11, 12, 13, 15, 16, 17, 19, 20, 21, 26, 27, 28, 29, 31, 34, 35, 40, 41, 43, 44, 47, 48, 49, 50, 51, 52, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 64, 65, 69, 70, 71, 72, 75, 78, 80, 84, 85, 86, 89
შესრულება	13, 37, 41, 42, 49, 53, 57, 81, 84, 90
შრომა (სამუშაო, მუშაობა)	5, 8, 9, 19, 25, 26, 27, 30, 34, 43, 47, 48, 49, 50, 52, 53, 54, 55, 56, 61, 69, 80
შრომის ბაზარი	5, 26, 34, 49, 50, 56

კონსტიტუცია	6, 7, 13, 14, 18, 24, 38, 51, 57, 73, 74, 76, 82, 91
ფასეულობები	4, 5, 6, 7, 20, 21, 24, 25, 26, 28, 29, 30, 37, 43, 44, 57, 59, 71, 72, 73, 75, 79, 81, 82, 85, 86, 88, 89, 92
ღირებულებები	14, 18, 73, 83, 86, 88